ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 090 (12 465) 17 აპრილი ხუთშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა





**მრავალი მაგალითია, როგორ სთავაზობდნენ ფეხბურთელებს ნაკრებში აყვანას**

საფეხბურთო ოპოზიცია 4-5

**რეალი: 70 მილიონი ევრო იბრაჰიმოვიჩისთვის**

მსოფლიო ფეხბურთი 6-10

# არის ახალი მწვრთნელი!

## კალათბურთელთა ნაკრებს იგორ კოკოშკოვი გაწვრთნის

### იგორ კოკოშკოვი: ქართულ კალათბურთს კარგი რეპუტაცია აქვს



გუშინ ამერიკის ქალაქ კლივლენდში დავუკავშირდით საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელს იგორ კოკოშკოვს. როცა ვუთხარით, ქართული გაზეთიდან გირეკავთ-თქო, ნამდვილად არ გაჰკვირვებია, იმედი მოგვეცა, რომ საინტერესო საუბარი შედგებოდა, მაგრამ მოიბოდიშა:

- ახლა, კლივლენდში "პისტონზთან" ერთად ვარ, რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩისთვის ვემზადებით. მნიშვნელოვანი შეხვედრა გვაქვს და მთლიანად "დეტროიტზე" ვარ გადართული. "კლივლენდთან" თამაშის შემდეგ, შედარებით თავისუფალი ვიქნები და მერე ვისაუბროთ.

**- გასაგებია. მაგრამ იქნებ ერთ კითხვაზე მაინც მიპასუხოთ.**

- გისმენთ.

**- რამ გადაგაწყვეტინათ საქართველოს ნაკრებში მუშაობა?**

- ქართულ კალათბურთს მსოფლიოში კარგი რეპუტაცია აქვს. კარგად ვიცი თქვენი სპორტული ტრადიციები და თანამედროვეობა. ვიცნობ არაერთ ქართველ კალათბურთელს - NBA-ელებსაც და ევროპაში მოთამაშეებსაც. მათზე კარგი წარმოდგენა მაქვს და ვფიქრობ, ნორმალურ გუნდს გავაკეთებთ. ასევე ვიცი, რომ საქართველოში უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდაა. მათთან ერთად ეროვნული ნაკრები სწრაფად უნდა გაიზარდოს და დიდი მიზნებისთვის იბრძოლოს.

ვაჟა სიმონიშვილი

11

# შოთა ბექჰემთან

ინტერვიუ არჩილ არველაძესთან 3



# სანტინი ორ კვირაში?

სამწვრთნელო თემა 2



# ბაიერნი ცალი ფეხით

ბუნდესლიგა 6



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიტ ჯორჯია–დინამო პირდაპირ ეთერში

თავდაპირველი ინფორმაციით, ეროვნული ჩემპიონატის მოახლოებულ ტურში ტელემაყურებელს ტელეკომპანია "მზის" ეთერით მხოლოდ "ლოკომოტივი"-"ბორჯომი" უნდა ენახა. მოგეხსენებათ, მედიაკომპანია "კოლხიდა" ყოველ ტურში თითო მატჩის პირდაპირ ტრანსლაციას აწარმოებს, შესაბამისად, მაყურებელი ვერ ნახავდა ტურისა და მთლიანად, ჩემპიონატის ერთ-ერთ გადამწყვეტ შეხვედრას, რომელიც ხვალ, მცხეთაში გაიმართება "ვიტ ჯორჯიასა" და "დინამოს" შორის.

დაგვეთანხმებით, საკმაოდ გაუგებარი და ალოგიკური გადაწყვეტილება იქნებოდა. თუმცა საბედნიეროდ, ბოლო მომენტში "კოლხიდამ" გარკვეული ტექნიკური პრობლემები მოაგვარა და როგორც გუშინ მედიაკომპანიის წარმომადგენლებმა გვითხრეს, "ვიტ ჯორჯია"-"დინამოს" გულშემატკივარი აუცილებლად პირდაპირი ეთერით იხილავს. შაბათს კი "ლოკომოტივი"-"ბორჯომის" რეპორტაჟიც მოეწყობა. ამ და დანარჩენი შეხვედრების მიმოხილვას კი "მზე" ტრადიციულად, კვირას, საღამოს 9 საათზე შემოგვთავაზებს.

იმედია, მცხეთის სტადიონზე ამჯერად მაინც იქნება ხალხმრავლობა. ისე კი, უმჯობესი იქნებოდა, უპრინციპულესი დერბი პარასკევის ნაცვლად, შაბათს დაენიშნათ...

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვიტ ჯორჯია-დინამოს წინ

## *დავით ლომაია:*
# ჩემპიონობა მაინც შეგვიძლია

**საქართველოს ჩემპიონობისთვის მებრძოლმა "ვიტ ჯორჯიამ" წინა ტურში უმნიშვნელოვანესი ქულები დაკარგა. ვეტერინარებმა გორში "სპარტაკს" ვერ სძლიეს და ერთპიროვნულ ლიდერ "დინამოსთან" ჩამორჩენა ოთხ ქულამდე გაზარდეს.**

**ამის მიუხედავად, "ვიტ ჯორჯიას" კიდევ აქვს ოქროს მედლების მოპოვების შანსი. საამისოდ ჯერ "დინამოს" უპირობო დამარცხებაა საჭირო, შემდეგ კი ჯორჯიელები უჰრინის გუნდის წაფორხილების იმედად უნდა იყვნენ. "დინამოს" ყველაზე რთული მატჩი ზესტაფონში ელის. მოკლედ, საჩემპიონო რბოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიძაბება, თუ დერბი ნესტორ მუმლაძის ფეხბურთელთა გამარჯვებით დასრულდა. "ლელოს" რესპონდენტი ვეტერინართა ცენტრალური მცველი დავით ლომაიაა.**

**- საუბარი "სპარტაკთან" მატჩით დავიწყოთ...**

- როგორც იცით, ამ თამაშამდე "ვიტ ჯორჯიას" გამარჯვებათა თოთხმეტმატჩიანი სერია ჰქონდა. ყველა სერიას აქვს დასასრული, მაგრამ სამწუხაროა, დანაკარგი ასეთ მნიშვნელოვან დროს რომ განვიცადეთ. გვქონდა რამდენიმე საგოლე მომენტი, მაგრამ მეტოქის კარი ვერ დავლაშქრეთ. ობიექტური რომ ვიყო, აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ გოლის გატანა "სპარტაკსაც" შეეძლო.

**- "ვიტ ჯორჯიას" ჩავარდნა ხომ არ ეწყება?**

- არა, ნამდვილად არა. გუნდი ფიზიკურად კვლავ მაღალ დონეზეა მომზადებული, არც სხვა სახის პრობლემები გვაწუხებს.

**- "დინამოსთან" შეხვედრამ კი შესაძლოა, ჩემპიონობის ბედი გადაწყვიტოს.**

- ეს თითოეულ ჩვენთაგანს შესანიშნავად ესმის. კარგად ვიცით, რასაც ნიშნავს "დინამოსთან" დაპირისპირება და მთელი მონდომებით ვემზადებით. მეტოქეს კარგად ვიცნობთ. ისტორიულად, "დინამოსთან" წარმატებით ვთამაშობთ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. პარასკევს დიდი ბრძოლა იქნება, გამარჯვების შანსი კი, ჩემი აზრით, ორივე გუნდს თანაბრად აქვს.

**- "დინამოსთან" ვინმე ხომ არ დაგაკლდებათ?**

- არა, ყველა მწყობრშია, ერთადერთი, გიორგი დათუნაიშვილმა მიიღო მცირე ტრავმა გორში, მაგრამ უკვე კარგადაა და "დინამოსთან" აუცილებლად ითამაშებს.

**- ამ სეზონში თუ ახერხებ "დინამოს" თამაშისთვის თვალის დევნებას?**

- რამდენიმე მატჩი ვნახე და მათი უმეტესობა გუნდმა კარგად ჩაატარა. "დინამო" ამჯერადაც სერიოზული მეტოქე იქნება, მაგრამ ჩვენი მიზანი მხოლოდ გამარჯვებაა. ჩემპიონობა მაინც შეგვიძლია, მთავარია, პარასკევს სამი ქულა მოვიპოვოთ და შემდეგ დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება.

**- მეორე ადგილსა და უეფას თასის საგზურს "ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელობა დადებითად შეაფასებს?**

- სეზონის წინ გვითხრეს, რომ სამეულში მოსახვედრად უნდა გვებრძოლა. შესაბამისად, მეორე ადგილიც წარმატება იქნება. თუმცა ბუნებრივია, ჩვენი მთავარი მიზანი ჩემპიონობაა. სეზონს მაღალ დონეზე ვატარებთ, უშუალო კონკურენტებთან კარგ შედეგებს მივაღწიეთ და დასანანი იქნება, ჩემპიონობა საშუალო დონის გუნდებთან წარუმატებლობების გამო თუ გავუშვით ხელიდან.

**- საკუთარ გეგმებზეც გვითხარი...**

- "ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს მეწურება. ჯერ ნამდვილად არ ვიცი, წავალ თუ არა. კონკრეტული წინადადება არ მიმიღია. თუ სასურველი ვარიანტი არ გამოიჩნდა, ალბათ, ისევ ამჟამინდელ კლუბთან გავაგრძელებ კონტრაქტს. დიდი შანსია, ნორმალური უცხოური კლუბი ჩემით იმ შემთხვევაში დაინტერესდეს, თუ ევროთასებზე წარმატებით ვიასპარეზებთ. აქედან გამომდინარე, დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რომ "ვიტ ჯორჯიას" ევროტურნირებზე აუცილებლად დავეხმარები. აქვე იმასაც დავამატებ, რომ ამ გუნდში თამაში ყველას ძალიან გვსიამოვნებს. "ვიტ ჯორჯია" კარგად აწყობილი კლუბია, ყოველ წელს ძირითადს ახალ-ახალი ნიჭიერი ჭაბუკები უშინაურდებიან. ასე, მაგალითად, ამ სეზონში გულშემატკივარმა ჯაბა ლიპარტია გაიცნო, რომელიც ბევრს მიაღწევს.

**- სიტყვამ მოიტანა და ობიექტურად თქვი, შესწევს დღევანდელ "ვიტ ჯორჯიას" ევროპაზე მეტ-ნაკლები წარმატებით თამაში?**

- ბევრი რამ მეტოქეებზეც იქნება დამოკიდებული. თუმცა ერთში დარწმუნებული ვარ - ჩვენი გუნდი ყაზახებთან და მათი დონის მოწინაალმდეგეებთან არ შერცხვება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ნაკრები

# ვის პასუხს ელიან ორ კვირაში?



ჟაკ სანტინი

ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების სავარაუდო მწვრთნელთა სია გაცხრილა და მასში ახლა მხოლოდ 5-6 მწვრთნელის გვარია. ჩვენი ინფორმაციით ფედერაციის სიაში არიან **ლუის ვან გაალი, ჟაკ სანტინი, ბრანკო ივანკოვიჩი და მორტენ ოლსენი.** ჩვენს ნაკრებთან მიმართებაში **ჟერარ ულიეს** გვარმაც გაიჟღერა, მაგრამ ულიე საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაში ტექნიკურ დირექტორად მუშაობს და ფრანგებს ის არ ეთმობათ. ამის დასტურად "როიტერის" მიერ გუშინ გავრცელებული ცნობაც გამოდგება. **ჟერარ ულიეს** გადაბირებას გერმანული "ჰამბურგი" შეეცადა, რასაც უმალ მოჰყვა რეაქცია ფრანგების მხრიდან: **"ჟერარ ულიეს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციასთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს. გვჯერა ის ხელშეკრულების ერთგული იქნება და სამუშაო ადგილს არ შეიცვლის".**

ნახსენები იყო **ფოლკერ ფინკეც,** თუმცა ქართული მხარე მასზე უფრო გამოცდილ და კვალიფიციურ მწვრთნელს ეძებს. ფინკეს ვარიანტი კი ალბათ, საბოლოო ვარიანტად თუ განიხილება.

ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ზემოთ დასახელებულ მწვრთნელებს, როგორც იტყვიან, კბილი მოუსინჯა. ბუნებრივია, ქართულ მხარეს აინტერესებს თუ რამდენად საინტერესო იქნებოდა მათთვის საქართველოს ნაკრების გაწვრთნა და მზად იყვნენ თუ არა მოლაპარაკების დასაწყებად. მათი მხრიდან გარკვეულ ინტერესი მართლაც იგრძნობა.

ხსენებული კანდიდატებიდან ერთ-ერთმა ფედერაციას გარკვეული პასუხი უკვე უთხრა – საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა ჩემთვის საინტერესო წინადადებაა. ორი კვირა დამაცადეთ და საბოლოო პასუხს გეტყვითო. ეს უტყუარი ინფორმაცია ქართული ფეხბურთის ერთ-ერთმა ჩინოსანმა დაგვიდასტურა, მაგრამ პასუხის ავტორი არ გაამჟღავნა. ბუნებრივია, მას ზემოთ დასახელებული ოთხივე მწვრთნელზე (ვან გაალი, სანტინი, ივანკოვიჩი, ოლსენი) სათითაოდ დავეკითხეთ და პასუხად ეს მივიღეთ – ვინაობის გამჟღავნება თავად მწვრთნელს არ უნდა და ამიტომ ვერ დაგიკონკრეტებთო.

სხვა წყაროებით შევეცადეთ X მწვრთნელის ვინაობის დადგენას. კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ, მაგრამ ჩვენი ვერსიით, რომელიც გარკვეულ არგუმენტებს ეფუძნება, დრო ჟაკ სანტინიმ ითხოვა.

**დავით ცაბაძე**

ბავშვთა ფეხბურთი. ახალი ინვესტორი

# თელასი ნორჩი დინამოელის სპონსორია

## შესაძლოა, ეროვნული ნაკრებიც დააფინანსოს

მართლაც რომ სასიამოვნო და აღსანიშნავი ფაქტი მოხდა. სააქციო საზოგადოება "თელასი" ქართულ ფეხბურთში შემოვიდა. ინვესტორის ინტერესი ჯერჯერობით მხოლოდ ბავშვთა ფეხბურთით შემოიფარგლება, მაგრამ "თელასს" სხვა გეგმებიც აქვს...



უკვე ოფიციალურად გაცხადდა, რომ "თელასი" "ნორჩი დინამოელის" 14 წლის მოზარდების გუნდის სპონსორია, დანარჩენზე კი კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი **ვალერი ფანცულაია** გვესაუბრება.

- 2 თვის წინათ გადავწვიტეთ ბავშვთა ფეხბურთში ჩაგვედო ინვესტიცია. ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავასთან გვქონდა საუბარი. "თელასი" თბილისს მოიცავს და გვინდოდა ინვესტიციისთვის დედაქალაქური და თანაც ლიდერი გუნდი შეგვერჩია. საბოლოოდ არჩევანი "ნორჩი დინამოელის" 14 წლიანთა გუნდზე გავაკეთეთ.

**- რა ხანგრძლივობისაა კონტრაქტი და რას ითვალისწინებს?**

- კონტრაქტი ერთწლიანია და მხოლოდ "ნორჩი დინამოელის" 1994 წელს დაბადებულ მოზარდთა გუნდს მოიცავს. დავაკვირდებით, შესაძლოა გავაგრძელოთ კიდეც.

ამას გარდა, გვინდა სამ გამორჩეულად ნიჭიერ მოზარდს წლის განმავლობაში ყოველთვიური სტიპენდია დავუნიშნოთ 50 ლარის ოდენობით.

**- რამდენად რეალურია გავრცელებული ინფორმაცია თითქოს ქართულ ფეხბურთში უფრო მასშტაბურ ინვესტიციას და ეროვნული ნაკრების სპონსორობას აპირებთ?**

- ამ საკითხზე ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ვმუშაობთ და არა მგონია მოკლე ხანში გადაწყდეს. გვინდა რალაც ფორმით საქართველოს ეროვნული ნაკრების სპონსორები გავხდეთ, მაგრამ საკითხი ჯერჯერობით განხილვის სტადიაშია.

**- მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი სექტემბერში დაიწყება. ალბათ ეს საკითხი მანამდე გადაწყდება...**

- ამას არ გამოვრიცხავ, მაგრამ ამ ეტაპზე გადაჭრით ვერაფერს გეტყვით.

**დავით ცაბაძე**

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი;** მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში;** გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.**

მისამართი: **0159 თბილისი, ახმეტელის 10ა** (დიღომი, ახალი კონსტუდია, I სართული); ტელეფონები: **46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 46 32 62;** ელფოსტა: **sporti@sporti.ge;** ინდექსი **66435 INDEX.**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში გამოქვეყნება აკრძალულია

### ინტერვიუ არჩილ არველაძესთან

# შოთა ბექჰემთან

## საქართველოს მენტალური და პროფესიული პრობლემები



არჩილ და შოთა არველაძეები

მენტალიტეტი! საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გუშინდელ "ლელოში" განაცხადა, ეროვნული ნაკრებისთვის მწვრთნელის შერჩევისას ეს ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანი იქნებაო.

ნაკრების უცხოელი მწვრთნელი კარგად უნდა ჩასწვდეს ქართულ მენტალიტეტს და სწორი დასკვნები გააკეთოს - ასე დგას საკითხი.

მაინც, რა არის ჩვენი მენტალიტეტი? რითი განსხვავდება ქართველი ფეხბურთელის ხასიათი და შეხედულებები ფრანგისგან თუ ხორვატისგან?

თემა ისეთია, საკამათოდ და სამასლაათოდ რომ ღირს. ჩვენი რესპონდენტი კი ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი არჩილ არველაძე გახლავთ.

**- 90-იან წლებში საქართველოს ნაკრებს, სხვათა გარდა, ალბათ, მენტალური პრობლემებიც ჰქონდა - მაინც როგორია ქართველი ფეხბურთელის მენტალიტეტი? რაშია პრობლემა?**

- ჩემი თაობის ნაკრებელებს მენტალიტეტის მხრივ პრობლემა არ გვქონია, ჩვენი უმთავრესი ნაკლი გამოუცდელობა იყო - საერთაშორისო დონეზე პირველ ნაბიჯებს ვდგამდით. სანაკრებო დონეზე მუშაობის გამოცდილება აკლდათ ჩვენს მწვრთნელებსაც. ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ მწვრთნელები ჩვენი ნაკრების ფეხბურთელების ნიჭს უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე მათ ფიზიკურ ფორმას - თუ ამას ჩავთვლით ქართული მენტალიტეტის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ქართული მენტალიტეტი გავლენას ახდენდა ნაკრებზე.

**- იოჰან ბოსკამპი კი პირიქით თვლიდა, პრობლემა ქართველი ფეხბურთელების მენტალიტეტშიაო...**

- ეს ისეთი საკითხია, უკულმა შეტრიალებაც რომ შეიძლება. წარმოიდგინეთ, ქართველი პირველად ჩავიდა გერმანიაში, მისთვის უცხო რალაცეებს რომ შეეჯახა, თქვა, ამათ რა მენტალიტეტი ჰქონიათო. მოკლედ, არა მგონია, ქართული მენტალიტეტი ევროპელებს რაიმე პრობლემებს უქმნიდეს. საქართველოში ბევრი უცხოელი ჩამოსულა და ჩვენი ხალხი ისე მოსწონებია, აქედან წასვლა არ მონდომებია.

**- ერთი საკითხიც - თქვენი თაობის ფეხბურთელებმა ძალიან კარგად იცით, რომელი მწვრთნელები იყენებდნენ ეროვნულ ნაკრებს კერძო მიზნებისთვის, როგორ შეჰყავდათ ნაკრებში სატრანსფეროდ გამზადებული ფეხბურთელები. არც მაშინ და არც მერე ამაზე ნაკრების არც ერთ ფეხბურთელს ღიად არ უსაუბრია. ეს არ არის თქვენი თაობის ნაკრებელების მენტალური პრობლემა?**

- ერთის მხრივ არ არის ცუდი, როცა შეგიძლია, ვილაცის ცუდი არ გამოააშკარავო - ეს მაშინ ხდება, როცა დამსახურებულ ხალხთან გვაქვს საქმე. სხვა მომენტიცაა - მე შეიძლება ბევრი რამ ვიცი, მაგრამ საერთო ოჯახის იმიჯს ვუფრთხილდები. ხომ გახსოვთ, ჰელმუტ კოლს რომ ამოუქექეს რალაც-რალაცეები, მაგრამ მკაცრად არ დაუსჯიათ. კარგ ქვეყნებში ეს იშვიათად ხდება, ჩვენთან კი - ხშირად და ესაა მთავარი განსხვავება.

**- საქართველოს ნაკრებს თამაში თამაშამდე არასდროს წაუგია?**

- არა, როცა ნაკრებში ვთამაშობდი, ასეთი რამ არასდროს მომხდარა. ახლა კი ვერ გეტყვით, ამ მხრივ რა სიტუაციაა.

**- როგორც უნდა იყოს, ჟინითა და შემართებით საქართველოს ნაკრები ალბათ არასდროს ჰგავდა, მაგალითად, გერმანიის ნაკრებს...**

- აქ მენტალიტეტი არაფერ შუაშია. ეს უკვე სხვა ფაქტორია - პროფესიონალიზმი.

**- როგორ ფიქრობ, რა ტიპაჟის მწვრთნელი გამოადგება საქართველოს ნაკრებს? ამ მხრივ როგორ განიხილავდი ლუის ვან გაალის კანდიდატურას?**

- ვან გაალი ჩემი ძმის მწვრთნელი იყო და მასზე სხვებზე უფრო მეტი ინფორმაცია მაქვს - მე ვან გაალისკენ უფრო ვიხრები, ვიდრე, მაგალითად, ბრანკო ივანკოვიჩისკენ. რა თქმა უნდა, ივანკოვიჩმა ირანში წარმატებით რომ იმუშავა და იქაურ სიტუაციასთან შეგუება რომ მოახერხა, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი არგუმენტია მის სასარგებლოდ. მოკლედ, არ არის ადვილი იმის გათვლა, ვინ უფრო გამოადგება საქართველოს ნაკრებს. თუ ივანკოვიჩს დავნიშნავთ და არ გაამართლებს, იტყვიან, ვან გაალის შანსი იყო და ივანკოვიჩი რატომ დაინიშნაო. მე მაინც უფრო სახელიან მწვრთნელს ვამჯობინებდი.

**- კლაუს ტოპმიოლერი უფრო სახელიანი იყო, ვიდრე, სრეჩკო კატანეცი, რომელსაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას თურქი აგენტი ბაარამ თუთუმლუ სთავაზობდა. ტოპმიოლერი არ გამოგვადგა...**

- ტოპმიოლერის არჩევისას პრიორიტეტი ალბათ ის იყო, რომ ის არ არის ტიპიურად გერმანელი მწვრთნელი, უფრო სამხრეთული სტილის მიმდევარია, რაც საქართველოს ნაკრებთან ახლოსაა.

**- არის აზრი, რომ თემურ ქეცბაია წარმატებით გაუძღვება საქართველოს ნაკრებს. მაგრამ აქ ასეთი მომენტია - სანაკრებოდ ქართველ მწვრთნელებს შორის არჩევანი ძალიან მწირია, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ერთი კანდიდატურაა ქეცბაიას სახით და ერთიდან ერთის არჩევა ალბათ საჩოთიროა...**

- ქეცბაიას არაორდინალური ხასიათი და ემოციურობა შესაძლოა, გამოადგეს საქართველოს ნაკრებს, რადგან ამ მომენტისთვის ჩვენ ეროვნულ გუნდს თითქოს წართმეული აქვს ჟინი. ზოგადად, მწვრთნელ ქეცბაიას შევაქებდი, მაგრამ მისმა ემოციურმა ხასიათმა შესაძლოა პირიქითაც იმოქმედოს საქართველოს ნაკრებზე.

**- ძმებმა არველაძეებმა ოთხი წლის წინათ დააფუძნეთ საქველმოქმედო ფონდი. რა იქნება ამ ფონდის უახლოესი პროექტი?**

- 3 ივნისს შოთას გამოსათხოვარი მატჩი სწორედ ამ ფონდის შემწეობით გაიმართება. ბილეთის ფასი 5 და 10 ლარი იქნება. ფონდის პრეზენტაცია კი 12 მაისს გაიმართება.

**- ლაპარაკი იყო კლიპის გადაღებაზეც...**

- კი, მაგრამ ფონდი აქ არაფერ შუაშია. "პეპსი" ახალ სარეკლამო კლიპს იღებს, რომელშიც შოთაც იქნება დევიდ ბექჰემთან და სხვა ვარსკვლავებთან ერთად. ეს კლიპი "პეპსის" საერთაშორისო პროექტია.

**დავით თავართქილაძე**

### ინტერვიუ ავთანდილ კუნჭულიასთან

# ბათუმს მოშურნეები ხელს უშლიან

## ჯერ ლიგაში დავრჩეთ, მერე ყველაფერს ვიტყვი

**გასულ უქმეებზე "ბათუმმა" „მგლებს" 2:0 მოუგო, რითაც, უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი ისევ შეინარჩუნა. მიუხედავად იმისა, რომ აჭარლებს საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან უწევთ მატჩების გამართვა, გუნდის მთავარი მწვრთნელი ავთანდილ კუნჭულია ოპტიმისტურადაა განწყობილი და სჯერა მისი გუნდი ელიტაში ადგილს შეინარჩუნებს.**

**— „მგლებს" 2:0 მოუგეთ, თუმცა ორივე გოლი პენალტიდან გავიდა, თამაშიდან კი გუნდმა ვერ მოახერხა კარის აღებს. არის თუ არა ეს თავდამსხმელთა სუსტი თამაშის ბრალი?**

— გეთანხმებით, ორივე გოლი თერთმეტმეტრიანით გავიტანეთ, მაგრამ მის მოპოვებასაც ხომ დამსახურება უნდა. თუ ფეხბურთელმა არ იაქტიურა, პენალტს ხომ არ გაჩუქებენ? თავადაც კარგად დაინახეთ, რომ ზუგდიდელები ჩვენს შეტევებს ვერ უმკლავდებოდნენ და ჯერ კაკალაძე, შემდეგ ჩხეტიანი და ცანავა წესების დარღვევით შეაჩერეს.

**— წინ საკმაოდ რთულ მეტოქეებთან გიწევთ შეხვედრა და ბევრი პესიმისტურადაა განწყობილი...**

— დარჩენილ ხუთ შეხვედრაში „ამერს", „ვიტ-ჯორჯიას", „ლოკომოტივს", „ზესტაფონსა" და „მესხეთს" ვხვდებით. ძლიერი გუნდებია, მაგრამ უკან დასახევი გზა არ გვაქვს. ხუთ მატჩში 9 ქულა რომ დავაგროვოთ, მაშინ გავარდნის საფრთხე აღარ დაგვემუქრება.

**— არის საუბრები იმის შესახებ, რომ უმაღლეს ლიგაში ქუთაისის „ტორპედოს", ლანჩხუთის „გურიასა" და ფოთის „კოლხეთს" დააბრუნებენ, ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს კი დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებად დაჰყოფენ. ასეთ შემთხვევაში, ბათუმის „დინამო" უმაღლესი ლიგიდან გავარდნას გადარჩება...**

— რაც თქვენ თქვით, ჯერჯერობით, საუბრებია და მეტი არაფერი. ჩვენ ვერ ვიქნებით ამის იმედად, ამიტომ, პირველ რიგში, საკუთარი ძალებით უნდა ვეცადოთ სანადელის მიღწევას.

**— ბევრჯერ გამიგონია თქვენგან, რომ ფეხბურთელებს სეზონის წინ შეთამაშების საშუალება არ ჰქონდათ, რამაც განაპირობა კიდეც ბათუმელთა სუსტი თამაში...**

— მართალია. კარგი ფეხბურთელები დავიმატეთ, მაგრამ ოცი დღე რომ ევარჯიშათ ერთად, მაშინ ასეთ სიტუაციაში არ აღმოვჩნდებოდით.

**— კაკალაძისა და ჭელიძის დუეტზე დიდ იმედებს ამყარებდით, თუმცა, აშკარაა, რომ ორივე ფორვარდი ვერაა ჩვეულ ფორმაში...**

— დავიწყებ იმით, რომ კაკალაძემ საკმაოდ სერიოზული ტრავმა გადაიტანა და ფაქტობრივად, ერთი წელი არ უთამაშია. რაც შეეხება ჭელიძეს, მას კოჭი აწუხებს, მაგრამ ჩვენი თხოვნით და ექიმთა სისტემატური ჩარევით, მოედანზე გადის და მაინც თამაშობს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ თუ თავდასხმა მოიკოჭლებს, ნახევარდაცვაზე ნამდვილად არ მეთქმის აუგი. ბაბუნაშვილისა და ქებაძის დუეტი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში.

**— მიუხედავად იმისა, რომ დაცვა ასე თუ ისე, სტაბილურად თამაშობს, მგონი, მაინც და მაინც, კმაყოფილი არ უნდა იყოთ...**

— „მერანთან" მატჩში დაცვისა და მეკარის შეუთანხმებელი თამაშის გამო წავაგეთ, მაგრამ არ მინდა ახლა ვინმე დავადანაშაულო. მაგაზე უკვე ვისაუბრეთ. მეკარეებს რაც შეეხება, თოთლაძეც და სტურუაც სტაბილურად თამაშობენ.

**— როგორ ფიქრობთ, როგორც მწვრთნელი, ამართლებთ?**

— უცბად არაფერი მოდის. პირადად მე, მწვრთნელობასთან ერთად, თავადაც ვსწავლობ. ბათუმში ბევრი გამოცდილი მწვრთნელი მუშაობდა და მათგან ბევრი რამ ვისწავლე. სისტემატური კონტაქტი მაქვს ოთარ კორღალიძესთან, გაიოზ დარსაძესთან და ბევრ სპეციალისტთან, რომლებიც საკუთარ გამოცდილებას მიზიარებენ.

**— გუნდში ახალი ფეხბურთელი, რევაზ ჩელებაძის ვაჟი გიორგი გამოჩნდა. ეყოლება ბათუმს მისი სახით ახალი „ჩელე"?**

— გიორგი 1992 წელსაა დაბადებული და ბათუმის „დინამოში" მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარა. საკმაოდ პერსპექტიული ბიჭია.

**— ლეგენდარული ფორვარდის ვაჟმა ნახევარმცველობა არჩია?**

— არა, ჩვენ დავწიეთ ოდნავ უკან და შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე დავაყენეთ. თუმცა თუ შევატყობთ, რომ კარგი ფორვარდია, აუცილებლად გადავიყვანთ თავდასხმის ხაზში.



ავთანდილ კუნჭულია

**— რთული მატჩების წინ რა განწყობაა გუნდში?**

— საბრძოლო. ყველამ კარგად იცის, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია ყველას, პირველ რიგში ჩვენი ქალაქის წინაშე. თუმცა, არის ერთი ფაქტორი, რომელზეც მართალია, არ მინდა საუბარი, მაგრამ არც უთქმელობა ვარგა.

ყველა კარგად ხედავს, თუ როგორ ვცდილობთ გულშემატკივართა იმედების გამართლებას და ყველაფერს ვაკეთებთ ამისათვის. სპორტის მინისტრი და ქალაქის მერი, თითქმის ყველა ჩვენს თამაშს ესწრებიან, ეს კი დიდი სტიმულია ფეხბურთელებისთვის. თუმცა არიან მოშურნეებიც, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, ხელი შეგვიშალონ. მოვა დრო და ყველაფერს ვიტყვი. მანამდე კი, უმაღლესში ადგილი უნდა შევინარჩუნოთ.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

ლეგიონერები

# მალხაზ ასათიანი: სათამაშოდ მზად ვარ

## ქართველი მცველი კონფლიქტს გამორიცხავს



მალხაზ ასათიანი

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის "ლოკომოტივის" მცველი **მალხაზ ასათიანი** კარგა ხანია გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ თამაშის საშუალება ჯერ არ მისცემია. რკინიგზელთა გუნდში ასათიანი ყოველთვის სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელად და საკვანძო ფიგურად მიიჩნეოდა. შესაბამისად, ჯანმრთელი ასათიანის უთამაშებლობამ ყველა გააოცა. "ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელ **რაშიდ რახიმოვს** ეს არ გამორჩენია და რუსულ პრესას განუცხადა – მალხაზ ასათიანი გამოჯანმრთელდა, მაგრამ სათამაშოდ მზად ჯერ არააო.

გუშინ კი რუსული პრესა ამავე კითხვაზე პასუხის მიღებას თავად ქართველი ფეხბურთელისგან შეეცადა.

*"ჯერ ნაკრებში თამაშისას მივიღე ფეხის ტრავმა. მერე წელის ტკივილმა შემაწუხა და ამის გამოც გარკვეული პერიოდი გამიცდა. თუმცა წელის ტკივილს რახიმოვის ვარჯიშები ნამდვილად არ უკავშირდება. ბოლო სამი სეზონია, ჩემპიონატის სტარტი ტრავმების გამო მიცდება. ალბათ, რაღაც უიღბლობაა. მთავარია, უკვე გამოვჯანმრთელდი, აღარაფერი მაწუხებს და მზად ვარ ვითამაშო, მაგრამ ყველაფერი ჩემზე არაა დამოკიდებული, ამას მწვრთნელი წყვეტს. თუ ის თვლის, რომ ჯერ კიდევ არ ვარ მზად სათამაშოდ, მაშინ სხვა რა დამრჩენია, უნდა გავაგრძელო მომზადება და დაველოდო როდის მათამაშებენ"*, - აღნიშნა ასათიანმა.

რუსი ჟურნალისტები დაინტერესდნენ ასათიანსა და რახიმოვს შორის "შავმა კატამ ხომ არ გაირბინა":

*"რა თქმა უნდა მწვრთნელზე ნაწყენი არ ვარ. ამ ვითარებაში რა შემიძლია გავაკეთო? მივიდე მწვრთნელთან და ვკითხო რატომ არ მათამაშებს? ამას არ ვაპირებ. არ მინდა რომ მერე საუბარი დაიწყონ ასათიანი კონფლიქტს ეძებსო. ყველა შემთხვევაში მთავარი მწვრთნელი წყვეტს ვინ გაამწესოს ძირითადში და ვინ - არა. ვივარჯიშებ და დავამტკიცებ, რომ მზად ვარ სათამაშოდ და გუნდისთვის სარგებლის მოტანა შემიძლია"*, - განმარტა მალხაზ ასათიანმა.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ჩემპიონატი. I ლიგა

**დასავლეთი ზონა**

გადადებული მატჩი

ზესტაფონი 2-კოლხეთი (ფ) 5:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მადაროელი | 22 | 18 | 2 | 2 | 46-15 | 56 |
| 2. ზესტაფონი 2 | 22 | 12 | 2 | 8 | 38-21 | 38 |
| 3. მეშახტე | 22 | 12 | 2 | 8 | 35-30 | 38 |
| 4. მერანი მ. | 22 | 10 | 5 | 7 | 27-19 | 35 |
| 5. ტორპედო | 22 | 9 | 6 | 7 | 32-26 | 33 |
| 6. კოლხეთი ხ. | 22 | 8 | 6 | 8 | 30-25 | 30 |
| 7. კოლხეთი ფ. | 22 | 8 | 6 | 8 | 27-30 | 30 |
| 8. სამტრედია | 22 | 6 | 4 | 12 | 26-45 | 22 |
| 9. უნივერსიტ. | 22 | 6 | 3 | 13 | 16-25 | 21 |
| 10. ფაზისი* | 21 | 2 | 2 | 17 | 17-55 | 8 |

**აღმოსავლეთი ზონა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო 2 | 22 | 12 | 6 | 4 | 33-18 | 42 |
| 2. გაგრა | 22 | 12 | 5 | 5 | 44-32 | 41 |
| 3. მეშაძრე | 22 | 11 | 7 | 4 | 31-19 | 40 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 222 | 11 | 5 | 6 | 33-18 | 38 |
| 5. ჩიხურა | 22 | 10 | 6 | 6 | 35-29 | 36 |
| 6. ოლიმპი 2 | 22 | 8 | 7 | 7 | 28-24 | 31 |
| 7. კახეთი | 22 | 8 | 4 | 10 | 33-34 | 28 |
| 8. ამერი 2 | 22 | 7 | 2 | 13 | 30-36 | 23 |
| 9. ოლიმპიკი | 22 | 6 | 4 | 13 | 29-44 | 16 |
| 10. ნ. დინ/მერ. 2 | 22 | 0 | 6 | 16 | 17-59 | 6 |

*ფაზისი მოხსნილია გათამაშებიდან

ინტერვიუ

# მრავალი მაგალითია, ფეხბურთელებს



1001 სევდა

მერაბ მამულაშვილი

**ჩვენი რუბრიკა დღევანდელი ვითარების ადეკვატურია. სევდა და საფიქრალი ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს არასოდეს აკლდათ, ახლა კი ეროვნული ნაკრების სამარცხვინო თამაშმა საერთო მდგომარეობის სიმძიმე კიდევ უფრო თვალნათლივ გამოაჩინა. უამრავი ადამიანი სვამს კითხვას: რა მოხდება არჩევნების შემდეგ და რა ეშველება საქართველოს ნაკრებს? საფეხბურთო ოპოზიცია კი 21 აპრილისთვის ემზადება. მათ ქართულ ფეხბურთში არსებული რეალობის ერთობლივი ძალებით შეცვლა სურთ. დავით უგრელიძე, "ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის" დამფუძნებელი, ლანჩხუთის "გურიის" ვეტერანი ფეხბურთელი რადიკალურია შეფასებებში და აცხადებს, რომ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის შეუცვლელად, არსებული პრობლემები ვერ მოგვარდება...**



დავით უგრელიძე

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**- ბატონო დავით, ჩვენი რუბრიკა ქართული ფეხბურთის პრობლემებს ეძღვნება. თქვენ რომელ მათგანზე გაამახვილებთ ყურადღებას?**

- მსურს, ყველა იმ საკითხს შევეხო, რამაც, ვფიქრობ, ქართული ფეხბურთი დღევანდელ სავალალო მდგომარეობამდე მოიყვანა. ხშირად სვამენ კითხვას: არსებობს თუ არა საფუძველი იმისი, რომ მოწვეულ იქნას ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა. ჩემი აზრით, არსებობს, უფრო მეტიც: ყრილობა დაუყოვნებლივაა მოსაწვევი, ქართული ფეხბურთის მმართველებმა გამოუსწორებელი შეცდომები რომ აღარ დაუშვან, რისი არაერთი მაგალითი უკვე არსებობს, აღარ დაუშვან თავისი არაპროფესიონალიზმით, არაკომპეტენტურობითა და საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებით, რომ ყველასთვის საყვარელი და ძვირფასი ქართული ფეხბურთი საბოლოოდ არ გაანადგურონ. შეგახსენებთ, რომ ნოდარ ახალკაცსა და მის გუნდს, პრეზიდენტის არჩევნების დროს, საზოგადოებისთვის, გულშემატკივრებისა და, რაც მთავარია, საფეხბურთო სამყაროსთვის არ წარმოუდგენია საპრეზიდენტო პროგრამა. რით მოდიოდა ის ფეხბურთის ფედერაციის სათავეში და რის გაკეთებას აპირებდა ამ საპრეზიდენტო ვადაში, ამაზე არავინ არაფერი იცოდა. ახლა რომ ვფიქრობ, მივდივარ დასკვნამდე, რომ ეს შეგნებულად გაკეთდა, რადგან თუ არ არის პროგრამა, არ არსებობს დაპირება, შესაბამისად, ამ პროგრამის შესრულების მოთხოვნაც არ იარსებებს. აი, ეს არის მათი მუშაობის სტილი, რამაც ამ შედეგებამდე მიგვიყვანა. ფეხბურთის დღევანდელი მმართველები, დღიდან მოსვლისა, შეცდომებს შეცდომებზე უშვებენ.

**- შეცდომა ვის არ მოსდის?!**

- მაგრამ, შეცდომასაც გააჩნია. ჩემი აზრით, შეცდომა იყო ალენ ჟირესის გათავისუფლება. ის ტოპმიოლერზე ბევრად ნაკლებ ანაზღაურებას იღებდა, ნაკრები კი უფრო გააზრებულ ფეხბურთს თამაშობდა. მერე, შეცდომას შეცდომა დაუმატეს და ნაკრების მთავარ მწვრთნელად გაიოზ დარსაძე მიიწვიეს. შეცდომა იყო ტოპმიოლერის საქართველოში ჩამოყვანაც, რომ აღარაფერი ვთქვათ მისთვის ამხელა ხელფასის დანიშვნაზე. დღეს ეს ყველაფერი უკვე წყალშია გადაყრილი. ასევე გაუმართლებელი იყო ყველა ასაკობრივ ნაკრებში დაბალი კვალიფიკაციის უცხოელი მწვრთნელების დასაქმება.

**- მოდით, ისიც ვთქვათ, რომ ფედერაციას სასიკეთო საქმეებიც აქვს გაკეთებული. იგივე, ტალანტების მოძიების პროგრამა და საინფორმაციო ბაზის შექმნა პატარა საქმე არაა.**

- მე ფედერაციის მუშაობას მთლიანობაში ვაფასებ და არა ცალკეული ეპიზოდებით. მათ ხელში ფეხბურთი უკანუკან მიდის და უბედურებაც ესაა. მაინტერესებს, თქვენთვის გაუგებარი არ იყო ტოპმიოლერისთვის კონტრაქტის გაგრძელების მცდელობა და მისი მუშაობის ახალკაცისეული შეფასება? - მუშაობით კმაყოფილი ვარ, შედეგით არაო. დამეთანხმებით, ეს ყოველგვარ ლოგიკას სცილდება. მინდა ვკითხო ფედერაციის პრეზიდენტს: ბატონო ნოდარ, თუ მწვრთნელის მუშაობით კმაყოფილი ხართ, შედეგითაც არ უნდა იყოთ კმაყოფილი? და თუ უკმაყოფილო ხართ შედეგით, გამოდის, რომ მუშაობითაც უკმაყოფილო უნდა იყოთ. ეს ხომ ელემენტარული ლოგიკაა? შეცდომა დაუშვეს პრიორიტეტების განსაზღვრის დროსაც, თუმცა არც არანაირი პრიორიტეტები არ განუსაზღვრავთ. მათთვის პრიორიტეტი იყო ერთადერთი: მთელი ფინანსური რესურსები ეროვნული ნაკრებისკენ მიმართეს. და რა გამოვიდა აქედან? გამოვიდა ის, რომ დანგრეული სახლის შენება სახურავიდან დაიწყეს. დიახ, ჩვენი ფეხბურთი სწორედ რომ დანგრეული სახლია, რომელიც ერთ დროს ულამაზესი სასახლე იყო. ელემენტარული ჭეშმარიტებაა: სახურავი არასოდეს იქნება მყარი, თუ მას არ ექნება მყარი კედლები და რა თქმა უნდა, საძირკველი. ამგვარად ნაშენები სახლი ერთ მშვენიერ დღეს ხუხულასავით დაინგრევა, რაც, სამწუხაროდ, უკვე დაგვემართა კიდეც.

**- ნაკრები ქვეყნის ფეხბურთის სახეა და, ალბათ, ჰქონდათ იმის საფუძველიც, პრიორიტეტულ მიმართულებად რომ ჩათვალეს...**

- დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ მოდით, სხვა კუთხითაც შევხედოთ. ჩემი აზრით, აქ არის რამდენიმე ასპექტი. პირველი: საქართველოს ნაკრები არის ქართული ფეხბურთის სახე, რომელიც რეალურად ასახავს ჩვენს ფეხბურთში არსებულ სიტუაციას. მათ დადეს ფსონი ეროვნულ ნაკრებზე, სხვა მიმართულებების იგნორირების ფასად. თუ ეს ფსონი გაუმართლებ-

» 5

U21. ფუტსალი. შესარჩევი ციკლი

# ბულგარეთს მოვუგეთ, მაგრამ მაინც ჩავრჩით




ფუტსალში საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა შესარჩევ ციკლში ჯგუფური მატჩები დაასრულა. როგორც უკვე ვწერდით, ჩვენმა ახალგაზრდულმა ჯგუფის მასპინძელ სლოვენიასთან 1:5 მარცხი იწვნია. სამწუხაროდ, **პეტრე თაბუკაშვილის** გუნდი მეორე ტურში დამარცხდა, ამჯერად 2:8 წავაგეთ. ჩვენი გუნდიდან ორივე გოლი **ბესარიონ კობიძემ** გაიტანა. ბოლო ტურში ჩვენმა 21-წლამდელებმა ბულგარელები დაძაბულ ბრძოლაში 5:4 დაამარცხეს. ქართველთაგან გოლები **წიწკალაძემ, მუმლაძემ, მაისაიამ, ზუმბაძემ** და **კობიძემ** გაიტანეს. თუმცა ორი მარცხის შემდეგ ერთი მოგება ჯგუფიდან გასვლისთვის საკმარისი არ იყო. საბოლოოდ ჩვენი ჯგუფიდან სლოვენია გავიდა 9 ქულით და 6-ქულიანი ბელგია.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით უგრელიძესთან

# როგორ სთავაზობდნენ ნაკრებში აყვანას



საფეხბურთო ოპოზიცია

ნუგზარ სუარიძის ფოტო

«4 დათ და ეროვნული გუნდი შესაბამის შედეგს დაგვანახებდა, მაშინ ამუშავდებოდა პიარ-მექანიზმები და დაიხატებოდა სურათი, რომ საქართველოში ფეხბურთს აყვავების ხანა უდგას და ფედერაცია იდეალურად მუშაობს. ეს კი მუშაობის უპრობლემოდ გაგრძელების საშუალებას მისცემდათ და ქართულ ფეხბურთს ბოლომდე გაყვლეფდნენ. მაგრამ ეს არ გამოუვიდათ, რადგან გამართული საფეხბურთო ინფრასტრუქტურის, მყარი საფეხბურთო მეურნეობისა და, რაც მთავარია, მყარი საფეხბურთო სისტემის გარეშე, საქართველოს ეროვნული ნაკრების წარმატებები წარმოუდგენელია. თქვენ ეს ფსონი წააგეთ ბატონებო, არ გაგიმართლათ და კეთილი ინებეთ, გვერდზე გადექით, გზა მიეცით ადამიანთა იმ ჯგუფს, ვინც თქვენგან განსხვავებით, საქმეს გააკეთებს არა საკუთარი პიარისთვის, არამედ თავის ავტორიტეტს, პროფესიონალიზმს, საქმისადმი თავდადებას, ქართული ფეხბურთის გადარჩენა-განვითარებას მოახმარს. მეორე: მათ ხელში ნაკრები არაჩვეულებრივი საშუალება აღმოჩნდა, რომ სასურველი ფეხბურთელებისთვის რეკლამა გაეკეთებინათ და შემდეგ, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, სატრანსფერო ბაზარზე ეფექტურად ემუშავათ. ჩვენ არა ერთი მაგალითი ვიცით, როგორ სთავაზობდნენ ფეხბურთელებს ეროვნულ გუნდში აყვანას. თუკი მათ ნებას დაემორჩილებოდნენ და "კლიენტებად" გაუხდებოდნენ, კარიერას უცხოურ კლუბებში გააგრძელებდნენ. ხოლო ვინც მათ წინადადებას არ მიიღებდა, ნაკრების შემადგენლობაში ველარ მოხვდებოდა. გაიხსენეთ გოგიტა გოგუას ცნობილი წერილი, რომელიც, რატომღაც, მიიჩქმალა... აი, ბატონებო, ეს არის მთავარი მიზეზები იმისი, თუ რატომ გაკეთდა აქცენტი ეროვნულ ნაკრებზე. შედეგად, მივიღეთ ის, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი კოლოსალური თანხები ჰაერში გავისროლეთ. არადა, ეს ფული მიზნობრივად რომ დაეხარჯათ, დღეს რამდენიმე ნაბიჯით წინ ვიქნებოდით, პროგრესი საგრძნობი იქნებოდა. სხვათა შორის, იმასაც შეცდომად ვთვლი, რომ კვლავ უცხოელი, ძვირადღირებული მწვრთნელის ჩამოყვანაზე მუშაობენ.

**- სახელმწიფომ ფეხბურთის განვითარებისთვის დამატებითი თანხები გამოჰყო, ასევე, ნაკრების მწვრთნელისთვის. კი, მაგრამ, ქვეყნის მთავარ გუნდს ნორმალური სპეციალისტი არ სჭირდება?**

- ჩემი აზრით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ეროვნული ნაკრები ძვირადღირებული უცხოელი მწვრთნელის ჩამოსაყვანად მზად არ არიან. თანაც, ამ საკითხის ერთპიროვნულად გადაწყვეტის უფლება არავის აქვს. უმჯობესია, ეს თანხები სხვა მიმართულებით დაიხარჯოს, რადგან ამ ეტაპზე სერიოზულ შედეგებს ვერც ერთი მწვრთნელი ვერ მიაღწევს. ბავშთა ფეხბურთში სავალალო მდგომარეობაა, უმაღლესი ლიგის კლუბები ერთმანეთის მიყოლებით იშლებიან, გუნდებს ვარჯიშის ელემენტარული პირობები არ აქვთ, მსაჯთა კორპუსი გალატაკებულია და მათ შენახვას რაღაც კაპიკებით ცდილობენ. ქართულ ფეხბურთში ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად, სახელმწიფოსთან ერთად არავითარი სამუშაო არ ჩატარებულა. არადა, უპირველესად, სწორედ ეს ნაბიჯია გადასადგმელი, ბიზნესმენებმა კლუბებისა და ბავშვთა სკოლების დასაფინანსებლად ფული თამამად რომ გამოყონ. არ არსებობს სახელმწიფოსთვის შეთავაზებული არც ერთი ბიზნესპროექტი, რომელიც ფეხბურთს შემოსავალს მოუტანდა და განვითარების პერსპექტივას გაუჩენდა. მომავალში, ფედერაციის ფინანსურ დამოუკიდებლობას საფუძველი სწორედ ასეთმა საკანონმდებლო ინიციატივამ უნდა შეუქმნას. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი სწორედ ასეთი თემებით უნდა იყოს დაკავებული და არა საქართველოს ნაკრების ტექნიკური დირექტორობით. ფედერაციის თავკაცები არ ისმენენ არავის აზრს, არ აქვთ საქმიანი კონტაქტი ქართული ფეხბურთის ვეტერანებთან, არ კადრულობენ მათ არც ერთ რჩევას და ასე მიაქანებენ ჩვენს ფეხბურთს უფსკრულისკენ. ამის მაგალითია ისიც, თუ როგორ არ გაითვალისწინეს "ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის" გამოკითხვის შედეგები.

**- რომელი გამოკითხვის?**

- ტოპმიოლერის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. მასში თითქმის მთელი საფეხბურთო საზოგადოება მონაწილეობდა. მაგრამ, საკუთარი ტყავის გადასარჩენად, თავად გაუშვეს. ასე რომ, ბატონო ნოდარ, თქვენ მდინარის ერთ ნაპირზე ხართ და მოქმედებთ "ჩემი დუქნის" პრინციპით. ხოლო მთელი საფეხბურთო საზოგადოება მდინარის მეორე მხარესაა. და მთავარი პრობლემა - ლეგიტიმურობის საკითხი. თქვენ ქართულ საფეხბურთო სამყაროს არ აურჩევიხართ, თქვენ ხელისუფლებამ დაგნიშნათ. ამ საკითხზე ხშირად გვესმის, რომ ასე არაა, რომ ისტორიის მთავარი გმირი გიორგი ნემსაძე ჩუმადაა და აღიარებს, რომ ის გადადგა კანონიერად, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე... კარგით, რა. ჩვენ ვერ დაველოდებით, როდის დაიწყებს ნემსაძე მემუარების წერას, სიმართლე რომ გავიგოთ. მაგრამ ჩვენ ვიცით, სად არის სიმართლე და ის არის ერთი: ფედერაციის არსებული ხელმძღვანელობა არალეგიტიმურია. მორჩა და გათავდა! ეს არის არაკომპეტენტური, არაპროფესიონალი, არალეგიტიმური, საფეხბურთო სამყაროსთვის მიუღებელი და სრულიად უცნობი ადამიანების ერთობა, რომელიც ჩვენს ფეხბურთს გეგმაზომიერად ანგრევს. ამიტომ, ვურჩევ, გადადგნენ, ფედერაციის სუბიექტებს კი მოვუწოდებ, დაუყოვნებლივ მოითხოვონ რიგგარეშე ყრილობის ჩატარება, სადაც სამართლიანად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე იქნება არჩეული ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი, რომელიც სამართლიანობას აღადგენს და საფეხბურთო საზოგადოებას გააერთიანებს. გადავწყვიტეთ, გაერთიანებული ძალებით ვიბრძოლოთ ნოდარ ახალკაცის წინააღმდეგ. 21 აპრილს ჭადრაკის სასახლეში შევიკრიბებით და საზოგადოება დაინახავს, ვინ გვიჭერს მხარს ჩვენ და ვინ - ფედერაციის არალეგიტიმურ ხელმძღვანელობას. საფეხბურთო ოპოზიცია ამ დღისთვის მთელი სერიოზულობით ემზადება.

# ლევან გვაზავა დაშავდა

**ვლადივოსტოკის** "ლუჩ-ენერგიაში" **ლევან გვაზავამ** საუკეთესო სეზონს ატარებდა. პირველ ოთხ ტურში ის გუნდის გამორჩეული ფეხბურთელიც იყო. თუმცა მეხუთე ტურში, რამენსკოეს "სატურნთან" ტრავმა მიიღო და მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. დიაგნოზიც დაუსვეს – მყესების დაზიანება.

ვლადივოსტოკში დაბრუნებულმა ქართველმა ნახევარმცველმა ივარჯიშა და თავს უკეთესად გრძნობს. თუმცა კომპლექსური კვლევა ჯერ არ ჩაუტარებია და ექიმების საბოლოო პასუხს ორ დღეში შეიტყობს.



ლევან გვაზავა

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ქართველებმა მოაგებინეს



მიხეილ აშვეთია

**ომარ თეთრაძის** "ანჟიმ" რუსეთის პირველი დივიზიონის მეხუთე ტურის მატჩში, მახაჭყალაში ულიანოვსკის "ვოლგა" დაამარცხა (2:1) და 10 ქულით მესამე ადგილზე გადავიდა. "ანჟის" სამი ქულა ქართველებმა მოუტანეს - პირველი ტაიმის მიწურულს **მიხეილ აშვეთიამ** ანგარიში გაათანაბრა, ხოლო მატჩის 49-ე წუთზე სტუმართა კარში გადამწყვეტი გოლი **გოჩა ხოჯავამ** გაიტანა.

ბუნდესლიგაში ახალი მწვრთნელებით, მაგრამ **უკობიაშვილოდ** 5:0 იმარჯვა გელზენკირხენის "შალკემ", "კოტბუსთან" **კევინ კურანიმ** პოკერი შეასრულა. "დუისბურგთან" შეხვედრაში **ალექსანდრე იაშვილი** სათადარიგოთა სკამზე დასვეს, მას **ტიმო შტაფელდტი** ამჯობინეს.

წუხელ მეორე ბუნდესლიგის მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. ლიგაში დარჩენისთვის გააფთრებულად მებრძოლმა "კარლ ცაისმა" ვერ შეძლო შინ მიონხენგლადბახის "ბორუსიის" დამარცხება, არადა პირველი ტაიმის მერე 2:0-ს იგებდა. საბოლოოდ მატჩი 2:2 დასრულდა. ქართული ტრიოს გუნდი ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე 26 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა. "კარლ ცაისს" უხიფათო ზონამდე 8 ქულა აშორებს. გლადბახელებთან მატჩში "კარლ ცაისს" ლიდერი ჩეხი **იან სიმაკი** დაუბრუნდა ნახევარდაცვის ხაზში, ამიტომ **გიორგი სეთურიძეს** სათადარიგოთა სკამზე მოუწია გადასვლა. სეთურიძის დებიუტი "კარლ ცაისში" "ფრაიბურგთან" მატჩში სწორედ სიმაკის დისკვალიფიკაციის წყალობით წინა ტურში შედგა. ის შეხვედრა, ნაგების მიუხედავად, აღსანიშნი იყო **გიორგი სეთურიძისთვის.** ახალგაზრდა ქართველმა ნახევარმცველმა, რომელსაც მძიმე ტრავმის გამო ნახევარ წელიწადზე მეტი გაუცდა, იენელთა შემადგენლობაში პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა. "მოხარული ვარ, რომ "ფრაიბურგთან" თავის გამოჩენის საშუალება მომეცა. სამწუხაროა, რომ "კარლ ცაისს" არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა აქვს, თუმცა ამ დღით მაინც არ ვარ უკმაყოფილო. მეორე ბუნდესლიგაში დასარჩენად ბოლომდე ვიბრძოლებთ", - განაცხადა სეთურიძემ. **ილია კანდელაკმა** დაცვაში შეუცვლელად ითამაშა და "შპორტალისგან" 4 ბალი დაიმსახურა. **გიორგი ონიანი,** თანამემამულე სეთურიძის მსგავსად, სათადარიგო იყო. **ოთარ ხიზანეიშვილის** "ფრაიბურგი" სტუმრად "კობლენცთან" 2:3 დამარცხდა და ბუნდესლიგის საგზურის მოპოვების შანსი მნიშვნელოვნად შეიმცირა. კარგა ხანია, ქართველი მცველი "ფრაიბურგის" განაცხადშიც კი ვერ ხვდება. ტრავმირებული **მათე ღვინიანიძის** "მიუნხენი" დღეს "ვეენს" უმასპინძლებს.

ავსტრიის რანგით მეორე ლიგაში **მირზა ბუალავას** ლუსტენაუს "აუსტრიამ" დიდი ანგარიშით სძლია "კარნტენს" - 4:1. "აუსტრია" 47 ქულით მეორე ადგილზეა და ლიდერ "კაპფენბერგს" ხუთი ქულით ჩამორჩება. მირზამ შეუცვლელად ითამაშა მასპინძელთა შუა ხაზში.

დანიის პირველ დივიზიონში ფორვარდ **მიხეილ ბარაბაძის** ჰიკ-მა შინ 0:4 წააგო "ჰვიდოვრესთან". სხვათა შორის, წინა ტურში გოლით თავი ქართველმა ფორვარდმა გამოიჩინა. ლატვიურ ვირსლიგაში ერთი მატჩი შედგა, ჩემპიონმა "ვენტსპილსმა" შინ 2:0 მოუგო "რიგას". **ზურაბ მენთეშაშვილი** ჯერაც ტრავმირებულია და შესაბამისად, არ უთამაშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰანზა-ვერდერი 1:2

**ჰანზა:** ვეხტერი-2.5, სებასტიანი-4, ორესტესი-3, გლედსონი-4.5, მ. შტაინი-4, ბიულოვი-4, რათგები-3, კერნი-4 (73. ცეტკოვიჩი), რანი-4.5 (60. პირსი-3.5), ბარტელსი-4, მენგა-5 (73. ჰენგე).

**ვერდერი:** ვიზე-3.5, კ. ფრიტცი-3.5, მერტეზაკერი-3, ნალდო-4.5, პასანენი-3 (73. ოვომოიელა), ბაუმანი-3, ფრინგსი-2 (84. ვრანიეში), ბოროვსკი-4, დიეგო-4.5 (73. ჰანტი), კლასნიჩი-3, სანოგო-5.

*82-ე წუთზე ნალდომ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გოლები:** 0:1 ფრინგსი (57), 1:1 ჰენგე (76), 1:2 კლასნიჩი (82)

**გაფრთხილება:** 0-2 ; **დარტყმა:** 13 (3)-14(6); **ჯარიმა:** 12-15; **კუთხური:** 9-8; **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 22 000

## ჰერტა-ჰამბურგი 0:0

**ჰერტა:** დრობნი-2.5, ჩაჰედი-4, ა. ფრიდრიხი-4, შიმუნიჩი-4.5, სკაჩელი-5, ლუსტენბერგერი-4.5 (70. დარდაი-4), კაჩარი-3.5, მინეირო-3.5, პიეჩეკი-4 (85. ედე), ებერტი-5 (76. ბილერი), ლიმა-5.

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-3.5, ბენჯამინი-4, ბ. რაინჰარდტი-3, მატიისენი-3.5, ბოატენგი-4.5 (55. ბრეკო-4), დე იონგი-3.5, დემელი-3, ტროხოვსკი-4, სორინი (18. ბენ-ჰატირა-5), ზიდანი-4.5, ოლიჩი-6 (76. გერერო).

*75-ე წუთზე ოლიჩმა ვერ გაიტა პენალტი (ააცილა)*

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 8(4)-12(4); **ჯარიმა:** 16-12; **კუთხური:** 2-6; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 40 289

## ვოლფსბურგი-ბოხუმი 0:1

**ვოლფსბურგი:** ბენალიო-3.5, ბაიერი-2.5, რ. კოშტა-3.5, შიმუნეკი-4, მ. შეფერი-3.5 (71. ნიანგი), ჟოსუე-4, ჰასებე-3.5, გენტნერი-3.5, მარსელინიო-4 (71. კრჟინოვეკი), ჯეკო-4.5, დეჟაგა-3.

**ბოხუმი:** რენო-3, კონჩა-4, მალტრიტცი-3, იაია-2.5, მაიხელბეკი-3.5, იმჰოფი-3, აზაუაგი-4.5 (79. დრშეკი), ო. შრიოდერი-4, მიჩიელი-5 (72. აუერი), სესტაკი-3.5, ბიელიკი-5 (62. ბეხმანი-3).

**გოლი:** 0:1 სესტაკი (88)

**გაფრთხილება:** 5-1; **დარტყმა:** 22(4)-7(4); **ჯარიმა:** 17-17; **კუთხური:** 8-3; **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 18 101

## შალკე-კოტბუსი 5:0

**შალკე:** ნოიერი-3.5, რაფინია-2,5, ვესტერმანი-3.5, ბორდონი-2.5, პანდერი-2, ჯონსი-2.5 (88. გროსმიულერი), ფ. ერნსტი-1.5, ა. შტრაიტი-2.5 (76. ასამოა), ჰალილ ალთინთოფი-3.5, სანჩესი-1.5, კურანი-1 (85. ლარსენი).

**კოტბუსი:** ტრემელი-4.5, ვ. და სილვა-6, მიტრესკი-5 (46. რადელიჩი-5), კვიტანოვიჩი-6, ციბიგი-5, ბასილა-5.5 (70. ვასილიევიჩი-3.5), ს. ანგელოვი-5, ტ. როსტი-4.5, სკელა-5, რივიჩი-5.5 (60. იელიჩი-5), დ. სიორენსენი-5.

**გოლები:** 1:0 ვ. და სილვა (31-საკ. კარში), 2:0 კურანი (37), 3:0 კურანი (41), 4:0 კურანი (59), 5:0 კურანი (80)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 24(8)-6(2); **ჯარიმა:** 7-17; **კუთხური:** 6-1; **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 60 018

## აინტრახტი-ბაიერნი 1:3

**აინტრახტი:** პრიოლი, ოხსი, რუსი, გალინდო, შპიხერი, ინამოტო, მ. ფინკი (81. კაიო), კიოლერი, ფენინი, ვაისენბერგერი (71. მ. ჰელერი), ამანატიდისი.

**ბაიერნი:** რენზინგი, სანიოლი (78. ლამი), ლუსიო, ვან ბუიტენი, ლელი, შვაინშტაიგერი, ოტლი, სოსა, კროოსი (46. პოდოლსკი), რიბერი (68. შლაუდრაფი), ტონი.

**გოლი:** 1:0 კიოლერი (29), 1:1 ვან ბუიტენი (60), 1:2 ტონი (74), 1:3 ტონი (84)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 9(4)-13(7); **ჯარიმა:** 17-12; **კუთხური:** 1-5; **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 51 500

## არმინია-ლევერკუზენი 1:0

**არმინია:** ფერნანდესი, კუჩერა, მიატოვიჩი, გაბრიელი, შულერი, კაუფი, კირხი, ტ. მარქსი, ჰალფარი (90. ზუმა), აიგლერი (74. კამპერი), ვიხნიარეკი (92. ბიომე).

**ლევერკუზენი:** რ. ადლერი, კასტრო, მ. ფრიდრიხი (59. ბულიკინი), კალსენ-ბრაკერი, შარპეი, ზინკევიჩი, როლფესი, ბარბარესი (46. შვეგლერი), კისლინგი, ბარნეტა (35. დუმი), გეკასი.

**გოლი:** 1:0 მიატოვიჩი (51)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 7(1)-1(1); **ჯარიმა:** 3-7; **კუთხური:** 1-0; **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 20 000

## შტუტგარტი-ნიურნბერგი 3:0

**შტუტგარტი:** რ. შეფერი, ბეკი, მეირა (37. ტასკი), დელპიერი, მანინი, პარდო, ა. და სილვა, ჰილბერტი (87. შუსტერი), ბაშთურქი, ბოკა (80. ფიშერი), კაკაუ.

**ნიურნბერგი:** ბლაჟეკი (58. კლევერი), კრისტიანსენი, ა. ვოლფი, აბარდონადო, პინოლა, გალაშეკი, ენგელჰარდტი, საენკო, მიშიმოვიჩი (80. მინტალი), ვიტეკი, ხარისტეასი (46. მნარი).

**გოლები:** 1:0 კაკაუ (3), 2:0 ა. და სილვა (13), 3:0 მეირა (31)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 14(5)-11(5); **ჯარიმა:** 13-20; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 48 000

## ბორუსია (დ)-ჰანოვერი 1:3

**ბორუსია (დ):** ჰიოთეკე, ფ. დეგენი (38. კრუსკა), ჰუმელსი, რ. კოვაჩი, დედე, კელი, ბლაჟჩიკოვსკი, კრინგე, ფედერიკო (64. ფრაი), კლიმოვიჩი, პეტრიჩი.

**ჰანოვერი:** ენკე, ჩერუნდოლო, ისმაელი, ვინიციუსი (38. ფარენჰორსტი), კ. შულცი, ლალა, ბალიტში (63. ჰაშემიანი), ჰუშტი, ბრუგინკი, ჰანკე, შტაინერი.

**გოლები:** 0:1 ბრუგინკი (38), 0:2 ფარენჰორსტი (42), 1:2 ფრაი (65), 1:3 ჰუშტი (74)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 14(3)-13(6); **ჯარიმა:** 21-34; **კუთხური:** 8-7; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 61 400

## დუისბურგი-კარლსრუე 0:1

**დუისბურგი:** შტარკე, ლამეი, ავალოსი, შლიკე, ვილი (82. ვეინაუ), გრლიჩი, ბოდცეკი, ტიფერტი (46. ლავრიჩი), მაიკონი (82. დაუნი), გეორგიევი, ნიკულესკუ.

**კარლსრუე:** მ. მილერი, ა. გიორლიტცი, ეგიმანი, შტოლი, აიხნერი, ადუბე, პორცელო, შტაფელდტი (70. ტიმი), ჰაინალი (87. ბუკი), ფრაისი (90. კაპლანი), კენედი.

**გოლი:** 0:1 ჰაინალი (81)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 18(6)-13(5); **ჯარიმა:** 12-15; **კუთხური:** 2-2; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 17 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 29 | 18 | 9 | 2 | 55-17 | 63 |
| 2. ვერდერი | 29 | 16 | 5 | 8 | 62-41 | 53 |
| 3. შალკე | 29 | 14 | 9 | 6 | 47-31 | 51 |
| 4. ჰამბურგი | 29 | 12 | 12 | 5 | 37-21 | 48 |
| 5. შტუტგარტი | 29 | 15 | 3 | 11 | 48-43 | 48 |
| 6. ლევერკუზენი | 29 | 14 | 5 | 10 | 50-31 | 47 |
| 7. ვოლფსბურგი | 28 | 12 | 7 | 9 | 45-39 | 43 |
| 8. აინტრახტი | 29 | 11 | 9 | 9 | 35-39 | 42 |
| 9. ჰანოვერი | 29 | 11 | 8 | 10 | 43-47 | 41 |
| 10. კარლსრუე | 29 | 11 | 8 | 10 | 32-36 | 41 |
| 11. ბოხუმი | 29 | 9 | 10 | 10 | 43-45 | 37 |
| 12. ჰერტა | 29 | 9 | 7 | 13 | 30-36 | 34 |
| 13. ბორუსია (დ) | 29 | 9 | 7 | 13 | 42-53 | 34 |
| 14. კოტბუსი | 29 | 7 | 8 | 14 | 30-48 | 29 |
| 15. არმინია | 29 | 7 | 7 | 15 | 27-52 | 28 |
| 16. ჰანზა | 29 | 7 | 6 | 16 | 25-41 | 27 |
| 17. დუისბურგი | 29 | 7 | 4 | 18 | 28-43 | 25 |
| 18. ნიურნბერგი | 28 | 5 | 8 | 15 | 30-46 | 23 |

**ბომბარდირები:** 20 - ტონი (ბაიერნი); 15 - გომესი (შტუტგარტი); 14 - კურანი (შალკე); 13 - პეტრიჩი (ბორუსია დ); 12 - დიეგო (ვერდერი); 11 - სესტაკი (ბოხუმი), პანტელიჩი (ჰერტა), როზენბერგი (ვერდერი); 10 - ოლიჩი (ჰამბურგი), ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), გეკასი (ლევერკუზენი), კლოზე (ბაიერნი), მიშიმოვიჩი (ნიურნბერგი).

## II ბუნდესლიგა

### XXIX ტური

**კაიზერსლაუტერნი-აუგსბურგი 2:0**

გოლები: 1:0 ბოლი (18), 2:0 სიმპსონი (39).

**მაინცი-პადერბორნი 6:1**

გოლები: 1:0 ბალიაკი (29), 2:0 ბორხა (40), 3:0 ფოილნერი (60), 4:0 ბორხა (61), 4:1 დამიანოვიჩი (63), 5:1 ბორხა (83), 6:1 ამრი (90).

**კიოლნი-ოსნაბრიუკი 2:0**

გოლები: 1:0 ჰელმესი (41), 2:0 ანტარი (44).

**ალემანია-აუე 1:0**

გოლი: 1:0 პლასჰენრიხი (88).

**კარლ ცაისი-ბორუსია (მ) 2:2**

გოლები: 1:0 შიდი (9), 2:0 შიდი (45), 2:1 კოლაუტი (64), 2:2 კოლაუტი (76).

**ფიურტი-ოფენბახი 2:1**

გოლები: 1:0 ბილიშკოვი (45), 1:1 აგრიტისი (69), 2:1 ნერიგი (83-პენ).

**კობლენცი-ფრაიბურგი 3:2**

გოლები: 1:0 კუქი (3), 1:1 გლოკნერი (19), 2:1 ჯოკაი (49), 3:1 ჯოკაი (57), 3:2 იდრისუ (59).

**ზტ. პაული-ჰოფენჰაიმი 3:1**

გოლები: 1:0 ლუდვიგი (14), 1:1 იაისლე (25), 2:1 ეგერი (54), 3:1 გიუნეში (90).

**მიუნხენ 1860-ვეენი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (მ) | 29 | 15 | 11 | 3 | 54-30 | 56 |
| 2. კიოლნი | 29 | 14 | 8 | 7 | 51-36 | 50 |
| 3. ჰოფენჰაიმი | 29 | 14 | 8 | 7 | 45-35 | 50 |
| 4. მაინცი | 29 | 13 | 10 | 6 | 53-30 | 49 |
| 5. ფიურტი | 29 | 13 | 8 | 8 | 47-36 | 47 |
| 6. ფრაიბურგი | 29 | 12 | 10 | 7 | 40-37 | 46 |
| 7. ალემანია | 29 | 11 | 9 | 9 | 41-39 | 42 |
| 8. კობლენცი | 29 | 10 | 10 | 9 | 36-38 | 40 |
| 9. ზტ. პაული | 29 | 10 | 9 | 10 | 42-41 | 39 |
| 10. ვეენი | 28 | 9 | 10 | 9 | 41-44 | 37 |
| 11. მიუნხენ 1860 | 28 | 8 | 11 | 9 | 35-34 | 35 |
| 12. აუგსბურგი | 29 | 9 | 7 | 13 | 34-41 | 34 |
| 13. ოსნაბრიუკი | 29 | 9 | 7 | 13 | 37-50 | 34 |
| 14. ოფენბახი | 29 | 8 | 10 | 11 | 34-47 | 34 |
| 15. კაიზერსლაუტ. | 29 | 6 | 11 | 12 | 27-32 | 29 |
| 16. აუე | 29 | 6 | 8 | 15 | 36-47 | 26 |
| 17. კარლ ცაისი | 29 | 6 | 8 | 15 | 41-54 | 26 |
| 18. პადერბორნი | 29 | 4 | 11 | 14 | 23-46 | 23 |

**ბომბარდირები:** 18 - ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 15 - ფრინდი (ბორუსია მ); 14 - ჰელმესი (კიოლნი), რაიხენბერგერი (ოსნაბრიუკი); 13 - ბორხა (მაინცი); 12 - რაიზინგერი (ფიურტი); 11 - ნოივილი (ბორუსია მ), ტიურკერი (ოფენბახი); 10 - კიონიგი (ვეენი).

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIX ტური

# სამი დღე, რომელმაც შალკე ააშენა

## შაბათს 1:5, სამშაბათს 5:0. სლომკა იყო პრობლემა?

გასულ შაბათს, ბოლო სამი წლის განმავლობაში, "შალკე" ყველაზე დიდი ანგარიშით დამარცხდა (1:5 "ვერდერთან"), რასაც **მირკო სლომკას** პოსტიდან გათავისუფლება მოჰყვა. ხელმძღვანელებმა თქვეს, მწვრთნელის წინააღმდეგ რამდენიმე ფეხბურთელმაც გაილაშქრა, ბიჭებმაც გააკრიტიკესო. ცოტა უცნაურია ის, რომ ზუსტად სამი დღის შემდეგ, ამჯერად უკვე დროებითი მწვრთნელის, **მიხაელ ბიუსკენსისა** და მისი ასისტენტის, **იური მიულდერის** მიერ ორ დღეში განვრთნილმა "შალკემ" მიმდინარე სეზონში ყველაზე დიდი ანგარიშით მოიგო - 5:0 "კოტბუსთან". ფაქტია, რომ პრობლემა მხოლოდ სლომკა ყოფილა. რამდენად შესაძლებელია, რომ გუნდი სამ დღეში ასე გარდაიქმნას? შაბათისა და სამშაბათის "შალკეს" შორის უდიდესი სხვაობა იყო და გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ სლომკას ფეხბურთელებმა დემონტაჟი მოუწყვეს.



კურანიმ პოკერი კი იზეიმა, მაგრამ, შეიძლება, ჰეთ-თრიკი გაუფორმონ

"კოტბუსთან" მატჩის და საერთოდ, ტურის გმირი კი **კევინ კურანი** გახდა. გელზენკირხენელთა თავდამსხმელმა კარიერაში პირველი "პოკერი" შეასრულა და მეტოქე, ფაქტობრივად, მარტომ დაამარცხა. ერთი გოლი კი, კოტბუსელებმა საკუთარ კარში გაიტანეს და ის გოლიც კურანის დამსახურება იყო: მას **ვრაგელ და სილვამ** დაასწრო და ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, თორემ ხუთივე გოლის ავტორი "შალკეს" ფორვარდი იქნებოდა.

37-ე წუთზე, **ფაბიან ერნსტის** ჩაწოდების შემდეგ, ბურთისკენ კურანი და **კვიტანოვიჩი** დაიძრნენ და... ფაქტობრივად, ერთად დაარტყეს, მაგრამ გოლი შალკელს ჩაეთვალა. 41-ე წუთი: კევინმა ორი კოტბუსელი ჩამოიცილა და **ტრემელი** 17 მეტრიდან დაამწუხრა. 59-ე წუთი: გერმანიის ნაკრების ფორვარდი ერნსტმა იდეალური პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და - 3:0. მე-80 წუთზე კი, კურანიმ **რაფინიას** ჩაწოდებას დაუხვედრა თავი. ეს მისი მე-14 გოლი გახლდათ, თუმცა გამორიცხული არაა, რომ "პოკერი" ჰეთ-თრიკად გადაუკეთონ: ამ დღეებში, გერმანიის საფეხბურთო ლიგა პირველ გოლს განიხილავს და, შეიძლება, კვიტანოვიჩს ავტოგოლი ჩაეთვალოს.

*"ეს ჩვენი დღე იყო. ყველაფერი იდეალურად გამოგვივიდა. "პოკერი" ბოლოს ბავშვობაში შევასრულე და უბედნიერესი ვარ, რომ ეს ბუნდესლიგაშიც მოვახერხე,"* - განაცხადა კურანიმ ნამატჩევს. გულშემატკივრებმა ეს ფაქტიც იზეიმეს და ტრანსფარანტებით სლომკას მადლობა გადაუხადეს. სხვათა შორის, მირკო ტრიბუნაზე იჯდა. თამაშის დაწყებამდე მას "შალკეს" მენეჯერ **ანდრეას მიულერისთვის** ტექსტური შეტყობინება გაუგზავნია, წარმატებებს გისურვებთო. დროებითმა მწვრთნელმა ბიუსკენსმა კი ფეხბურთელები აქო, ჩვენი თამაშის ყურება დღეს ერთი სიამოვნება იყოო...

მეორეადგილოსანმა "ვერდერმა" როსტოკიდან სამი ქულა წაიღო. ეს იყო "მუსიკოსთა" ზედიზედ მესამე გამარჯვება იმ კრიზისის შემდეგ, რომელიც **თომას შააფის** გუნდს მეორე წრის შუაში დაატყდა თავს. 57-ე წუთზე, გამოჯანმრთელებულმა **ტორსტენ ფრინგსმა** გრანდიოზული გოლი გაიტანა. მეკლენბურგელთა მეკარე **შტეფან ვეხტერი** მან 28 მეტრიდან, უძლიერესი დარტყმით (სიჩქარე 114 კმ/სთ) დაამწუხრა. ამ გოლით და, საერთოდ, შესანიშნავი თამაშით, ფრინგსმა დაამტკიცა, რომ ტრავმას მისთვის არაფერი დაუკლია, შესანიშნავ ფორმაშია და გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** თამამად შეუძლია, გამოცდილი საყრდენი ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელი ფეხბურთელების სიაში ახლავე ჩაწეროს.

მეორე ტაიმის შუაში "მუსიკოსებს" გაუჭირდათ და გოლიც მიიღეს: 76-ე წუთზე, შეცვლაზე შესულმა **ჰენგემ** იხეირა. მაგრამ "ვერდერმა" მალევე მოიკრიბა ძალები. გამარჯვების გოლიც ფრინგსის დამსახურება გახლდათ. "ჰანზას" საჯარიმოში ის **გლედსონმა** წააქცია. პენალტის შესრულება **ნალდომ** ითავა, მაგრამ დარტყმა მეკარემ მოიგერია, თუმც დამატებაზე **ივან კლასნიჩმა** ივარგა და ამ სეზონში გატანილი მე-6 გოლით "მუსიკოსებს" უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოუტანა.

"ჰამბურგის" მთავარმა მწვრთნელმა **ჰუუბ სტევენსმა** "ჰერტასთან" მატჩს დროზე ჩაუსწრო. ის ეინდჰოვენში გახლდათ, სადაც მისი მეუღლე უმძიმესი ავადმყოფობით საწოლსაა მიჯაჭვული და სიკვდილს ებრძვის. საავადმყოფოდან ჰამბურგამდე სტევენსმა 700 კილომეტრი გაიარა. ამხელა გზაგამომვლილმა და დაქანცულმა შეგირდთა ცუდი თამაშით (0:0) ალშფოთება ვერ დამალა და სულ ცოფები ყარა. ახლა, ჩრდილოგერმანელებს უკვე 5-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ, "ჰერტას" კი სულაც 7 თამაშია, აღარ გაუმარჯვია. შესაბამისად, არც ისაა გასაკვირი, რომ 40 000-მა ფანმა ორივე გუნდს გამაყრუებელი სტვენა აუტეხა. შეხვედრას დაღი იმ ფაქტმაც დაასვა, რომ "ჰამბურგს" **რაფაელ ვან დერ ვაარტი** (დისკვალიფიკაცია) არ ჰყავდა, ხოლო "ჰერტას" ლიდერი **მარკო პანტელიჩი** (ტრავმა) ვერ ეხმარებოდა. თამაშის ყველაზე საინტერესო ეპიზოდი ეს იყო: 74-ე წუთზე, ბერლინელმა **იოზიპ შიმუნიჩმა** საკუთარ საჯარიმოში **გი დემელი** დასცა. პენალტის შესრულება **ივიცა ოლიჩმა** ითავა, მაგრამ კარს ააცილა. სტევენსი ლამის გადაირია, ოლიჩის მისამართით ხელების ქნევას მოჰყვა და მოგვიანებით შეცვალა კიდეც. გუშინვე, ჰუუბმა ისევ ეინდჰოვენისკენ აიღო გეზი...

**ფელიქს მაგათის** "ვოლფსბურგს" მეორე წრეში იდეალური სტარტი ჰქონდა და ახლა უეფას თასის საგზურისთვისაც იბრძვის. მართალია, "დესპოტმა" ფელიქსმა ბიჭებს ყოველგვარ საგზურებზე საუბარი აუკრძალა, მაგრამ ფაქტია, რომ "მგლები" ევროპაზე ოცნებობენ. თუ ასეა, შეუძლიათ, ეს ევროტურნირი დროებით დაივიწყონ, რადგან საკუთარ მოედანზე, ყველასათვის მოულოდნელად, "ბოხუმთან" 0:1 დამარცხდნენ. დამარცხდნენ და საუკეთესო ხუთეულს გვარიანადაც ჩამორჩნენ. რურელებმა ერთადერთი გოლი მატჩის მიწურულს გაიტანეს: შეცვლაზე შესულმა **ბეხმანმა,** შესანიშნავი სოლორეიდის შემდეგ, გადააწოდა **სესტაკს,** რომელმაც ვოლფსბურგელთა კარის დარაჯ **ბენალიოს** ბურთი ფეხებშუა გაუტარა. მეორე წრეში ეს "ვოლფსბურგის" მეორე მარცხი გახლდათ.

ლიდერი "ბაიერნი", რომლის ჩემპიონობაში ეჭვი უკვე ალარავის ეპარება, გუშინ თამაშობდა. "დორტმუნდის" განადგურებით (5:0) გაბედნიერებული ბავარიელები ფრანკფურტში ჩავიდნენ და, ალბათ, ზედმეტი თავდაჯერების ბრალი იყო, რომ პირველი ტაიმი წააგეს: 29-ე წუთზე ანგარიში **კიოლერმა** გახსნა. მაგრამ ჩემპიონობისთვის გამზადებული რეკორდმაისტერი მეორე ნახევარში გონს მოეგო: მე-60 წუთზე, აყლაყუდა **დანიელ ვან ბუიტენმა,** რომელიც კუთხურის დროს, ტრადიციულად, მეტოქის საჯარიმოში იყო ჩასული, საჰაერო დუელში მოწინააღმდეგეები დაჩაგრა და "აინტრახტის" კარის დარაჯ **პრიოლს** შანსი არ დაუტოვა. მერე "ბაიერნის" გოლეადორმა **ლუკა ტონიმ** დუბლი შეასრულა და მიუნხენურ კლუბს "ვერდერთან" 10-ქულიანი უპირატესობა შეუნარჩუნა, თავად კი 20 გოლზე ავიდა. იტალიელი რომ ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდებოდა (წარმოუდგენელია, ტონის ვინმე დაეწიოს), ამაში ბევრს ჯერ კიდევ იმ დღიდან არ ეპარებოდა ეჭვი, როცა ლუკა "ბაიერნში" ჩაირიცხა. აღსანიშნავია, რომ **ოტმარ ჰიტცფელდმა** წამყვან ფეხბურთელებს შაბათისთვის დასვენების საშუალება მისცა (მაგალითად, **ფრანკ რიბერი** 68-ე წუთზე **იან შლაუდრაფით** შეცვალა). შაბათს ხომ ბერლინში თასის ფინალია: "ბაიერნი"-"დორტმუნდი".

ვიფიქრეთ, "ლევერკუზენი" გამოსწორდა-თქო და ჰა, "ფარმაცევტები" "არმინიასთან" დამარცხდნენ (0:1). ამ გამარჯვებით ბილეფელდელებმა გასავარდნ ზონას თავი დააღწიეს და მე-15 ადგილზე აინაცვლეს, "შავ" სიაში კი "ჰანზას" "უკრეს თავი". თავის მხრივ, "ლევერკუზენმა" მეხუთე ადგილი დაკარგა, სადაც პოზიციები მოქმედ ჩემპიონ "შტუტგარტს" დაუთმო. შვაბებმა აუტსაიდერი "ნიურნბერგი" დაიბრიყვეს - 3:0. **არმინ ფეჰს** ბიჭებმა საქმე პირველივე ტაიმში მოათავეს.

"დორტმუნდი" კი ფინალის წინ უმძიმეს მდგომარეობაშია. თითქოს, "ბაიერნთან" განადგურება არ კმაროდა და, **თომას დოლის** გუნდმა გუშინაც დიდი სირცხვილი ჭამა. ვესტფალიელები საკუთარ მოედანზე "ჰანოვერთან" 1:3 დამარცხდნენ. ახლა BVB მე-13 ადგილზეა: "კოტბუსს" უსწრებს და "ჰერტას" ჩამორჩება. საკმარისია, შაბათსაც დამარცხდეს, რომ დოლის ისედაც მორყეულ სკამს, შეიძლება, ფეხები მოსძვრეს და ვინიცობაა, დაითხოვონ კიდეც. როგორც იქნა, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ისევ მოიგო "კარლსრუემ" (1:0 დუისბურგში): **ტამაშ ჰაინალის** გოლით და **ალექსანდრე იაშვილის** გარეშე...

**გოტფრიდ ლენცი**



ლუკა ტონიმ დუბლით გაილაღა

### მომდევნო ტური

25 აპრილი. აინტრახტი-ბორუსია (დ). 26 აპრილი. ჰამბურგი-შალკე, კარლსრუე-ვერდერი, ჰანოვერი-ჰერტა, ნიურნბერგი-არმინია, კოტბუსი-ჰანზა, ბოხუმი-დუისბურგი. 27 აპრილი. ბაიერნი-შტუტგარტი, ლევერკუზენი-ვოლფსბურგი.

ტორინო

# ნოველინოს ნაცვლად ისევ დე ბიაზი

კვირას "ტორინო" "ჯენოასთან" პირწმინდად (0:3) დამარცხდა. ტურინული კლუბის პრეზიდენტ **ურბანო კაიროს** ნათქვამი ჰქონდა, რომ მორიგი კრახის შემთხვევაში, **ვალტერ ნოველინოს** დასაცავად არგუმენტი აღარ ექნებოდა. იმ დღეს მწვრთნელი გადარჩა, თუმცა დროებით. გუნდი გასავარდნი ზონის მეზობლადაა და მასთან სულ რაღაც 5 ქულა აშორებს. მომავალ უიქენდზე "ტორინო" "ინტერს" მასპინძლობს. შანსებზე საუბარი ზედმეტია. ლიდერი უპირობო ფავორიტი გახლავთ და როგორ გინდა, მწვრთნელს ასეთ დროს გამარჯვება მოსთხოვო?

კაიროსგან განსხვავებით, ტიფოზები სასწრაფო ცვლილებას ითხოვენ, ცვლილებას, რომელიც, ალბათ, უკვე დაგვიანებულია და ნოველინოს გადაყენების შემთხვევაში ახალი დამრიგებელი ვერაფერს შეცვლის. გუშინწინ "ტორინოს" საწვრთნელ ბაზას ასეულობით ქომაგი მიადგა. ნაწილმა მოედანზე შეჭრა და ვარჯიშის ჩაშლაც კი სცადა, თუმცა პოლიციამ იყოჩაღა და ვნებები ჩააცხრო. საპროტესტო აქცია იქვე გაგრძელდა. ფანებმა ნოველინოს გადაყენება მოითხოვეს, თუმც ცალკეული მოთამაშეების მიმართაც ჰქონდათ პრეტენზია, განსაკუთრებით, ეს **ალვარო რეკობასა** და **დავიდე დი მიკელეს** ეხებათ. პრეზიდენტი იძულებული გახდა, მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გაეკეთებინა. მან კიდევ ერთხელ დაიცვა ნოველინო:

*"რა თქმა უნდა, ჩვენ მასთან ერთად უნდა დავასრულოთ სეზონი. ვფიქრობთ, ამ ეტაპზე მწვრთნელის გამოცვლა სწორი არ იქნება. ნოველინოს აქვს საიმისო ნიჭი და შესაძლებლობა, რომ გუნდი რთული მდგომარეობიდან გამოიყვანოს და სერია A-ში ყოფნას საფრთხე არ დაემუქროს. ტალანტი არც ფეხბურთელებს აკლიათ, მაგრამ ჩანს, რომ საერთო მიზნისთვის ერთიანობა არ არის. იმედი გვაქვს, ბოლო ტურებში ნოველინო "ტორინოს" დარაზმვას მოახერხებს. თითოეულმა მათგანმა უნდა აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა იმ საქმეზე, რასაც ემსახურება. გადარჩენისთვის ბოლო წუთამდე უნდა ვიბრძოლოთ".*



გუშინდელ პრეზენტაციაზე. ჯანი დე ბიაზი და ტორინოს პრეზიდენტი ურბანო კაირო

რამდენიმე კვირის წინათ, პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ თუ გუნდი გავარდნას გადაურჩებოდა, ფეხბურთელები სოლიდურ პრემიებს მიიღებდნენ: *"მე ეს არ გადამიფიქრებია. და, სხვათა შორის, არც არავის უთხოვია ჩემთვის რაიმე ჯილდო. უბრალოდ, სიტუაცია უნდა ავწონ-დავწონოთ. თუ დავრწმუნდებით, რომ ეს აუცილებელია, რატომაც არა? უკან არ დავიხევთ. მთავარია, თითოეული ნაბიჯი კლუბის ინტერესებს პასუხობდეს".*

მაგრამ უცებ ყველაფერი თავდაყირა დადგა. ნოველინო, რომელსაც კაირო გუშინწინ ხმალამოღებული იცავდა, უკვე გათავისუფლებულია. იტალიელ პრეზიდენტებს ხომ კვირაში შვიდი პარასკევი აქვთ. მათთვის ჩვეულებრივი ამბავია ერთხელ გაგდებული მწვრთნელის მეორედ მოწვევაც. მარტო მიმდინარე სეზონში ეს სამჯერ მოხდა. ძველი მწვრთნელი დაბრუნდა "ტორინოშიც" - **ჯანი დე ბიაზი**. "ტორო" მან გასულ ზაფხულს დატოვა და ესპანურ "ლევანტეს" (სადაც **შოთა არველაძე** თამაშობს) მიაშურა. მაგრამ რაკი "ლევანტეს" ბედი გადაწყვეტილია და მომავალ წელს სეგუნდა დივიზიონში ითამაშებს, დე ბიაზის კლუბის ნაადრევად დატოვებაში ხელი არ შეუშალეს. 51 წლის სპეციალისტი საქმეს გუშინ საღამოსვე შეუდგა. ცნობისთვის, სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში ეს მე-13 სამწვრთნელო ცვლილებაა.

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ინტერი სუასოსაც ყიდის?

## ნერაძურიმ მიზანში დიეგო და მანსინი ამოიღოო

იტალიურმა ტელეარხმა "კონტროკამპომ" საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა: **ერნან კრესპოსთან** ერთად, "ინტერი" **დავიდ სუასოსაც** გაყიდისო. პრინციპში, არც იქნება გასაკვირი. კრესპოზე ადრეც დავწერეთ. არგენტინელი ინტერული ყოფით უკმაყოფილოა. **რობერტო მანჩინის** ხელში ის იშვიათად ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში. ამ სეზონში მან მხოლოდ 16 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 4 გოლი გაიტანა. კრესპო ამაში მწვრთნელს ადანაშაულებს. ის ფიქრობს, რომ მანჩინი უსამართლოდ ეპყრობა და ამის გამო, მათ შორის, უსიამოვნო საუბარიც ყოფილა. მწვრთნელმა მას იგნორირება გაუკეთა ბოლო ტურშიც, როცა **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** არყოფნის მიუხედავად, კრესპო სკამზე დატოვა, ძირითადში კი **მარიო ბალოტელი** და **ხულიო კრუსი** დააყენა.

რაც შეეხება სუასოს. როგორც გახსოვთ, ჰონდურასელი ფორვარდი შარშან დიდი ზარ-ზეიმით იყიდეს. "კალიარის" სიმბოლო "მილანსა" და "ინტერს" შორის მწვავე დაპირისპირების საგნადაც კი იქცა. მაგრამ იმედები ვერც მან გაამართლა. მის ანგარიშზე მხოლოდ 8 გოლია, თუმცა მანჩინი დიდად არც მას სწყალობს. სუასომ 23 მატჩში მიიღო მონაწილეობა, საიდანაც მხოლოდ 9-ჯერ იყო ძირითად შემადგენლობაში.



დავიდ სუასო

"ინტერს" ასეთი გეგმა აქვს: სუასო "კალიარიში" დააბრუნოს, ოღონდ არენდით, ხოლო იქიდან ახალგაზრდა ფორვარდი **რობერტ აკვაფრესკა** წაიყვანოს. სხვათა შორის, აკვაფრესკაზე სატრანსფერო უფლებების ნახევარი "ინტერის" ხელშია, ამიტომ, ეს ოპერაცია **მასიმო მორატის** ძვირი არ დაუჯდება.

ახლა სავარაუდო მომსვლელებზეც ვთქვათ. იტალიური პრესა "ნერაძურის" დაინტერესების სფეროში ორ ბრაზილიელს, **დიეგოსა** და **ამანტინო მანსინის** მოიაზრებს. მანსინიმ, წესით, **ლუიშ ფიგუ** უნდა შეცვალოს. "რომასთან" კონტრაქტი მას 2009 წელს ეწურება. მანსინის გადაწყვეტილი აქვს, რომ "ჯალოროსი" მანამდე დატოვოს და საამისოდ ფიფას ახალი წესი გამოიყენოს. თუ ასე მოხდა, ის სულ რაღაც 5 მილიონ ევროდ დაიხსნის თავს.

დიეგოს გარდა კი "ინტერს" **ალექსანდრ გლები** და **დიეგო კაპელიც** ჰყავს მონიშნული. ამ ორის ტრანსფერზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გაძლიერდება მუშაობა, თუ ბრემენელები დიეგოს არ გააიაფებენ. დღევანდელი მდგომარეობით, ბრაზილიელი პლეიმეიქერი სადღაც 30 მილიონი ევროს ფარგლებში ჯდება.

მწვრთნელები

# ლიპი: დონადონის არ ვჭირდები

მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ნაკრებში **მარჩელო ლიპის** დაბრუნება ამ ეტაპზე თითქოს არარეალურია, პრესა მაინც ცდილობს, მისი სახელი, პირდაპირ თუ ირიბად, როგორმე "სკუადრა აძურას" დაუკავშიროს. აგერ, გუშინ გავრცელდა ახალი ინფორმაცია - ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ლიპი **რობერტო დონადონის** კონსულტანტი იქნებაო. ეს ხმებილა აკლდა დონადონის, რომელსაც ჯერ ახალი კონტრაქტის საკითხი არ გაურკვევია, მერე წინ ევრობატალიები ელის და ახლა ისევ ლიპის აჩრდილი...

მარჩელო ყოველთვის კორექტული იყო თავისი მემკვიდრის მიმართ. მისი აზრით, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ დონადონის სახით ერთადერთი სწორი არჩევანი გააკეთა. დღევანდელ სიტუაციასთან დაკავშირებით კი ლიპიმ, რომელმაც გუშინ მესინის უნივერსიტეტში ლექცია წაიკითხა, ასეთი კომენტარი გააკეთა:



მარჩელო ლიპი

*"დონადონის არ ვჭირდები. რად უნდა მას ჩემი რჩევები? ის ისედაც განათლებული და საქმის მცოდნე სპეციალისტია, ჰყავს დიდებული გუნდი და ყველა მოუთმენლად ველოდებით ევროპის ჩემპიონატს, სადაც იტალია ერთ-ერთი ფავორიტი იქნება".*

სხვათა შორის, პრესაში ისიც კი დაიწერა, თითქოს სწორედ ლიპიმ ურჩია დონადონის ევროპაზე **ალესანდრო დელ პიეროს** წაყვანა. თუმც ამის დამტკიცება თავისთავად ძალიან ძნელია, ისედაც ზღაპარს ჰგავს. რაც შეეხება დონადონის მომავალს, მედია მაინც ჯიუტად ამტკიცებს, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ის პოსტს ნებისმიერ შემთხვევაში დატოვებს და მას აუცილებლად ლიპი შეცვლის. ეგებ, კონსულტანტობის იდეაც არ არის შემთხვევითი და ამ პროცესებს უკავშირდება?

**გიორგი გელაშვილი**

მანჩესტერ სიტი

# სკოლარი მაინც ინგლისში

## და ისევ ერიქსონის ადგილზე. შვედ მწვრთნელს კი უმუშევრობა ემუქრება

**სვენ გორან ერიქსონი**, შეიძლება, უმუშევარი დარჩეს. "მანჩესტერ სიტის" მფლობელი **ტაქსინ შინავატრა** არ მალავს, რომ იმედგაცრუებულია. დუბაიში, ერთ-ერთ ბიზნეს-ფორუმზე ყოფნისას, მან ასეთი კომენტარი გააკეთა: *"მეორე წრეში ცუდად ვთამაშობთ. კმაყოფილი, რა თქმა უნდა, ვერ ვიქნები. სეზონი რომ დასრულდება, ყველაფერს გავაანალიზებთ და შესაბამის დასკვნებს გამოვიტანთ."* კითხვაზე, აპირებს თუ არა მთავარი მწვრთნელის შეცვლას, შინავატრამ მიუგო: *"ჯერჯერობით, ასეთი გეგმა არ განხილულა. ყველაფერი სეზონის ბოლოს გაირკვევა."*



სვენ გორან ერიქსონი

ინგლისური სააგენტოების ცნობით, ერიქსონის საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. სპეკულაციების თანახმად, "სიტი" მის შემცვლელთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. მანჩესტერული კლუბის ხელმძღვანელობა არც ადასტურებს და არც უარყოფს ინფორმაციას, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გუნდს **ლუიშ ფელიპე სკოლარი** ჩაიბარებს. ის პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელია. 2002 წელს სკოლარი ბრაზილიელთა დამრიგებელი იყო და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ის პორტუგალიაშიც შთამბეჭდავად მუშაობს. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე სკოლარის შეგირდები ფინალში გავიდნენ და მოულოდნელად დამარცხდნენ საბერძნეთთან. 2006 წლის მუნდიალზე კი - ნახევარფინალამდე მიაღწიეს და საფრანგეთთან მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ.

2006 წლის მუნდიალის წინ სკოლარის ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია ეპატიჟებოდა. კონტრაქტის პირობები, ფაქტობრივად, შეთანხმებული იყო. სკოლარის ორი წლის წინაც ერიქსონი უნდა შეეცვალა. მწვრთნელს სურდა, ხელშეკრულებაზე მუნდიალის შემდეგ მოეწერა ხელი, ინგლისელებმა გადაწყვიტეს, რომ გერმანიაში გამგზავრებამდე ეს საკითხი აუცილებლად უნდა მოგვარებულიყო. ყველას ახსოვს, თუ როგორ განვითარდა მოვლენები: სეუ ლუიშ ფელიპე პორტუგალიაში დარჩა და ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალიდან გამოაგდო. ალბიონელებმა მაშინდელი სვენის თანაშემწე, **სტივ მაკლარენი** დანიშნეს და წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩნენ.

დიდი ტრანსფერის მოლოდინში

# რონალდინიოს მაისურა ბერლუსკონის

## სადილი პრემიერ-მინისტრის სახლში. მაგრამ, რონი უნდა დარწმუნდეს, რომ მილანი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს

იტალიის პრემიერ-მინისტრის პოსტზე მესამედ არჩეული **სილვიო ბერლუსკონი**, მძიმე საარჩევნო ბატალიების მიუხედავად, საფეხბურთო საქმეებს უყურადღებოდ არ ტოვებს. **რონალდინიოს** ყიდვა მისი დიდი ხნის ოცნება იყო. ამიტომ, ის ბოლომდე იქნება ჩართული იმ პროცესებში, რომელიც „კიჟას" მილანური ტრანსფერით უნდა დაგვირგვინდეს. ბერლუსკონი დარწმუნებულია, რომ მომავალი სეზონიდან რონალდინიო „როსონერის" მაისურას მოირგებს...

გუშინ მან ბრაზილიელი ვარსკვლავის ძმასა და აგენტ **რობერტო დე ასისს** საკუთარ სახლში, სადილზე უმასპინძლა. გულთბილი დიალოგის შემდეგ, ბერლუსკონიმ ინტერვიუ მისცა „რადიო მონტე კარლოს", რომელშიც ეს თქვა: *„ჩამოვა თუ არა რონალდინიო? ჯერჯერობით, მხოლოდ მისი ძმაა ჩვენთან. ნაყოფიერად ვისაუბრეთ. თუმცა მინდა გითხრათ, რომ ამ მომენტისთვის გადაწყვეტილი არაფერია. გთხოვთ, ნუ აჩქარდებით. სტუმარმა რონალდინიოს მაისურა მაჩუქა. ეს კარგის ნიშანია. იმედი? იმედი ძალიან დიდი გვაქვს. მოლაპარაკებებში აშკარა პროგრესია და საქმე იქითკენ მიდის, რომ ბოლოს ყველა კმაყოფილი იქნება".*

დე ასისმა კი კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ამ მომენტისთვის მხოლოდ ერთ რამეზე შეიძლება ლაპარაკი - „მილანს" რონალდინიოს შეძენის საუკეთესო შანსი აქვს, განსხვავებით „ინტერისგან", რომელიც, თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ ფეხბურთელს „ნერაძურისთან" წინასწარი შეთანხმება აქვს დადებული. სხვათა შორის, გუშინ გავრცელდა ფრიად საგულისხმო ინფორმაცია, რომ თავად რონალდინიო სერია A-ს დასრულებას ელოდება. ცხადია, მისთვის მნიშვნელოვანია, მოხვდება თუ არა „მილანი" ჩემპიონთა ლიგაში. ჩვენ ადრეც ვივარაუდეთ, რომ ტრანსფერის საქმეში შეიძლება ამან სერიოზული როლი ითამაშოს. ვნახოთ.


სილვიო ბერლუსკონი

რეალი

# 70 მილიონი ევრო იბრაჰიმოვიჩისთვის

რამდენიმე დღის წინათ გამცნეთ, რომ პრედრაგ მიატოვიჩი ინგლისში იმყოფებოდა. ესპანური მედიის მტკიცებით, სამეფო კლუბის გენერალური დირექტორი კრისტიანო რონალდოს მენეჯერს შეხვდა და მისი კლიენტის მადრიდში გადაბარგებაზე ჩამოუგდო სიტყვა...

„დიარიო მარკა" მოგვახსენებდა, რომ **კრისტიანო რონალდოს** აგენტმა **პრედრაგ მიატოვიჩს** თანამშრომლობის პირობა ალუთქვა. ესპანური გრანდის გულშემატკივრებს დიდი ხნის წინ დაკარგული იმედი დაუბრუნდათ. **რამონ კალდერონმა** პირადად აღიარა, რომ სამეფო კლუბს პორტუგალიელი სუპერვარსკვლავის შეძენის შანსი აღარ ჰქონდა. მიატოვიჩისა და რონალდოს მენეჯერის შეხვედრის შემდეგ მადრიდული საფეხბურთო საზოგადოება ახალი ამბების მოლოდინში იყო გარინდული...

მაგრამ გუშინ, „რეალის" ინჩასებმა ძალიან უსიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს. უჩვეულოა, თუმცა „მანჩესტერ იუნაიტედის" მეორე მწვრთნელი **კარლუშ კეიროში** ესპანელ ჟურნალისტებს საკუთარი ინიციატივით დაუკავშირდა და სატელეფონო კონფერენცია მოაწყო. **სერ ალექს ფერგიუსონის** თანაშემწემ ჩვენს კოლეგებს ასეთი რამ განუცხადა: *„სულაც არ მიკვირს, რომ „რეალს" კრისტიანო რონალდოსთან თანამშრომლობის სურვილი გაუჩნდა. სამეფო კლუბი მსოფლიო გრანდია, რონალდო კი თანამედროვე ფეხბურთის უდიდესი ვარსკვლავი. გულწრფელად რომ გითხრათ, კრისტიანო „სანტიაგო ბერნაბეუზე" ფანტასტიკურ კარიერას გაიკეთებდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ფეხბურთელი „მანჩესტერ იუნაიტედსაც" ჰაერივით სჭირდება. არ შემიძლია, მადრიდელთა მისამართით რამდენიმე კომპლიმენტი არ ვთქვა. კლუბის დირექტორატი საქმეს პროფესიულად მოეკიდა და მართლაც გასაოცარი პირობები შემოგვთავაზა. თავად განსაჯეთ, რონალდოს სანაცვლოდ ისინი 120 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნას გამოთქვამენ. ფეხბურთს ასეთი ძვირი ტრანსფერი არ ახსოვს. რა თქმა უნდა, ძალიან დიდ ფულს ვიშოვიდით, მაგრამ რონალდო ჩვენთვის 120 მილიონზე გაცილებით მეტად ფასობს. ესპანელებმა თანხის გაზრდასა და სატრანსფერო მოლაპარაკებების სტრატეგიის შეცვლაზე რომ არ იფიქრონ, კლუბის სახელით ოფიციალურად განვაცხადებ, მთელ დედამიწაზე არ არსებობს ის ფული, რომლითაც კრისტიანო რონალდოს ყიდვას შეძლებენ. ბევრი რომ არ გავაგრძელო, პორტუგალიელ გენიოსს „მანჩესტერი" არ ყიდის."*

კარლუშ კეიროშის ამ განცხადების შემდეგ „დიარიო მარკას" კორესპონდენტი **ხოსე ფელიქს დიასი** პრედრაგ მიატოვიჩს დაუკავშირდა. გენერალური დირექტორი „რეალის" ყოფილი მწვრთნელის კატეგორიულობამ ძალიან დაამწუხრა: *„მესმის, მანჩესტერელები ხელოვნურ დაბრკოლებებს რატომ გვიქმნიან. ასეთი დონის ფეხბურთელის დაკარგვა რომელ გუნდს ენდომება, მაგრამ ვფიქრობ, ინგლისელებმა კრისტიანოს პოზიცია უნდა გაითვალისწინონ. მართალია, რონალდო ამ საკითხზე ღიად არ საუბრობს, მაგრამ დაზუსტებით ვიცი, რომ მას „სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაში სურს. კეიროშის კატეგორიულ განცხადებას ძალიან მძიმე დასკვნამდე მივყავარ. ვრწმუნდები, რომ პორტუგალიელის შეძენის შანსი არ გვექნება. არადა, მის მენეჯერთან საუბრის შემდეგ ოპტიმიზმით ავივსე. ჩვენი შეხვედრის დეტალებს არ გავამხელ, მაგრამ მოკლედ გეტყვით, რომ მისი აგენტი ყველაფერს აკეთებდა, რათა რონალდო სამეფო კლუბში გადმოეყვანა. სჯობს, ცრუ ილუზიები არ შევიქმნათ, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ „მანჩესტერის" ვარსკვლავის გადმობირების შანსი, ფაქტობრივად, ნულის ტოლია. მიუხედავად ამისა, ბრიტანულ კლუბთან ურთიერთობას უახლოეს მომავალში მაინც არ შევწყვეტთ. მოლაპარაკებები, ალბათ, ინერციით გაგრძელდება. ვინ იცის, იქნებ ამ პროცესში რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდეს."*




## იბრა მოდის, რობინიო მიდის?

დავუბრუნდეთ სატრანსფერო თემას. თუ იტალიურ გამოცემა „კორიერე დელო სპორტს" ვენდობით, სამეფო კლუბმა **ზლატან იბრაჰიმოვიჩისთვის** 70 მილიონი ევრო გაამზადა. „რეალს" შვედი დიდი ხანია მოსწონს და ვიდრე 2006 წლის ზაფხულში „ინტერს" მიაშურებდა, თავისკენ ექაჩებოდა, მაგრამ ზლატანმა იტალიაში დარჩენა ისურვა. „კორიერეს" მტკიცებით, მომავალი სეზონისთვის „რეალი" ტოპ-კლასის ცენტრფორვარდს უმიზნებს და კანდიდატთა შორის იბრაჰიმოვიჩი, თურმე, პირველ ნომრად ყოფილა. მადრიდელები იმისთვისაც მზად არიან, რომ „იბრას", წლიური ხელფასის სახით, არც მეტი, არც ნაკლები, 12 მილიონი ევრო შესთავაზონ.

მაგრამ არა გვგონია, **მასიმო მორატი** 26 წლის თავდამსხმელს ასე იოლად შეელიოს, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ **რონალდინიოსაც** ვერ ყიდულობს. ამას გარდა, „ინტერს" **ერნან კრესპოს, დავიდ სუასოსა** და **ადრიანოს** გასხვისება აქვს გადაწყვეტილი და მთლად უფორვარდოდ ხომ არ დარჩება?

მოულოდნელად, უარყოფით პლანში გაჟღერდა **რობინიოს** თემა. ბრაზილიელს ტრავმა ჰქონდა. ახლა ის ჯანმრთელადაა, „მურსიასთან" კვირას ითამაშა კიდეც, მაგრამ ეტყობა, რომ ფორმაში არ არის და ეს ბუნებრივიცაა. თუმცა ცუღლუტობისთვის კი იცლის. როგორც გაირკვა, ორიოდ დღის წინ მან „რეალის" სამწვრთნელი ბაზა უკანა კარიდან დატოვა, რათა ჟურნალისტებს ან კლუბის რომელიმე ჩინოსანს არ შეფეთებოდა. საგულისხმოა, რომ ინფორმაციას პრო-ბარსელონური გაზეთი „სპორტი" აქვეყნებს და არაა გამორიცხული, ამლაშებდეს კიდეც. მაგრამ იქვე მოყვანილია სხვა შემთხვევაც: ბრაზილიისა და შვედეთის ნაკრებთა ამხანაგური მატჩის (ლონდონში) შემდეგ, რობინიოს, **ჟულიო ბაპტიშტას, დანიელ ალვეშსა** და **დიეგოსთან** ერთად, ღამე ერთ-ერთ ბარში, საეჭვო ყოფაქცევის ქალბატონთა გარემოცვაში გაუტარებიათ.

ბარსელონური გაზეთი ასკვნის, რომ რობინიო „რეალისთვის" „ახალ კასანოდ" იქცა. იქვე, გამოცემა ეჭვობს, ბრაზილიელსა და **ბერნდ შუსტერს** შორის დაძაბულ ურთიერთობაზეც. როგორც ამბობენ, გერმანელ მწვრთნელს მისი გაშვება სურს, რობინიო კი შუსტერის მხრიდან გულგრილ დამოკიდებულებას გრძნობს და ვარჯიშზეც ამიტომ იცრუებს გულსო...

## კალდერონი ლაპორტას ადვოკატად დაუდგა

ამასობაში, „რეალის" პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა მთელი ესპანური საფეხბურთო საზოგადოება გააოცა. სამეფო კლუბის უმაღლესმა ხელისუფალმა სრულიად მოულოდნელად **ჟოან ლაპორტას** ადვოკატობა ითავა. „ტელესინკოსთვის" მიცემულ ინტერვიუში სენიორ კალდერონმა ასეთი რამ თქვა: *„რეალისა" და „ბარსელონის" მტრობაზე ლეგენდები დადის. ყველამ ვიცით, ამ სიძულვილით მთელი თაობები აღიზარდა, მაგრამ ინტელექტუალური ადამიანისთვის პრინციპული მოწინააღმდეგის მტრობაც კი არ არის მისაღები. მოგეხსენებათ, „ბარსელონა" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ითამაშებს. ეს გუნდი ევროპულ ასპარეზზე ესპანეთის ღირსებას დაიცავს. მე, როგორც ჩემი სამშობლოს პატრიოტი, რა თქმა უნდა, ფრენკ რაიკაარდის ბიჭებს ვუგულშემატკივრებ. ძალიან გამიხარდება, თუ „ბარსა" „მანჩესტერს" გაცდება და ფინალსაც მოიგებს. ვფიქრობ, ყველაფერი კატალონიელებზეა დამოკიდებული. ამ გუნდს სამი თამაშის მოგების უნარი აშკარად შესწევს."*

ამის შემდეგ კალდერონმა ლაპორტას წარმატებებზე ისაუბრა. „რეალის" პრეზიდენტისთვის სენიორ ჟოანის წინააღმდეგ აგორებული საპროტესტო გამოსვლები სრულიად მიუღებელი და გაუგებარია: *„ბარსას" ფანები ნუ მიწყენენ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ლაპორტას გადადგომის მოთხოვნით მათ სერიოზულად გადააჭარბეს. სენიორ ჟოანი ფანტასტიკური პრეზიდენტია. გულწრფელად გეტყვით, მას ზოგჯერ შურის თვალითაც კი ვუყურებ ხოლმე. მისმა წარმატებულმა მენეჯმენტმა კლუბს ყველაზე პრესტიჟული ჯილდოები მოუტანა. ნუთუ დაავიწყდათ ის წლები, როცა „ბარსელონა" პრიმერა დივიზიონში ზედიზედ იმარჯვებდა? ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე აღარაფერს ვამბობ. ჩემი აზრით, ასეთი პრეზიდენტის გუნდიდან გაშვების მოთხოვნა დიდი უსამართლობაა. თამამად ვიტყვი, რომ ჟოან ლაპორტა თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო მოღვაწეა. ამ კაცს თანამდებობიდან გადადგომას თუ აიძულებენ, „რეალი" მოგებული დარჩება, მაგრამ ოპორტუნისტი არასოდეს ვყოფილვარ. მე ჯანსაღი კონკურენცია მიყვარს. მოკლედ, კატალონიელი ქომაგებისთვის უკეთესი იქნება, თუ სენიორ ლაპორტას ჯეროვნად დააფასებენ."*

რამონ კალდერონმა „ბარსელონის" პრეზიდენტისთვის ხოტბის შესხმა არ იკმარა და საქებარი სიტყვები **რონალდინიოს** მისამართითაც დახარჯა: *„მიმაჩნია, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი რონალდინიოსაც ძალიან უსამართლოდ ეპყრობა. ის ტიტულები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრე, გაუჩოს მონაპოვარიცაა. ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ იმ წლებში ბრაზილიელი „ბარსას" საუკეთესო საკვანძო ფიგურა იყო. შეუძლებელია, რონალდინიოს ნიჭი უკვალოდ გამქრალიყო. მას დრო და მშვიდად მუშაობის საშუალება უნდა მისცენ. თუ საუკეთესო პირობებს შეუქმნიან, დარწმუნებული ვარ, ძველ ფორმას დაიბრუნებს და საფეხბურთო სამყაროს ხელახლა აალაპარაკებს."*

ერთი შეხედვით, კალდერონმა კატალონიელთა ღირსებებზე გულწრფელად ილაპარაკა. წესით, „ბარსას" ინჩადა კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ „რეალის" პრეზიდენტის სატელევიზიო ინტერვიუმ აბსოლუტურად საპირისპირო რეაქცია გამოიწვია. „ბარსელონის" ქომაგები მიიჩნევენ, რომ სენიორ კალდერონი თვალთმაქცი და მატყუარა ადამიანია. მათი აზრით, მადრიდული გრანდის უმაღლეს ხელისუფალს გულშემატკივრებსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის არსებული დაპირისპირების გაღრმავების მოტივი ამოძრავებდა. „დიარიო სპორტის" მიერ სპორტულ გამოკითხვაში 65 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 87 პროცენტს კალდერონის გულწრფელობაში ეჭვი ეპარება. ეს არც არის გასაკვირი. „რეალისა" და „ბარსას" ქომაგთა მტრობა, ერთი შეხედვით, ბანალური თემაა, მაგრამ ამ დაპირისპირებას ძალიან ღრმა ფესვები აქვს. საქმე მხოლოდ კატალონიის სეპარატისტულ განწყობას არ ეხება. ბუნებრივია, ეს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, მაგრამ წმინდა საფეხბურთო საკითხები არანაკლებ მნიშვნელოვანია. კატალონიელები ყოველთვის მიიჩნევდნენ, რომ მათთვის სანახაობა და ესთეტიზმი ყოველთვის უფრო ღირებული იყო. ისინი დედაქალაქელთა გააქტიურებას ამიტომაც არ ეგუებიან. განსაკუთრებით მაშინ ღიზიანდებიან, როცა მადრიდიდან დიდაქტიკურ განცხადებებს ისმენენ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სენიორ კალდერონი ინჩასებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს და პრეზიდენტს საკუთარი პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა ურჩიეს.

სიმართლე ითქვას, სენიორ კალდერონს პრობლემები მართლაც არ აკლია. გუშინ საპრეზიდენტო არჩევნების ყბადაღებული თემა კიდევ ერთხელ ამოტივტივდა. მოგეხსენებათ, დამარცხებული კონკურენტი **სენიორ მირი** დღემდე ამტკიცებს, რომ ბატონი რამონი ხელისუფლებაში გაყალბების შედეგად მოვიდა. მან მეორე ინსტანციაში სასამართლო პროცესიც კი მოიგო. კალდერონის ადვოკატები ახლა ამ გადაწყვეტილების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებაზე მუშაობენ. ამასობაში კი ესპანური გიგანტის თავკაცს შიგნიდან დაარტყეს. „რეალის" სოსიოების ერთმა ნაწილმა კალდერონს 2006 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ბიულეტენების გამომზეურება მოსთხოვა. აქამდე საკამათოდ მხოლოდ ინტერნეტით მიღებული ხმები ითვლებოდა, მაგრამ ხსენებულმა სოსიოებმა ყუთებში ჩაყრილი ბიულეტენების დათვლით მიღებული შედეგებიც ეჭვქვეშ დააყენეს. ერთია, როცა დამარცხებული კონკურენტი გებრძვის და მეორე, როცა შენივე ბანაკიდან დაგიპირისპირდებიან. სამეფო კლუბთან დაახლოებული ჟურნალისტები იუწყებიან, რომ სოსიოების სითამამემ კალდერონი შოკში ჩააგდო. უამრავი მცდელობის მიუხედავად, სენიორ რამონმა მათ ინიციატივაზე კომენტარი არ გააკეთა, თუმცა საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, რომ კალდერონს დათმობაზე წასვლა და მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოუწევს. სამეფო კლუბში ერთი დაუწერელი კანონი მოქმედებს. როცა გუნდის საზოგადოების წევრების თუნდაც მცირე ნაწილი რაღაცას ითხოვს, მათი ხმა აუცილებლად უნდა შეისმინონ და რეაგირება მოახდინონ.

## ვინ შეედრება დი სტეფანოს...

„რეალზე" საუბარს გაცილებით უფრო სასიამოვნო ინფორმაციით დავასრულებთ. დირექტორატის დაკვეთით, ერთ-ერთმა ყველაზე სოლიდურმა ესპანურმა სოციოლოგიურმა სამსახურმა, სამეფო კლუბის გულშემატკივართა მასშტაბური გამოკითხვა მოაწყო. თავად განსაჯეთ, გამოკითხვაში 1 006 965 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. გამოკითხვის მიზანი „რეალის" ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელის დადგენა გახლდათ. გულშემატკივართა 28.5 პროცენტმა ლეგენდარულ **ალფრედო დი სტეფანოს** დაუჭირა მხარი; ინჩასების 28.3 პროცენტი **ზინედინ ზიდანს** ანიჭებს უპირატესობას; გამოკითხულთა 28 პროცენტის აზრით კი, საუკეთესოთა შორის საუკეთესო **რაულ გონსალეს ბლანკოა**. დანარჩენი ხმები **ფერნანდო იერომ, იკერ კასილიასმა, ემილიო ბუტრაგენიომ** და **უგო სანჩესმა** მიიღეს. მათი მონაგარი, რა თქმა უნდა, გაცილებით მოკრძალებულია. დი სტეფანო მორიგი აღიარებით უზომოდ ბედნიერია: *„დაფასება აქამდეც არ მაკლდა, მაგრამ დიდი ხანია ასეთი სიხარული არ მიგრძვნია. წარმოიდგინეთ, გამოკითხვაში მილიონზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს. ამაზე დიდი პატივი, რა უნდა იყოს?! ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ პოპულარობით არა მარტო ძველი თაობის გულშემატკივრებში, არამედ ახალგაზრდებშიც ვსარგებლობ. ჩემ დამსახურებებზე საუბარს არ დავიწყებ. უბრალოდ, მოკრძალებით ვიტყვი, რომ „რეალის" კეთილდღეობისთვის ძალ-ღონეს არ ვიშურებდი. ასაკთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, ახლაც ბეჯითად ვმუშაობ. ხალხის სიყვარულს თავდადებით უნდა უპასუხო. მადრიდისტებს დიდ მადლობას მოვახსენებ. ბებერი კაცი დღეს ხელმეორედ დავიბადე. თქვენ რამდენიმე წლის სიცოცხლე მაჩუქეთ".*

ილია ნიკოლაიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

# ამაური თითქმის ტურინელია

## ვინ არის პაოლო პიატი?

„პალერმოსა" და „იუვენტუსს" შორის მოლაპარაკებების პირველი ეტაპი წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს. გუშინ, სიცილიელი ბოსის **მაურიციო ძამპარინის** ვილაში ტურინული გრანდის უფროსობა მთელი შემადგენლობით შეიკრიბა. საუბარი ეხებოდა **კარვალიო ამაურის** ტრანსფერს. იცოდა რა, ძამპარინის ხასიათი, „იუვეს" ხელმძღვანელობა რთული მოლაპარაკებებისთვის იყო განწყობილი. თავის მხრივ, „პალერმოს" პრეზიდენტი დღესაც მზადაა, გაყიდოს გუნდის მთავარი მეგოლე, მაგრამ პრობლემა ფასშია. ამაური მეტისმეტად ძვირი ღირს. „ქალბატონის" ბოსები სხვადასხვა ვარიანტებს ამუშავებენ. იმისთვის, რომ ნაკლები ფასი გადაიხადონ, სატრანსფერო ოპერაციაში სხვადასხვა ფეხბურთელების ჩართვას აპირებენ. ამაური 20 მილიონი ევრო ღირს. თავდაპირველად, „იუვეს" მხოლოდ ამის ნახევარი ემეტებოდა, პარალელურად კი, მზად იყო, სამი-ოთხი ფეხბურთელი დაეთმო. მოლაპარაკებების შემდეგ ტურინელებმა ფასი 12 მილიონამდე ასწიეს, ხოლო „პალერმოს" ასარჩევად **მარკო მარკიონი, ანტონიო ნოჩერინო, რაფაელე პალადინო, პაოლო დე ჩელიე** („სიენაშია" განათხოვრებული) და **კლაუდიო მარკიზიო** („ემპოლი") შესთავაზეს. პალადინომ სიცილიურ კლუბში გადასვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა, რაც შეეხება ნოჩერინოს, ცნობილია, რომ ძამპარინის ის ძალიან მოსწონს, სხვებზე რა გითხრათ...

ახლა კი კომენტარი, რომელიც „პალერმოს" პრეზიდენტმა შეხვედრის შემდეგ გააკეთა: *„სტუმრებთან ერთად უამრავი საკითხი განვიხილეთ. საქმიანი საუბარი გვქონდა და მე პირადად, ძალიან კმაყოფილი ვარ. მათ დაადასტურეს, რომ ამაურის ყიდვა სურთ, ჩვენი მხრივ, ითქვა, რომ გვაინტერესებს რამდენიმე ფეხბურთელი, რომელიც „იუვეს" განკარგულებაშია. ახლა ერთმანეთს „პალერმოსა" და „იუვენტუსის" სპორტული დირექტორები შეხვდებიან და შეთანხმებას მოამზადებენ. დაახლოებით ერთ თვეში კიდევ ვისაუბრებთ, მაგრამ მანამდე თითქმის ყველაფერი გარკვეული უნდა იყოს. მოლაპარაკებები რთული იქნება, თუმცა უნდა გითხრათ, რომ ბევრ საკითხში უკვე გამოვნახეთ საერთო ენა. ვფიქრობ, ტრანსფერი შედგება".*

ამასობაში, ვრცელდება ინფორმაცია, რომ „იუვენტუსი" არგენტინელი **პაოლო პიატის** შეძენასაც ცდილობს. ფორვარდი 19 წლისაა და „ესტუდიანტესის" ღირსებას იცავს, არის არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრების წევრიც. მისი აგენტი **გუსტავო გონი** ვებგვერდ „გოლს" გაესაუბრა:

*„ამ მომენტისთვის, იმის თქმა, ტრანსფერი მომწიფებულია, არ შეიძლება. მიდის მხოლოდ დაკვირვება. „ესტუდიანტესს" ტურინელებისგან ჯერ არანაირი წინადადება არ მიუღია და შესაბამისად, არც მოლაპარაკებები დაწყებულა. ისევე, როგორც ყველა ახალგაზრდა სამხრეთამერიკელ ფეხბურთელს, პიატისაც ძლიერ უნდა ევროპის რომელიმე ძლიერ კლუბში გადასვლა".*



ბარსელონა. მოსალოდნელი ტრანსფერები

# ალვეში და ბენზემა ბეგირისტაინის ფავორიტები არიან

## რონალდინიო მილანში მარტო არ მიდის, მას დეკუ, ძამბროტა და მარკესიც შეიძლება გაყვნენო...

მიმდინარე სეზონის დაწყების წინ დანიელ ალვეში "სევილიიდან" წასვლით იმუქრებოდა. პრეზიდენტმა დელ ნიდომ "სანჩეს პისხუანზე" მის დასატოვებლად დიდი შრომა გასწია, მაგრამ ალვეშმა იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნისთანავე სატრანსფერო თემა ამოატივტივა და ისევ კარიერის სხვა გუნდში გაგრძელებაზე დაიწყო ლაპარაკი. მის შეძენას "ჩელსი" ცდილობდა, მაგრამ ანდალუსიელებმა წამყვანი ნახევარმცველი რომან აბრამოვიჩს არ დაუთმეს. სხვათა შორის, იანვარშივე ითქვა, რომ დიდი მცდელობის მიუხედავად, "სევილიას" ამ ფეხბურთელის დიდი ხნით შენარჩუნება გაუჭირდებოდა. საქმეს სწორედ ასეთი პირი უჩანს. გუშინ დანიელ ალვეშმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ მის გადაბირებას "ბარსელონა" და "რეალი" ცდილობენ. ალვეში უპირატესობას კატალონიურ გრანდს ანიჭებს...

*"ჩემს მენეჯერს მრავალი კლუბიდან უკავშირდებიან. გულწრფელად ვიტყვი, ბევრი შემოთავაზება მაქვს, მაგრამ ამ ეტაპზე საუკეთესო პირობებს პრიმერა დივიზიონის ორი გრანდი მთავაზობს, საუბარია "ბარსელონასა" და "რეალზე", - განაცხადა ლიონელმა ვარსკვლავმა. - ამ ლეგენდარულ გუნდებში თამაშზე უარს, რა თქმა უნდა, არავინ იტყოდა. არ დაგიმალავთ, პირადად მე, "ბარსას" ვარიანტი უფრო მომწონს. "კამპ ნოუზე" თამაში უამრავი პროფესიონალის ოცნებაა. რა თქმა უნდა, "რეალზეც" არ ვიტყოდი უარს, მაგრამ თუ საქმე საქმეზე მიდგება, არჩევანს კატალონიელების სასარგებლოდ გავაკეთებ. მიხარია, რომ ჩემს შრომას აფასებენ და პატივს მცემენ. ჩემი აზრით, "სივილიაში" საკმაოდ დიდ წარმატებებს მივაღწიე. მიუხედავად ამისა, მიღწევებით დაკმაყოფილებას მაინც არ ვაპირებ. ჩემი მთავარი ამოცანა მუდმივი პროგრესის გზით სიარულია. ვიცი, "სევილიის" გულშემატკივრებს ჩემი განცხადება არ გაახარებს, მაგრამ მათ უნდა ესმოდეთ, რომ ფეხბურთელმა ხანმოკლე კარიერის განმავლობაში ბევრი რამ უნდა მოასწროს. ვფიქრობ, დადგა დრო, როცა ანდალუსია უნდა დავტოვო და კარიერა უფრო დიდ კლუბში გავაგრძელო. ვფიქრობ, "ბარსელონა" ჩემს ამბიციებს მთლიანად აკმაყოფილებს."*

ალვეშს თუ დავუჯერებთ, "სევილიის" პრეზიდენტი ხოსე მარია დელ ნიდო სხვა გუნდში მისი გადასვლის სურვილს გაგებით ეკიდება: *"პრეზიდენტს დიდად ვემადლიერები. ის მიხვდა, რომ უსასრულოდ არაფერი გრძელდება. "სევილია" ჩემი კარიერის უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო. ვფიქრობ, ეს ეტაპი დასასრულს მიუახლოვდა. ანდალუსიას არასოდეს დავივიწყებ. სევილიამ ყველაფერი მომცა, რისი მიცემაც კლუბს ფეხბურთელისთვის შეუძლია. მინდა შესაძლებლობით ვისარგებლო და გულშემატკივრებს მივმართო: ჩემო ძვირფასებო, ნუ მიწყენთ, ფეხბურთელს აქტიურ სპორტში ყოფნა მაქსიმუმ 35 წლის ასაკამდე შეუძლია; ამიტომ ბევრი რამ უნდა მოვასწრო. მართალია, ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მიმდინარე სეზონის შემდეგ "სევილიას" დავტოვებ".*

დელ ნიდოს, როგორც ჩანს, არჩევანი არ აქვს. ამჯერად, ალვეშს ვერ დააკავებს და უმჯობესია, ფულის გაკეთებაზე იფიქროს. სევილიელი კლუბის პრეზიდენტი ბრაზილიელ ვარსკვალვს 60 მილიონ ევროდ აფასებს. ბუნებრივია, კატალონიელები ამხელა ფულის გადახდას არ ისურვებენ. როგორც ყოველთვის, მხარეებს შორის ამჯერადაც დიდი ვაჭრობა გაჩაღდება.



ქარიმ ბენზემა ბარსელონელთა ინტერესებშია

წლევანდელი წარუმატებლობებით შეწუხებული "ბარსელონის" ხელმძღვანელობა შემადგენლობის გაძლიერებაზე სერიოზულად დაფიქრდა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კატალონიელები მხოლოდ დანიელ ალვეშით არ დაკმაყოფილდებიან. "ბარსას" შეფების ერთ-ერთი უპირველესი სამიზნე "ლიონის" ფორვარდი **კარიმ ბენზემაა**. აღსანიშნავია, რომ ორი დღის წინ **ჩიკი ბეგირისტაინი** "ლიონში" იმყოფებოდა. გენერალური დირექტორი ფრანგული კლუბის ხელმძღვანელებს შეხვდა. სენიორ ბეგირისტაინის წინადადებით ისინი მოხიბლულები ნამდვილად არ დარჩენილან, თუმცა თავად ფეხბურთელი კარიერის "ბარსელონაში" გაგრძელების პერსპექტივით აღფრთოვანებულია. მისი აზრით, "ბარსა" ყველა პირობას შეუქმნის, რათა პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, ბენზემას გუშინდელი განცხადების ფრაგმენტს შემოგთავაზებთ: *"ბარსელონა" მსოფლიო ფეხბურთის გრანდია. მხოლოდ ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, "კამპ ნოუზე" დღესვე გადავიდოდი, მაგრამ ვალდებული ვარ, ჩემს კლუბს ანგარიში გავუწიო. იმედია, მოლაპარაკებებისას გადაულახავი დაბრკოლებები არ წარმოიქმნება. არ დავმალავ და გულღიად ვიტყვი, რომ "ბარსელონაში" თამაშზე ვოცნებობ. "კამპ ნოუზე" ფანტასტიკური კარიერის გაკეთების უნიკალური შანსი მომეცემა. დარწმუნებული ვარ, მომავალი სეზონისთვის ესპანური კლუბის შემადგენლობა მნიშვნელოვნად გადახალისდება. ძალიან მინდა, გუნდის ერთ-ერთი ახალწვეული მეც ვიყო. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ბეგირისტაინის ლიონში ჩამოსვლა უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს."*

"ბარსელონაზე" საუბარს "დიარიო ასის" ფურცლებზე გამოქვეყნებული მოკლე ინფორმაციით დავასრულებთ. მადრიდული გაზეთი ამტკიცებს, რომ "მილანს" "ბარსელონიდან" არამხოლოდ **რონალდინიოს**, არამედ **რაფა მარკესის, ჯანლუკა ძამბროტასა** და **დეკუს** გადაბირება სურს. "დიარიო ასს" თუ დავუჯერებთ, კატალონიური გრანდის ფეხბურთელები "როსონერის" წინადადებით სერიოზულად დაინტერესდნენ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

არსენალი. ტრანსფერები

# გომეში მეთოფეთა სამიზნეში



გომეშის აკრობატული ნახტომი

**გუშინ**, „დეილი მეილმაც" გვაცნობა, რომ **მატიო ფლამინის** მიუნხენის „ბაიერნი" ეპატიჟება. ფრანგ ნახევარმცველს „იუვენტუსმაც" დაადგა თვალი. „არსენალს" კი მისი გაშვება არ სურს. ლონდონელთა თავკაცმა **არსენ ვენგერმა** ფლამინის აზარგება გამორიცხა. „იუვენტუსის" დაინტერესების შესახებ კი ასეთი კომენტარი გააკეთა: ტურინელთაგან მივიღე გარანტია, რომ ფლამინის არ აიყვანენო. „მეთოფეებმა" საყრდენ ნახევარმცველს ახალი კონტრაქტი შესთავაზეს. ეს დეკემბერში მოხდა, მაგრამ ფეხბურთელს ხელშეკრულება დღემდე არ გაუფორმებია. ივნისში ფლამინი თავისუფალი აგენტი ხდება. რა გასაკვირია, რომ მისი პერსონა დიდ ინტერესს იწვევს. მიუნხენელთა გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** განაცხადა: *„ბაიერნი" კვალიფიციურ ფეხბურთელებზე არც მომავალში იტყვის უარს. უცნაურია - ხანდახან მათ შესაძენად ფულის დახარჯვაც კი არ არის საჭირო, მათი ხელში ჩაგდება უფასოდ შეიძლება."*

„არსენალს", რომელიც ზედიზედ მესამედ უტიტულოდ დარჩა, წამყვანი ფეხბურთელების შესანარჩუნებლად დიდი შრომა დასჭირდება. ვენგერმა გაისად წარმატების ერთ-ერთ უმთავრეს პირობად სწორედ ეს დაასახელა. ამავე დროს, მოსიე არსენი რამდენიმე აუცილებელი ტრანსფერის განხორციელებას აპირებს. „მეთოფეებს" ძლიერი მეკარე სჭირდებათ. **იენს ლემანი** გუნდიდან წასვლას აპირებს. გერმანელმა გოლკიპერმა შეიძლება კარიერა დაასრულოს. მისი აზარგების შემთხვევაში, „არსენალი" მხოლოდ ერთი გამოცდილი გოლკიპერის, **მანუელ ალმუნიას** ამარა დარჩება. ლონდონელები „ეინდჰოვენის" კარის დარაჯით, **აურელიო გომეშით** დაინტერესდნენ.

27 წლის ბრაზილიელმა ჰოლანდიელებთან ახალი კონტრაქტი გასული წლის მიწურულს გააფორმა. ხელშეკრულებაში ჩაიწერა პუნქტი, რომლის თანახმად, თუ გომეშს რომელიმე გრანდი მიიწვევს, კლუბმა მის ტრანსფერს ხელი უნდა შეუწყოს. „არსენალი" ამ პირობას ნამდვილად აკმაყოფილებს. ჰოლანდიური სააგენტოების ცნობით, ლონდონელებს ამ ფეხბურთელის შეძენა 12 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. „არსენილის" ემისრები საგანგებოდ გომეშის სანახავად, „ეინდჰოვენისა" და „ფიორენტინის" უეფას თასის განმეორებით მატჩს დაესწრნენ. პსვ-მ შინ ორი უპასუხო გოლი გაუშვა და ტურნირს გამოეთიშა.

გრძელდება სპეკულაციები „არსენალში" **ჰატემ ბენ არფას** მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ. ლიონელი გარემარბი „ბარსელონასა" და „იუვენტუსსაც" სურთ. ისიც დაახლოებით 12 მილიონი გირვანქა ღირს. ყმაწვილის კლასის გათვალისწინებით, ეს სავსებით ნორმალურ ფასად მიიჩნევა. „არსენალი" ტრანსფერებში დიდ ფულს არასოდეს ხარჯავს, მაგრამ ბენ არფას სანაცვლოდ ხსენებულ თანხას ისიც უშურველად გადაიხდის. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარები არ გაკეთებულა.

ჩელსი. ტრანსფერები

# 100 მილიონი გრანტს

## დროებითი მეკარე სეზონის ბოლომდე?

„ჩელსიმ" უეფასგან მეკარის დამატების უფლება მიიღო. ამ ინფორმაციას გაზეთი „სანდი თაიმსი" ავრცელებს. „არისტოკრატები" საგანგებო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. **პეტრ ჩეხმა** და **კარლო კუდიჩინიმ** ტრავმები მიიღეს. ჩეხი ვარჯიშზე დაშავდა. ის ტალ ბენ ჰაიმს შეეჯახა და ნიკაპი და ქვედა ტუჩი გაიხეთქა. საბრალო ჩეხი საავადმყოფოში გააქანეს და მცირე პლასტიკური ოპერაცია ჩაუტარეს. პეტრმა პროგნოზების საწინააღმდეგოდ დაშავებიდან 10 დღეში განაახლა წვრთნა, ხოლო ორშაბათს, „ვიგანის" წინააღმდეგაც ითამაშა (1:1). ამიტომ ცოტა უცნაურად გვეჩვენება ამბავი, რომელიც ზემოხსენებულ გამოცემაში ამოვიკითხეთ.

„სანდი თაიმსის" მტკიცებით, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე ერთი კვირით ადრე „არისტოკრატებმა" მეკარის ტრანსფერზე დაიწყეს ფიქრი. ნებისმიერ ფეხბურთელთან, რომელსაც დაიმატებენ, ხანმოკლე საიჯარო კონტრაქტი გაფორმდება. კანდიდატთა შორის არიან ვალენსიელი **სანტიაგო კანისარესი**, ასტონვილელი **ტომას სორენსენი** და მანჩესტერსიტელი **ანდრეას ისაკსონი**.

„ჩელსის" სატრანსფერო თემატიკას „მირორიც" ეხმაურება. მისი მტკიცებით, **ავრამ გრანტი** საზაფხულო ტრანსფერებისთვის 100 მილიონ გირვანქას მიიღებს. ამ ინფორმაციას თუ დავუჯერებთ, გრანტი მთავარი მწვრთნელის პოსტზე რჩება. **რომან აბრამოვიჩი** მას ენდობა და საშუალებას აძლევს, შემადგენლობა საკუთარი შეხედულებისამებრ დააკომპლექტოს. „მირორის" ცნობით, ამ 100 მილიონში გათვალისწინებულია დაახლოებით 35 მილიონი გირვანქა, რომელსაც „ჩელსი" რამდენიმე ვარსკვლავის გაყიდვით გააკეთებს. ყველაზე მეტ ფულს **დიდიე დროგბას** გაყიდვა მოიტანს. ესპანური „დიარიო სპორტის" ცნობით, კოტდივუარელ ვარსკვლავს „ბარსელონამ" დაადგა თვალი. თუ ეს ინფორმაცია დასტურდება, **ტიერი ანრის** სამსახურის შეცვლა მოუწევს.



აბრამოვიჩი ნდობადაკარგულ გრანტს მაინც ენდობა

შეგახსენებთ, წამსვლელთა სიაში არიან **ანდრეი შევჩენკო** (სავარაუდოდ, „მილანში" დაბრუნდება), **ფლორან მალუდა, ჟულიანო ბელეტი, კლაუდიო პისარო, სტივ სიდველი** და **ტალ ბენ ჰაიმი**.

კალათბურთი. საქართველოს ნაკრები

# მაშ ასე, იგორ კოკოშკოვი!



### იგორ კოკოშკოვი (სერბეთი)



დაიბადა 1971 წლის 17 დეკემბერს ბელგრადში (იუგოსლავია).

1993 წელს დაამთავრა ბელგრადის უნივერსიტეტი.

საკლუბო კარიერა:

1992-1994 - "ბკ ბელგრადის" (იუგოსლავია) ახალგაზრდული გუნდის მთავარი მწვრთნელი.

1994-1995 - "ბკ ბელგრადის" (იუგოსლავია) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.

1995-1996 - "ბკ ბელგრადის (იუგოსლავია) მთავარი მწვრთნელი. 24 წლისა გახდა იუგოსლავიის კალათბურთის ისტორიაში უმაღლესი ლიგის გუნდის ყველაზე ახალგაზრდა მთავარი მწვრთნელი.

1996-1997 - ბელგრადის "პარტიზანის" (იუგოსლავია) ახალგაზრდული გუნდის მთავარი მწვრთნელი.

1999-2000 - მისურის უნივერსიტეტის (აშშ-ს უმაღლესი სტუდენტური დივიზიონი) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი. პირველი ევროპელი, რომელმაც დაიკავა აშშ-ს უმაღლესი სტუდენტური დივიზიონის გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტის თანამდებობა.

2000-2003 - "ლოს ანჯელეს კლიპერსის" (ნბა) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი. პირველი არაამერიკელი, რომელმაც დაიკავა ნბა-ს კლუბის მთავარი მწვრთნელის ასისტენტის თანამდებობა.

2003-დღემდე - "დეტროიტ პისტონზის" (ნბა) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.

სანაკრებო კარიერა:

1997-1999 - იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.

2004 - სერბეთი-ჩერნოგორიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე.

2005 - სერბეთი-ჩერნოგორიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ევროპის ჩემპიონატზე.

საქართველოს ნაკრებს ამიერიდან სერბი იგორ კოკოშკოვი გაწვრთნის. ამ ფრაზის წაკითხვისთანავე გაგიჩნდებათ კითხვა - ვინ არის იგორი? კოკოშკოვის სახელი ევროპაში ბევრს არ გაუგონია, იმიტომ, რომ მას მთავარ მწვრთნელად მხოლოდ 1995-96 წლებში, ისიც "ბელგრადში" უმუშავია. ეს მისი ნაკლია თუ არა, ამაზე სხვა დროს ვისაუბრებთ, ახლა კი მოგახსენებთ, რომ 37 წლის იგორ კოკოშკოვს არც სანაკრებო გამოცდილება აკლია და არც საკლუბო: ამჟამად იგი NBA-ს ერთ-ერთ გრანდ "დეტროიტში" მთავარი მწვრთნელის ფლიპ სონდერსის ასისტენტია, ხოლო 2004 წლის ათენის ოლიმპიადასა და 2005 წლის ევროპის ჩემპიონატზე სერბეთის ნაკრებში ჟელკო ობრადოვიჩს ეხმარებოდა.

ასე და ამგვარად, იგორ კოკოშკოვი ტაქტიკურადაც კარგად უნდა იყოს განსწავლული და ვარსკვლავებთან (მათ შორის ჭირვეულებთანაც, სერბეთის ნაკრებში ხომ არაერთი ასეთი კალათბურთელი თამაშობდა) ურთიერთობის გამოცდილებაც ექნება.

დღეს მისი ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნის მიზანშეწონილობასა და მიზანშეუწონლობაზე საუბარი არ შეიძლება, რადგან არავინ იცის, აგვაშენებს, თუ - დაგვაქცევს. კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა, გუშინ, პრესკონფერენციაზე გვითხრეს, რომ იგორ კოკოშკოვის კანდიდატურა დიდი შესწავლის შემდეგ დაამტკიცეს, ამიტომ მათ სჯერათ, რომ იგორი გაამართლებს. ჩვენც გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ წინ რომ სამი უცხოელი მწვრთნელის (ჰერბერტი, შილდსი, ბრაიკოვიჩი) მაგალითი გვაქვს, წინასწარ ვერც კარგს ვიტყვით და ვერც - ცუდს.

ჩვენთვის საუკეთესო ვარიანტი ნაკრების მთავარ მწვრთნელად **ტომო მაჰორიჩი** იყო, რადგან იგი საქართველოს ნაკრების ხუთ წევრთან სლოვენიაში მუშაობდა და ქართველებს ზედმიწევნით გვიცნობს. ზამთარში ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** აღნიშნა, თუ მაჰორიჩი მოლაპარაკებაზე დაგვთანხმდა, სხვა მწვრთნელის ძებნას არ დავიწყებთო, მაგრამ, გუშინ, ვიცე-პრეზიდენტმა **ლაშა ძიძავამ** მაჰორიჩზე ეს გვითხრა: ტომო "კიევში" მუშაობს და ამავდროულად ჩვენი ნაკრების მწვრთნელობა არ ისურვაო.

კოკოშკოვისა და მაჰორიჩის გარდა განიხილებოდა ხუთი სპეციალისტის კანდიდატურა. ესენია: **საშა ფილიპოვსკი** (სლოვენია), **ვალდის ვალტერსი** (ლატვია), **კესტუტის კემზურა** (ლიტვა), **კენი ატკინსონი** (აშშ), **არიკ შივეკი** (ისრაელი).

**საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელზე კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა დეტალურად ისაუბრეს. იგორ კოკოშკოვზე ზოგადი სურათი პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა შემოგვთავაზა:**

- ეროვნული გუნდისთვის ისეთ მწვრთნელს ვეძებდით, რომელსაც საქართველოში ჩამოსვლაში კლუბი ხელს არ შეუშლიდა. ასეთი სპეციალისტი ამერიკაში, კერძოდ "დეტროიტ პისტონსში" მოვნახეთ - იგორ კოკოშკოვი. NBA-ს კანონებით არც ერთ გუნდს არ აქვს მოთამაშეების ოქტომბრამდე შეკრება. ამიტომ კოკოშკოვი საქართველოში იმდენ დროს დაჰყოფს, რასაც ნაკრები მოითხოვს: დაახლოებით ივნისიდან სექტემბრის შუამდე. მანამდე ძალიანაც რომ მოვინდომოთ, გუნდს ვერ შევკრებთ. კალათბურთელებს რთული სეზონების შემდეგ დასვენება სჭირდებათ.

**ბესიკ ლიპარტელიანის მონოლოგი ვიცე-პრეზიდენტმა ლაშა ძიძავამ განაგრძო:**

- იგორ კოკოშკოვი ახალგაზრდა სპეციალისტია, ენერგიული და მოტივირებული. ვფიქრობ, მას წინ დიდი კარიერა აქვს და სანაკრებო ასპარეზზე მთავარი მწვრთნელის რანგში საქართველოდან გამოდის.

ვიცე-პრეზიდენტმა საკონტრაქტო დეტალებზეც ისაუბრა:

- ახალ მწვრთნელთან 2+2 ტიპის კონტრაქტი გავაფორმეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მომავალი ციკლის ბოლომდე ნაკრებში იმუშავებს. თუ გუნდს A დივიზიონში გადაიყვანს და მისი სურვილიც იქნება, კონტრაქტს ორი წლით კიდევ გავახანგრძლივებთ.

**ფედერაციის წარმომადგენლემა იგორ კოკოშკოვთან სამწვრთნელო შტაბზეც იმსჯელეს. მწვრთნელი შტაბის წევრებს თავად დაასახელებს, თუმცა, სერბის მოთხოვნით სხვებს შრის აუცილებლად იქნება ერთი ქართველი სპეციალისტი. სავარაუდოდ იგორს დაეხმარება ახალგაზრდულის დამრიგებელი დავით უსტიაშვილი.**

**პრესკონფერენციაზე დაისვა კითხვა, ვინ შესთავაზა ქართველებს კოკოშკოვის კანდიდატურა. ამ თემაზეც ლაშა ძიძავამ ილაპარაკა:**

- ბოლო წლებში ჩამოყალიბდა სისტემა, რომლის მიხედვით მწვრთნელების კანდიდატურებს ფედერაციებს სააგენტოები სთავაზობენ. ჩვენც გვქონდა კავშირი სხვადასხვა აგენტებთან და საბოლოოდ მარკ ფლეიშერის ("ენტერსპორტი") შეთავაზებულ მწვრთნელთან გავაფორმეთ კონტრაქტი.

**ჟურნალისტები დავინტერესდით, რატომ გაიწერა კონტრაქტის გაფორმება 16 აპრილამდე. კალათბურთის ბოსებმა გვითხრეს, რომ, როცა იგორ კოკოშკოვის რეალური ვარიანტი გამოჩნდა, გადაწყვიტეს მისი კარგად შესწავლა, მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ იგორი საქართველოს ნაკრებს გამოადგებოდა, ხელშეკრულებაც მაშინ გააფორმეს.**

**დაისვა კიდევ ერთი საჭირბოროტო კითხვა: ახალი მწვრთნელი თუ აპირებს ეროვნული ჩემპიონატის პლეი ოფებისას საქართველოში ჩამოსვლას.**

- იგი "დეტროიტ პისტონსში" მუშაობს და მაისში NBA-შიც პლეი ოფების მატჩები მიმდინარეობს. ახალი მწვრთნელი მაისში საქართველოში ვერ ჩამოვა, თუმცა მისი მოთხოვნით, ამერიკაში გავაგზავნით ნახევარფინალებისა და ფინალების ყველა ვიდეოჩანაწერს, - განგვიმარტა ლაშა ძიძავამ.

**ბოლოს დავძენთ, რომ იგორ კოკოშკოვთან მიმდინარეობს ნაკრების მოსამზადებელი გეგმის შემუშავება, თუმცა რამდენიმე საკითხი უკვე გარკვეულია: 15 და 16 აგვისტოს კიევში უკრაინის ნაკრებს ამხანაგურად გავეჯიბრებით, ხოლო 25-27 აგვისტოს ლატვიის საერთაშრისო ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. შეჯიბრებაში ქართველთა და მასპინძელთა გარდა ჩეხეთი და საფრანგეთი ითამაშებს.**

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ვინაა საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი

**იგორ სტეფან კოკოშკოვი** 1971 წლის დეკემბერში დაიბადა ბელგრადში. პირველი შთაბეჭდილებით მისი მწვრთნელობა შესანიშნავი ვარიანტი ჩანს ჩვენი ნაკრებისთვის – კოკოშკოვი თან ახალგაზრდაა და ამავე დროს – გამოცდილიც. საკალათბურთო სამყაროში მისი სახელი მთლად უცნობი ამერიკაშიც კი არ არის, ამავე დროს მას არ აწყენდა მეტი წარმატების მიღწევა. მოკლედ, ნაკრებს ახალგაზრდა, ენერგიული და მოტივირებული მწვრთნელი ეყოლება, თუ როგორ გაამართლებს ის და რამდენად შეძლებს B დივიზიონის ჯოჯოხეთიდან ქართველთა დაძვრენას, ბევრი ფაქტორი გადაწყვეტს, კანდიდატურა კი ურიგო არ უნდა იყოს.

„დეტროიტ პისტონში" იგორ კოკოშკოვი ამჟამად **ფლიპ სონდერსის** ასისტენტია, ისევე როგორც **ტერი პორტერი, დეივ კოვენსი** და **მაიკლ კარი.**

ბელგრადის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი იუგოსლავიის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი გახდა, როცა 24 წლის ასაკში მოჰკიდა ამ საქმეს ხელი. მიზეზი კი ავტოავარიაა, რომელმაც მას კალათბურთელის კარიერის გაგრძელების საშუალება არ მისცა. კოკოშკოვი ჯერ ბელგრადის კლუბებს წვრთნიდა, შემდეგ ის იუგოსლავიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში შეიყვანეს, ჯერ ახალგაზრდებში, შემდეგ კი დიდებში. 1995 წელს მისი პირველი გუნდი „ბელგრადი" იყო, ერთი წლის მერე ის უკვე „პარტიზანში" მიიწვიეს და კადეტთა და ახალგაზრდული გუნდები ჩააბარეს. 1997 წლიდან ის იუგოსლავიის ახალგაზრდულ გუნდშია.

1999 წლიდან მისი სამწვრთნელო კარიერის ახალი ეტაპი იწყება, ამბიციური და ლიდერის თვისებებით დაჯილდოებული სერბი მწვრთნელი „მისურის უნივერსიტეტის" გუნდში ასისტენტის თანამდებობაზე მიიწვეის. ასე გახდა კოკოშკოვი პირველი ევროპელი მწვრთნელი NCAA-ს I დივიზიონში. მალე ამას უფრო დიდი წარმატება მოჰყვა, 2000 წელს კოკოშკოვი გახდა პირველი არაამერიკელი, რომელსაც ასისტენტის თანამდებობა შესთავაზეს NBA-ში – ქართველთა მომავალი დამრიგებელი ლოს ანჯელეს კლიპერსის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი გახდა, 2003 წელს კი ის ანალოგიურ თანამდებობაზე „დეტროიტ პისტონსმა" მიიწვია, სადაც ის **ლარი ბრაუნის** თანაშემწეა. 2004 წელს კოკოშკოვი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე სერბეთის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში იყო. 2005 წლის ევროპის ჩემპიონატზე ის სერბეთის ნაკრების მწვრთნელია. ბოლო სამი წელია კოკოშკოვი „კალათბურთი საზღვრებს გარეშეს" პროგრმაში ინსტრუქტორიცაა, ის ხშირად მონაწილეობს აფრიკასა და ევროპაში მსგავს ღონისძიებებში.

„იმუშავე ბევრი, პატივი ეცი შენს ირგვლივ მყოფ ადამიანებს და შედეგი აუცილებლად მოვა", - ეს იგორ კოკოშკოვის საყვარელი სიტყვებია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლაშა ძიძავა, ბესიკ ლიპარტელიანი, მერაბ რატიშვილი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს მე-16 ჩემპიონატი. XXVI ტური

# ვახტანგ XXXXXII

**16 აპრილი. რუსთავი**

**თსუ-დინამო 74:77**

17:25, 15:20, 20:16, 22:16

თსუ: არწივიძე, ფანჩულიძე (9 ქ), დ. ბერიშვილი (8 ქ. 3 პ), ბარბაქაძე (14 ქ. 11 მ), კოხრეიძე (4 ქ. 3 ჩ), ყველაშვილი (1 ქ. 5 მ), კეიდია (17 ქ. 5 მ), ხეცურიანი (14 ქ), ბ. ნოზაძე (2 ქ), ტყეშელაშვილი (5 ქ. 7 მ)

დინამო: გულისაბედაშვილი (4 ქ. 5 პ. 9 მ), ჟღენტი (6 ქ), ლაფანაშვილი (9 ქ. 6 მ. 3 პ), სიგუა (3 ქ. 5 მ), სანიკიძე (23 ქ. 13 მ), მაისურაძე, ათანელიშვილი (26 ქ. 9 მ), ახალკაცი (6 ქ), ფაიქრიძე

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

**ავიამშენი-მაკაბი 111:84**

31:12, 29:15, 26:26, 25:31

ავიამშენი: ბერაია (4 ქ. 7 მ. 2 დ), მოსეშვილი, მინაშვილი (52 ქ. 6 მ), კვიმსაძე (20 ქ. 11 პ. 3 ჩ), ტულუში (13 ქ. 5 მ. 7 პ), იმნაძე (13 ქ. 13 მ. 5 დ), ნინიაშვილი (2 ქ), მათიაშვილი (7 ქ. 2 დ), სუხიშვილი (5 მ)

მაკაბი: ახმედიანი (8 ქ), გაგლოშვილი (1 ქ), ს. შერმადინი (29 ქ. 19 მ), იოსელიანი (12 ქ), პირველაშვილი (1 ქ. 7 მ), ჯანგველაძე (5 მ), კორკოტაძე (12 ქ. 4 პ), კოლუაშვილი (21 ქ. 6 მ. 5 პ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

**ენერჯი-ვითა 84:75**

22:15, 26:26, 15:19, 21:15

ენერჯი: გამყრელიძე (25 ქ. 6 პ. 4 ჩ), ბაბიაშვილი (14 ქ), სტეფანოვი (12 ქ. 15 მ), დიდია (5 ქ), ლეჟავა (6 ქ. 3 პ), ჩიტაშვილი (6 ქ), გოგობერიშვილი (4 ქ. 7 მ. 2 დ), ტუჯანი (4 ქ. 12 მ. 3 პ), ჭოჭუა (8 ქ)

ვითა: ძიძიგური, ნ. ნოზაძე (3 ქ), ბეჟანიშვილი (20 ქ. 6 პ. 5 მ), მ. ბერიშვილი (2 ქ. 6 მ. 3 პ), მარხვაშვილი, ლ. ნოზაძე, მარკოიშვილი (9 ქ), ბერძენიშვილი (22 ქ. 6 მ), ნივნივაძე (13 ქ. 4 პ), გვიმრაძე (6 ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 26 | 21 | 5 | 48 |
| 2. ავია | 26 | 16 | 10 | 42 |
| 3. ვითა | 26 | 13 | 13 | 39 |
| 4. თსუ | 26 | 13 | 13 | 39 |
| 5. დინამო | 26 | 11 | 15 | 37 |
| 6. მაკაბი | 26 | 4 | 22 | 30 |

**გიორგი შერმადინის** ამერიკაში წასვლით ისარგებლა ავიატორმა ვახტანგ მინაშვილმა და 52 ქულა დააგროვა. ეს მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდია. მანამდე საუკეთესო შედეგი შერმადინს ჰქონდა - მან 17 თებერვალს მე-17 ტურში 47 ქულა ჩააგდო.

მინაშვილმა რეკორდი სწორედ გიორგის ყოფილ კლუბ "მაკაბითან" დაამყარა: 33 წუთში 29-დან 17 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი, 20-დან 15 საჯარიმო ჩააგდო და 52 ქულას 6 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიამატა. ასეთი სტატისტიკის მიუხედავად, ჟურნალისტებში გაჩაღდა დავა, ვინ უნდა გამხდარიყო ტურის საუკეთესო. ზოგი ამბობდა: "მაკაბისთან" 52 ქულის ჩაგდება ბევრს არაფერს ნიშნავსო, ზოგი თსუ-ს მძლეველ რეზო ათანელიშვილს უჭერდა მხარს, ზოგიც - ვიქტორ სანიკიძეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვახტანგ მინაშვილმა გაიმარჯვა.

"დინამოს" მიერ თსუ-ს დამარცხება მეტად საყურადღებო ამბავია. ახლა მეხუთეადგილოსანი "დინამო" მესამე-მეოთხეს, "ვითასა" და თსუ-ს 2 მოგებით ჩამორჩება. რეგულარულის დასრულებამდე დარჩენილია 4 ტური. ასე რომ, სიტუაცია ნელ-ნელა იძაბება. დღეს 27 ტურის სამივე მატჩი რუსთავში გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**
რუსთავი-თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

### კალათბურთი. ლეგიონერი
# ფიქრები პლეი ოფზე


ზაზა ფაჩულია

ნბა-ს პლეი ოფში ვადამდე გასული "ატლანტა" ბოლო ტურებში ცოტა მოეშვა და წაგებას წაგება მიაყოლა. როგორც ჩანს, ჯორჯიელები ფიქრებით პლეი ოფში არიან და თან ძალებსაც ზოგავენ.

**ზაზა ფაჩულიას** გუნდი ამჯერად საკუთარ მოედანზე ზაზას ყოფილ კლუბ "ორლანდოსთან" დამარცხდა - 105:121. ქართველმა ცენტრმა 19 წუთი დაჰყო მოედანზე და 8 ქულა (5-დან 3 ორქულიანი, 2-დან 2 ჯარიმა) დააგროვა. ამას გარდა, ჩვენებურის დანარჩენი მაჩვენებლები იყო 4 მოხსნა, 5 პასი, 1 დაფარება, 2 შეცდომა და 4 ფოლი. "ატლანტა" რეგულარულ სეზონს ხვალ გამთენიისას მაიამიში, ადგილობრივ "ჰიტთან" გასვლითი მატჩით დაასრულებს.

**კობა ხატისაშვილი**

### სროლა. მსოფლიო თასი
# უიღბლო რეპეტიცია პეკინში

**ნინო სალუქვაძემ** წარუმატებლად დაასრულა გამოსვლა პეკინში, მსოფლიო თასის მორიგ ეტაპზე, რომელიც "ოლიმპიური კვირეულის" შემადგენელი ნაწილიც გახლდათ. პნევმატურის მსგავსად, ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი ფინალში ვერც სპორტული პისტოლეტიდან სროლაში მოხვდა, თუმცა ამჯერად კიდევ უფრო ცუდად ისროლა და მისთვის შეუფერებელ, მე-17 ადგილზე გავიდა. სამწუხაროდ, დაბალია მისი მაჩვენებელიც - 578 ქულა.

ტურნირი ამჯერად სერბმა ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონმა **იასნა სეკარიჩმა** მოიგო, თუმცა საამისოდ დამატებითი სერია დასჭირდა, რაც საკმაოდ იშვიათად ხდება. ცხადია, ამან ტურნირი საინტერესო გახადა, თუმცა სიურპრიზები არც საკვალიფიკაციოში დაჰკლებია. შესარჩევში სეკარიჩმა ფავორიტის შესაფერისად იასპარეზა და 585 ქულით მოიგო. ფინალში მას ფეხდაფეხ გაჰყვნენ 584 -იანი ჩინელი ინგ ჩენი და 583-იანები - მონგოლი **მუნკზულ ჩოგბადრანი** და ტაივანელი **ტანიაპორნ პრუკსაკორნი**. ფინალურ ოქტეტში ამჯერადაც მოხვდა რამდენიმე ისეთი, ვისგანაც ამას ნაკლებად ელოდნენ - ალბანელი **ლინდიტა კოდრა**, კორეელი **იუნმი გიმი**, რუსი **იულია ალირავა**, მაგრამ ყველაზე დიდი მოულოდნელობა მაინც ტაივანელის მოხვედრაა. არც ისე დიდი ხნის წინათ, სროლის იქაური სკოლა ჩინური სკოლის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ კუნძულელები ამ დისციპლინებში ასე წარმატებით ვერ დაიკვეხნიან. თუმცა წარმატებაში ფინალში გასვლას ვგულისხმობთ, რადგან იქ ცუდად ისროლა და მერვეზე დარჩა.

ფინალში სეკარიჩმა ულიმღამოდ იასპარეზა და 199,4 გააკეთა, რაც ერთ-ერთი ბოლო შედეგი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ფინალში კარგად ისროლა ფრანგმა **სტეფანია ტიროდემ** - 202,4 ქულა დააგროვა, რაც ფინალის საუკეთესო შედეგი აღმოჩნდა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ საერთო ჯამში, მას და სეკარიჩს ერთნაირი მაჩვენებელი დაუგროვდათ - 784,4 და მათ შორის დამატებითში სერია დაინიშნა. ფრანგი ბევრად ახალგაზრდაა და გამოუცდელიც. იგი აქამდე პერიოდულად თუ ხვდებოდა ფინალში, მაგრამ წლეულს აშკარად კარგი სეზონი უდგას - რამდენიმე დღის წინ პნევმატურიდან სროლაც მოიგო, მაგრამ დამატებითი ცდა ხომ ნერვების გამოცდაა და აქ გადამწყვეტი სერბის გამოცდილება აღმოჩნდა. სეკარიჩმა 50,6 დააგროვა, 0,2-ით აჯობა ტიროდეს და ჩემპიონიც გახდა. ბრინჯაო 783,4 ქულის დამგროვებელ ჩოგბადრანს ერგო.

ჩვენი მსროლელებისთვის უახლოესი ტურნირი 15-30 მაისს ჯერ მიუნხენში, მერე კი მილანში გასამართი მსოფლიო თასის დასკვნითი ეტაპებია, რომლებიც ასე ერთმანეთის მიყოლებით იმართება.

**ირაკლი თავაძე**

### მშვილდოსნობა
# ნარიმანიძე და ესებუა

გუშინ, ხორვატულ პორეჩში მშვილდოსანთა მსოფლიო თასის მეორე ეტაპი დაიწყო და შესარჩევი ეტაპიც გაიმართა. სანტო დომინგოს ანალოგიური ტურნირის მსგავსად, ჩვენგან ამჯერადაც მხოლოდ ქალთა ნაკრები გამოდის, თუმცა მაშინდელისგან განსხვავებით, ახლა პლეი ოფში მხოლოდ ორი ჩვენებური - **ხათუნა ნარიმანიძე** და **ქრისტინე ესებუა** მოხვდა. ნარიმანიძე 621 ქულით 28-ზე გავიდა, ესებუა 612-ით - 39-ე, ასმათ დიასამიძემ კი 569 ქულა დააგროვა და 87-ე აღმოჩნდა.

დღეს პლეი ოფები გაიმართება და პირველ წრეში ნარიმანიძეს ძალიან ძლიერი მეტოქე ერგო - ბრიტანელი ევროპის ჩემპიონი **ალისონ ვილიამსონი**, თუმცა მან აქ ძალზე უხეიროდ ისროლა და შესარჩევში ნარიმანიძეს ბევრად ჩამორჩა - 613 ქულა დააგროვა და 37-ე იყო. ჩვენებური თუ ამას მოუგებს (რისიც ნამდვილად გვეიმედება), მეორეში კიდევ უფრო სერიოზული კონკურენტი ელოდება - იტალიელი მსოფლიო ჩემპიონი **ნატალია ვალეევა**. ყოველ შემთხვევაში, ამან პირველ წრეში თურქი **ქესქინ ზექიე სატირი**, ყველა ლოგიკით, უნდა დაამარცხოს.

ნარიმანიძესთან შედარებით, უფრო გაუმართლა ესებუას, რადგან პირველ მეტოქედ ინდოელი **ბომბაილა ლაიშრამ** დევი ერგო, აი, მეორეში კი ფრანგ ლაურა ბარზინსკის და ჩინელ ლინგ ჩენს შორის მოგებულს ხვდება.

ჩვენმა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში 1802 ქულა დააგროვა, რითიც მე-14 ადგილზე გავიდა და პლეი ოფშიც მოხვდა. ეს გათამაშება ხვალ ჩატარდება და ჩვენები პირველ წრეში პოლონელთა საკმაოდ ძლიერ გუნდს ხვდებიან. ისინი სანტო დომინგოშიც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ჩვენებმა მოიგეს. იმედია, ახლაც აჯობებენ.

**ირაკლი თავაძე**

### ხელბურთი. ეროვნული ჩემპიონატი
# ოთხი სეირნობა და ორი ომი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში დღეს დაიწყება ხელბურთელ ვაჟთა XVIII ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე წრე.

რაკილა ჩვენს ჩემპიონატში ოდენ 4 გუნდი თამაშობს და აქედანაც 2 გამოკვეთილი აუტსაიდერია, ყველა წრეში ისე ხდება, რომ საწყის 2 ტურში ფავორიტები (სტუ-თელავი და თბილისი) მაჩანჩალებთან (მამული და ქუთაისი) მოთელვას გადიან ხოლმე. თავის მხრივ, აუტსაიდერებიც მხოლოდ იმისათვის ემზადებიან, რომ დასკვნით ტურში გაამწარონ ერთმანეთი. ასე რომ, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, წინ 4 გასეირნება და 2 ომია.

მეოთხე წრე გადამწყვეტი იქნება "თბილისისა" და "ქუთაისისთვის". თუკი მათ უშუალო კონკურენტებთან არ წააგეს, რჩებათ შანსი, რომ რეგულარული სეზონი პირველ-მესამე ადგილებზე ჩაამთავრონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასკვნით წრეში მათ მოტივაცია აღარ ექნებათ.

ეს წრე გამორჩეული იქნება იმით, რომ მოსალოდნელია ვეტერან **ტიტე კალანდაძის** დაბრუნება საქართველოს ჩემპიონატში. მართალია, იგი სეზონის დასაწყისში შეუერთდა "თბილისს", მაგრამ ტრავმისა და საბუთების პრობლემის გამო, აქამდე მხოლოდ მწვრთნელობით კმაყოფილდებოდა. ამჯერად კი ყველაფერი რიგზეა - ტიტეს ტრავმის პრობლემაც უკეთესობისკენ მიდის და როგორც გუშინ ხელბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, კალანდაძემ უკვე მიიღო საქართველოს ჩემპიონატში თამაშის ლიცენზია. მწვრთნელობის პარალელურად, მას უკვე მოედანზე გასვლაც შეუძლია.

რაც შეეხება ეროვნული ნაკრებისა და სტუ-"თელავის" მეკარე **შოთა თევზაძეს**, მისი საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. შოთა შვედეთიდან კი დაბრუნდა, მაგრამ წესით, 30 აპრილამდე არ შეუძლია საქართველოს ჩემპიონატში თამაში. თუკი საქართველოს ხელბურთის ფედერაცია გამონაკლისს არ დაუშვებს, თევზაძეს მეხუთე წრემდე მოუწევს უქმობა.

მეხუთე წრე დაგეგმილია 6-8 მაისს, რასაც ერთ კვირაში პლეი ოფები მოჰყვება.

**კობა ხატისაშვილი**

| |
|---|
| **17 აპრილი** |
| სტუ-თელავი-მამული (15:00) |
| თბილისი-ქუთაისი (16:30) |
| **18 აპრილი** |
| ქუთაისი-სტუ/თელავი (13:00) |
| მამული-თბილისი (14:30) |
| **19 აპრილი** |
| მამული-ქუთაისი (13:00) |
| თბილისი-სტუ/შევარდენი (14:30) |

### ხელბურთი. ინტერვიუ შოთა თევზაძესთან
# თელავიდან მალმიოში და უკან



შოთა თევზაძე

**საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე შოთა თევზაძეს წლეულს, ცოტა არ იყოს, უცნაური სეზონი აქვს. შემოდგომით მან საქართველოს ჩემპიონატში ითამაშა, იანვრიდან მარტამდე - შვედეთში, ახლა კი ისევ საქართველოს ჩემპიონატს უბრუნდება და სეზონს სამშობლოში ჩაამთავრებს, რის შემდეგაც კვლავ უცხოეთში გააგრძელებს კარიერას. შვედეთიდან დაბრუნებულ თევზაძეს გუშინ გავესაუბრეთ.**

- სამწუხაროდ, "მალმიო" შვედეთის უმაღლესი დივიზიონიდან გავარდა. იქ სეზონი დამთავრდა და საქართველოში დავბრუნდი.

**- უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი არ გქონიათ?**

- ჩემი ჩასვლიდან ერთ კვირაში, "მალმეს" დაუშავდა ორი ძირითადი მეგოლე - სერბი და დანიელი ლეგიონერები. ხელბურთი კი ისეთი სპორტია, რომ თუ გოლის გამტანი არ გყავს, მხოლოდ დაცვითა და მეკარეთი შორს ვერ გაფრინდები. შესაბამისად, ისედაც გაჭირვებული გუნდი მთლად გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა და მეორე ლიგაში დაქვეითდა.

**- "მალმიოში" აღარ ითამაშებ?**

- კლუბის ხელმძღვანელობას ძალიან უნდა, რომ გაისადაც მათთან ვითამაშო, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას ჯერ არ ვჩქარობ. რაც არ უნდა იყოს, მაინც მეორე ლიგაა, ჩემი მენეჯერები კი რამდენიმე უკეთეს ვარიანტს მთავაზობენ. ყველაფერი მაშინ გადაწყდება, როდესაც ევროპაში სეზონი დამთავრდება და გუნდები საგაისო სამზადისს შეუდგებიან. ძირითადად, სწორედ მაშინ ხორციელდება ხოლმე ტრანსფერები. მოკლედ, გადავხედავ ვარიანტებს და სადაც უკეთესი იქნება, იქ წავალ.

**- შვედეთში თამაში რამდენად სასარგებლო იყო?**

- სკანდინაველებს საკმაოდ ძლიერი ჩემპიონატი აქვთ და, რაღა თქმა უნდა, იქ თამაში დიდი გამოცდილებაა. სულ რვა თამაში ჩავატარე და როგორც იქაურმა პრესამ აღნიშნა, საიმედოდ ვიდექი კარში. ყოველი მატჩის შემდეგ, საუკეთესო მოთამაშეები სახელდებოდნენ ხოლმე და მე ორჯერ მაღიარეს ვიპ-პერსონად.

**- შვედეთში შენამდე სერგო დათუკაშვილი თამაშობდა. მის შესახებ რას ამბობენ?**

- სერგომ შვედეთში დიდხანს ითამაშა უმაღლეს დონეზე და ამ ხნის განმავლობაში, საკმაოდ დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა. იგი იქ დღემდე ახსოვთ და თუკი დასჭირდებათ, რჩევებსაც ეკითხებიან. "მალმიოს" მეკარე რომ დასჭირდა, სწორედ დათუკაშვილს სთხოვა დახმარება და სერგომ მე გამიწია რეკომენდაცია.

**- სანამ შვედეთში იყავი, სტუ-"თელავმა" უშუალო კონკურენტ "თბილისთან" წააგო. შენი დაბრუნებით რამდენად გაიზრდება სტუ-ს შანსი?**

- შანსი ალბათ გაიზრდება, მაგრამ მე მგონი მინიმუმ, მეხუთე წრემდე ვერ დავეხმარები "თელავს". საქმე ის არის, რომ შვედეთში წასვლის შემდეგ, საქართველოს ჩემპიონატში თამაშის ლიცენზია 30 აპრილამდე არ მქონდა და თუკი ხელბურთის ფედერაციამ გამონაკლისი არ დაუშვა, თვის ბოლომდე არ მაქვს აქ თამაშის უფლება.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# რვა გუნდი უმაღლესში

რაგბიში საქართველოს ჩემპიონატი სტარტს 3 მაისიდან აიღებს. წლეულს უმაღლეს ლიგაში რვა გუნდი იასპარეზებს: "ყოჩები", "ლელო", "ლოკომოტივი", "უნივერსიტეტი", "აკადემია", "დინამო", "არმაზი" და ქუთაისის "აია". შეჯიბრი ორ წრედ გაიმართება. საუკეთესო ოთხეული პლეი ოფში გააგრძელებს ჩემპიონობისთვის ბრძოლას. ფინალისტები ორი მატჩის ჯამში გამოვლინდებიან. უმაღლეს ლიგას ბოლო ადგილზე გასული ავტომატურად დატოვებს. მას პირველ ლიგაში გამარჯვებული შეცვლის. აქ მეორეადგილოსანი კი უმაღლესის საგზურს ბოლოსწინა ადგილზე გასულ გუნდს ურთიერთშეხვედრაში შეეცილება.

პირველი ლიგის გათამაშებაში ასევე რვა გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ესენია: "ხულიგანა", "რუსთავი", "ბათუმი", "დევები", თი ბი სი, "აია 2", "ლელო 2" და "ლოკომოტივი 2".

ბესიკ ჯანგავაძე

| პირველი წრე |
|---|
| **I ტური, 3-4 მაისი** |
| ყოჩები-აკადემია |
| ლელო-დინამო |
| ლოკომოტივი-აია |
| თსუ-არმაზი |
| **II ტური, 10-11 მაისი** |
| აკადემია-არმაზი |
| ყოჩები-ლელო |
| დინამო-ლოკომოტივი |
| აია-თსუ |
| **III ტური, 17-18 მაისი** |
| ლელო-აკადემია |
| ლოკომოტივი-ყოჩები |
| თსუ-დინამო |
| არმაზი-აია |
| **IV ტური, 31 მაისი-1 ივნისი** |
| აკადემია-აია |
| ლელო-ლოკომოტივი |
| ყოჩები-თსუ |
| დინამო-არმაზი |
| **V ტური, 21-24 ივნისი** |
| ლოკომოტივი-აკადემია |
| თსუ-ლელო |
| არმაზი-ყოჩები |
| აია-დინამო |
| **VI ტური, 28-30 ივნისი** |
| აკადემია-დინამო |
| ლოკომოტივი-თსუ |
| ლელო-არმაზი |
| ყოჩები-აია |
| **VII ტური, 5-6 ივლისი** |
| თსუ-აკადემია |
| არმაზი-ლოკომოტივი |
| აია-ლელო |
| დინამო-ყოჩები |

# დიდი სპორტის მასპინძელი უნივერსიტეტი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის თაოსნობით, 14 აპრილს სპორტული უნივერსიადის ფარგლებში რამდენიმე სახეობაში შეჯიბრებები მოეწყო. თამაშების გახსნის ცერემონიალზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელობაც მოვიდა, **დავით ნამგალაურის** თაოსნობით და უნივერსიტეტის რექტორ **გიორგი ხუბუასთან** ერთად მრავალ საკითხზე ისაუბრეს - მთავარი სათქმელი ქართულ უმაღლეს სასწავლებელში სპორტული ცხოვრების აღორძინება იყო. ორიოდ დღეც არ გასულა, ხუბუა და ნამგალაური კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს - ამჯერად სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციათა ხელმძღვანელებიც დაპატიჟეს და საუნივერსიტეტო სპორტის განვითარებაში მათი წვლილის შეტანის შესახებ ისაუბრეს.

პროფესიულ სპორტს განვითარებისა და არსებობის თავისი, დამოუკიდებელი გზა აქვს, მაგრამ რომელიმე სუბიექტთან თუ ორგანიზაციასთან თანამშრომლობას არ გამორიცხავს. განვითარებულ ქვეყნებში საუნივერსიტეტო სპორტი მჭიდროდ უკავშირდება პროფესიულს, რადგანაც სტუდენტთა ასაკი სწორედ იმგვარია, რა ასაკშიც აღწევენ ძირითადად ათლეტები წარმატებას. შესაბამისი გამოცდილება ჩვენც გვაქვს და ვინ მოთვლის, რამდენ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს მიუღია განათლება სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დღეს რომ ასე არ არის, ცნობილია; თუმცა მიზეზიც ვიცით და ახლა იმაზე უნდა ვიზრუნოთ, როგორ გამოვაკეთოთ მდგომარეობა. სულ 25-მდე სახეობის ფედერაციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ საკონფერენციო დარბაზში. აღმოჩნდა, რომ მათი დიდი სურვილიც ყოფილა, ეთანამშრომლათ უნივერსიტეტთან. ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, მსოფლიოს ჩემპიონმა **თემურ ყაზარაშვილმა** გაიხსენა: *"კარგი ვაჟკაცი იყავი და, უარი გეთქვა უნივერსიადაში მონაწილეობაზე, - მსოფლიოს ჩემპიონსაც კი არ შემეძლო თავის არიდება... თუკი ასეთი დროება დაბრუნდება, მოხარული ვიქნები. ჩვენი ფედერაციის სახელით გპირდებით, რომ დარბაზში საჭიდაო ხალიჩას დავაგებთ და სპეციალისტებიც დაგეხმარებით".*

დახმარება აღუთქვა უნივერსიტეტს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ახვლედიანმა** - მაისში საქართველოს ქალთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩერნოგორიის ნაკრებს ხვდება. უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ბილეთების გარკვეულ რაოდენობას გამოყოფენ და უფასოდ დაურიგებენ.

თანადგომა და თანამშრომლობა აღუთქვა საუნივერსიტეტო სპორტს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **შენგელი ფიცხელაურმაც,** მან ბატონ **გიორგი ხუბუას** სთხოვა, ეგებ როგორმე შესაბამისი ღონისძიებები გატარდესო. საქმე ის არის, რომ დღეისთვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სპორტსმენებზე ყველანაირი შეღავათები მოხსნილი, - რომელთაგანაც მთავარი პრობლემა მისაღები გამოცდებია. განათლების რეფორმის შედეგად წინასწარ შეუძლებელია განსაზღვრო, რომელ სასწავლებელში მოხვდები. ფიცხელაურის თქმით, თუკი სპორტსმენმა თსუ ჩაწერა პირველ ნომრად და ქულები დააკლდა, სხვაგან მოხვდება, ეს კი თავად უნივერსიტეტისთვის არ იქნება კარგი. აუცილებელია, რალაც ფორმით სპორტსმენთა წახალისება, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, საუნივერსიტეტო სპორტი არ განვითარდება, მიუხედავად იმისა, იქნება ინფრასტრუქტურა თუ - არა. ბატონი შენგელის აზრს რექტორი უპირობოდ დაეთანხმა და დახმარება შესთავაზა, თუმცა აღნიშნა, რომ ასეთი შეღავათების გაცემა მის კომპეტენციაში არ შედის. ბატონი გიორგი შესაბამის უწყებებში საკითხს დააყენებს და გამოსავალი ალბათ, მოიძებნება.

შეხვედრას საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი **ნიკოლოზ ამაშუკელიც** ესწრებოდა და რამდენიმე სიტყვით მანაც მიმართა აუდიტორიას. პათოსი იგივე იყო - *თანამშრომლობა აუცილებელია, მაგრამ ამ კუთხით ყველა უმაღლესმა სასწავლებელმა, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც უფრო მეტად უნდა გაააქტიურონ მუშაობა. საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია ძალას არ დაიშურებს, რათა სათანადო სიმაღლეზე ვიხილოთ სპორტი სტუდენტებში და თუკი ხელშეწყობა იქნება, შედეგსაც სასურველს მივიღებთ.*

საღამოს კულმინაცია საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებთან შეხვედრა უნდა გამხდარიყო, მაგრამ, მოგეხსენებათ, ნაკრების წევრთა დიდი ნაწილი საზღვარგარეთ, უცხოურ კლუბებში თამაშობენ და რუსეთის ნაკრებთან მოგების შემდეგ თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ. თუმცა მაჟორული აკორდი მაინც გაისმა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მორაგბეთა ნაკრებს მშვენიერი საჩუქარი - ღვთისმშობლის ხატი გადასცა. საჩუქარი რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა **გია გორგასლიძემ** მიიღო. რაგბის კავშირს და მთლიანად ქართულ რაგბს კი სულ მალე კიდევ უფრო დიდი საჩუქარი ელის, ამჯერად სახელმწიფოსგან. საქართველოს პრეზიდენტის მიერ შარშან გახმოვანებული რაგბის განვითარების პროგრამა ერთ კვირაში დაიწყებს ამოქმედებას: საქართველოს 8 რეგიონში დაიწყება სარაგბო სტადიონების მშენებლობა; თუ სად, ამას თავად რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს. მათივე შერჩევით თბილისის 12 რაიონში აიგება სარაგბო მოედნები, რომლებიც შემდეგში ქართული კლუბების მფლობელობაში გადავა. ეს სასიამოვნო ამბავი ბატონმა **დავით ნამგალაურმა** გვამცნო და დასძინა, რომ სახელმწიფო ემადლიერება რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას, მხარს უჭერს მათ პოლიტიკას - ნაკრებს მშვენიერი მწვრთნელი ჰყავს და ამიტომ ფინანსურ თანადგომას კიდევ გავუზრდითო - აქამდე მილიონი ლარით დავეხმარეთ, კიდევ ორ მილიონს კი მომავალში მიიღებენო.

ზვიად შათირიშვილი

ჰოკეი

# საქართველოს ნაკრების პირველი გამარჯვება



ამ დღეებში დნეპროპეტროვსკში საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს. იქ საქართველოს ნაკრებიცაა მიწვეული ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტის, ბატონ დენის დავიდოვის თავკაცობით.

ოფიციალურ ტურნირამდე ამხანაგურ მატჩში ჩვენი გუნდი დნეპროპეტროვსკის "მგლებს" დაუპირისპირდა. მატჩი საინტერესო გამოდგა. **დენის დავიდოვმა** დაამტკიცა, რომ ნამდვილი ლიდერია, გოლებიც გაჰქონდა და თავისი ენერგიით ნაკრების მოთამაშეებიც დამუხტა. გამორჩეული იყვნენ **გეფერიძე, გოგიჩაიშვილი, ოგანესიანი.** მათი წყალობით დიდხანს ინარჩუნებდა ჩვენი გუნდი ლიდერობას და დიდი ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მოიპოვა, რაც სტიმული უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ტურნირის პირველი მატჩის წინ.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ბიჭები, ოფიციალურ მატჩში რატომღაც, დაბნეულნი ჩანდნენ. ამაზე თვით ანგარიშიც მოწმობს - 0:12 დონეცკის გუნდთან. ასეთ დროს მეტოქისგან და ორგანიზატორებისგან გამამხნევებელ სიტყვებს არაფერი სჯობდა. მათ შეაქეს საქართველოს ნაკრების მოთამაშეები და კარგი მომავალიც უწინასწარმეტყველეს.

მეორე ოფიციალურ მატჩშიც 12 შაიბა გაუშვა ჩვენმა ნაკრებმა, თუმცა 3 შაიბით უპასუხა, რაც პროგრესი იყო. მოედანზე ტაქტიკური მონახაზიც ჩანდა, სისწრაფეც, მაგრამ საკუთარ თავს ვერ გადაახტები, რაც არის, არის. მეორე მატჩშიც, ზაპოროჟიეს გუნთან, თავი ისახელეს დავითაიამ, ოგანესიანმა და ისევ გეფერიძემ, რომლის ძლიერ დარტყმებსაც ყველამ მაღალი შეფასება მისცა.

შექებამ და გამამხნევებელმა სიტყვებმა თავისი შედეგი გამოიღო. საქართველოს ნაკრებმა საერთაშორისო ტურნირზე პირველი მატჩი კლუბ "მერკურისთან" - 5:3 (3:1, 0:1, 2:1) მოიგო. - დენის დავიდოვმა ჰეთ-თრიქი შეასრულა, ოგანესიანმა - დუბლი.

იმ დღეს, მართლაც, მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა არა მარტო დენის დავიდოვი, არამედ მთელი ჩვენი გუნდი, დავითაია, ოგანესიანი და სხვებიც. ისე გათამაშდნენ, რომ რიცხობრივ უმცირესობაშიც კი არ დაიბნენ და მოწინააღმდეგის შეტევებს ღირსეულად გაუძლეს. მესამე პერიოდში გოგიჩაიშვილის პასის შემდეგ, დავიდოვმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

ვულოცავთ საქართველოს ნაკრებს პირველ გამარჯვებას საერთაშორისო ტურნირზე და ახალ წარმატებას ველით.

დავით ჩუბინიძე

ჩოგბურთი

# ლაზარეს დაბრუნება

**მაკა ჩახნაშვილი** საბოლოოდ დაემშვიდობა სენ მალოს ტურნირს (125 ათასი დოლარი), საფრანგეთის ამ ქალაქში ქართველთა პირველმა ჩოგანმა ერთეულთა თანრიგის მეორე საკვალიფიკაციო წრეში წააგო, წყვილებში კი ძირითადი ბადის პირველ წრეში დამარცხდა. მაკა კანადელ **მარი-ივ პელეტიესთან** (187) დუეტში ფავორიტი იყო, მათ "უაილდ ქარდით" მიწვეული მასპინძლები **(ენდრიო, ტორპი)** დაუპირისპირდნენ. სამ სეტში გამარჯვება ფრანგებს დარჩათ - 6:3, 2:6, 7:10.

ამერიკულ პალმ ბიჩ გარდენში (25 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში **სალომე დევიძე** მონაწილეობდა, რომელიც ფინალურ წრეში გავიდა, იქ მას ამერიკელი **ჩელსი გალიქსონი** (608) შეხვდა. სამწუხაროდ, სალომემ ვერაფერი გააწყო 18 წლის პერსპექტიულ ამერიკელთან - 4:6, 1:6. ძირითად ბადეში **ანა ტატიშვილი** რეიტინგით მოხვდა, მისი პირველი მეტოქე ამერიკელი **ჯესიკა კირკლენდი** (426) იყო. ანამ პირველი სეტი 5:7 წააგო, თუმცა შემდეგ მეორეში 4:0 დაწინაურდა. მეორე სეტს დასრულება არ ეწერა, ჯესიკამ ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვა. ტატიშვილი მერვედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე ტურნირის მე-2 ჩოგანი ამერიკელი **რაქელ კოპს-ჯოუნსი** (177) იქნება. სხვათა შორის, შარშან ლას ვეგასში ანამ სამ სეტში დაამარცხა კოპს-ჯოუნსი. წყვილთა თანრიგში სალომე დევიძემ ის შეძლო, რაც ერთეულებში ვერ განახორციელა, შვეიცარიელ **ნიკოლ რინერთან** ერთად ძირითად ბადეში გავიდა. სალომემ და ნიკოლმა იოლად მოუგეს საკვალიფიკაციო ბადეში პირველ ნომრად განთესილ ამერიკელებს **(გემბეილი, ინუე)** - 6:1, 6:2. ძირითადი ბადის პირველ წრეში მათი მეტოქეები არგენტინელი **შპიგელი** და ამერიკელი **ჰემპტონი** იქნებიან. ანა ტატიშვილი ამერიკელ **კიმბერლი კაუტსთან** ერთად "უაილდ ქარდით" მიწვეულ ამერიკულ დუეტს **(ლემბახი, სანდერემი)** ეთამაშება.

თურქულ კურორტ ბელეკში (10 ათასი დოლარი) მერვედფინალში დამარცხდა **სოფიო ქვაცაბაია,** მან რუს **ვარვარა გალანინასთან** (530) დათმო სამ სეტში - 1:6, 7:6 (6), 1:6. სხვათა შორის, ორი წლის წინათ ეს ტურნირი მაკა ჩახნაშვილმა მოიგო. ქართველები ამ ტურნირის წყვილთა თანრიგის ბადესაც დაემშვიდობნენ, სოფიო ქვაცაბაიამ რუს **ციბიშევასთან** წყვილში დანიელ **იენსენთან** და შვედ **ერიქსონთან** წააგო - 5:7, 3:6. **თეონა ცერცვაძის** და რუსი **ბიკორადოვას** დუეტი პირველ ნომრად განთესილ იტალიურ წყვილთან **(ბალსამო, სულპიციო)** დამარცხდა - 2:6, 4:6.

საფრანგეთის ქალაქ ისტრში 18-წლამდელ ჩოგბურთელთა მე-2 კატეგორიის ტურნირი მიმდინარეობს. საკვალიფიკაციო წრეში 17 წლის **ლაზარე კუხალაშვილი** თამაშობდა. მან პირველ წრეში **გუილემ კასკალე** (საფრანგეთი) დაამარცხა - 6:0, 6:3. მეორეში ლაზარემ მე-6 ნომრად განთესილ ბელგიელ **არტურ დე გრეეფს** მოუგო - 6:4, 7:5. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ფრანგ **რომენ არნეოდოსთან** ბრძოლაშიც ლაზარე გამოვიდა გამარჯვებული - 6:1, 6:4. ძირითად ბადეში ლაზარე კუხალაშვილი "უაილდ ქარდით" მიწვეულ ფრანგ **მატიო რაკასას** შეხვდა და მოუგო - 6:4, 6:4. ისტრის ტურნირის მერვედფინალში კუხალაშვილი მე-6 ნომრად განთესილ ბრიტანელ **დენიელ კოქსს** (59) დაუპირისპირდა და აქაც იმარჯვა - 2:6, 6:2, 6:4. ლაზარე თებერვალში შესრულდა 17 წლისა. დღეისათვის ახალგაზრდულ ასპარეზზე მხოლოდ 374-ე ჩოგანია, არადა შარშან, 15 წლის ასაკში 36-ე იყო. ივლისის მერე ლაზარეს დიდი პაუზა ჰქონდა, ის წლეულს მხოლოდ მესამე ტურნირში თამაშობს.

ამ ტურნირის საკვალიფიკაციო ბადე გოგონებში **ეკა გორგოძემ** იოლად გაიარა. 16 წლის ქართველმა ჯერ ფრანგი **ჟოზეფა ადამს** მოუგო - 6:1, 6:0. მეორე წრეში მან პოლონელ **კატარჟინა კავას** მოუგო - 6:1, 6:4. ფინალურ ეტაპზე კი - ფრანგ **მარი მენაგერს** - 6:2, 6:1. ძირითად ბადეშიც იგივე გაგრძელდა, ჩვენებური კვლავ იოლად გაუსწორდა მეტოქეს, ამჯერად, რუს **ანასტასია მუხამეტოვას** - 6:0, 6:3. მერვედფინალში ეკას მეტოქე ფრანგი **ჟული გრევაისია.**

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩოგბურთი. ახალი ვუნდერკინდი

# სამპრასი ბრუნდება



**როჯერ ფედერერთან** საჩვენებელი მატჩების შემდეგ, ლეგენდარული **პიტ სამპრასი** ამ სეზონში კიდევ აპირებს კორტზე გასვლას. ამჯერად ამერიკელი ჩოგბურთელი ლონდონის Royal Albert Hall-ს ეწვევა, სადაც ვეტერანთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

პიტ სამპრასს ინგლისთან სასიამოვნო მოგონებები აკავშირებს - ამერიკელს შვიდჯერ აქვს მოგებული უიმბლდონი. უკანასკნელად პიტი ბრიტანეთს 2002 წელს სტუმრობდა, როცა თავის ბოლო უიმბლდონზე მიიღო მონაწილეობა, 2003 წელს კი, აქტიური კარიერა დაასრულა.

ლოდონის ვეტერანთა ტურნირი BlackRock Tour-ის სერიის ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს. აქ ერთმანეთში ურთიერთობას ვეტერანი ჩოგბურთელები არკვევენ, მათ შორის ყოფილი ვარსკვლავები: **ჯონ მაკინროი, ბიორნ ბორგი** და სხვები.

სამპარსმა ასე ახსნა ტურნირში მონაწილეობის სურვილი: *"ჩემთვის ეს საინტერესო ჩემპიონატია. თამაშისგან ძველებურად დიდ სიამოვნებას ვიღებ. ისევ მინდა ტიტულების მოგება, თუმცა ახლა უფრო მშვიდი და ოდნავ მოდუნებულიც ვარ. თანაც, ხალხს კვლავ სურს ჩემი მონოდებებისა და ბედასთან გასვლის ხილვა".*

ლონდონის ტურნირის გამართვა დეკემბერშია დაგეგმილი.

**გია თვალაბეიშვილი**

## ტურნირები

### ATP

#### Estoril Open

ეშტორილი (პორტუგალია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 370 000 დოლარი

**I წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 4:6, 6:3, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 2)**-იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:3, 6:1; **რუი მაჩადო (პორ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ, 3) 6:4, 1:0 კარლოვიჩის უარი; **დენის გრემელმაირი (გერ)**-იარკო ნიემინენი (ფინ, 4) 3:6, 6:1, 6:2; **მიხაელ ბერერი (გერ, 8)**-გასტაო ელიაში (პორ) 6:4, 7:5; **ფალვიო ჩიპოლა (იტა)**-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ) 6:4, 5:7, 6:4; **ირჟი ვანეკი (ჩეხ)**-ფილიპ პეტცშნერი (გერ) 4:6, 6:3, 6:4; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-ოლივიე პატიენსი (საფ) 6:1, 7:6 (2); **ჟოაო სოუზა (პორ)**-ოლივერ მარაში (ავსტრია) 6:1, 6:3; **ტიერი ასკიონე (საფ)**-ალექსანდრ კუდრიავცევი (რუს) 6:1, 6:4; **ფლორან სერა (იტა)**-ჯანლუკა ნასო (იტა) 6:1, 6:2.

#### Comunidad Valenciana

ვალენსია (ესპანეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 370 000 დოლარი

**I წრე**

**დავიდ ფერერი (ესპ, 1)**-ივან ნავარო (ესპ) 6:3, 6:4; **ტომი რობრედო (ესპ, 3)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:3, 7:5; **მარატ საფინი (რუს)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 4) 6:3, 5:7, 6:4; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 5)**-მიგელ ანხელ ლოპეს ხაენი (ესპ) 7:5, 6:3; **ევგენი კოროლიოვი (რუს)**-იგორ ანდრეევი (რუს, 6) 6:4, 4:6, 7:6 (4); **პოტიტო სტარაჩე (იტა, 8)**-სიმონე ბოლელი (იტა) 6:3, 6:1; **პაბლო ანდუხარი (ესპ)**-კრისტოფ ვლიეგენი (ბელ) 6:4, 6:1; **ედუარდო შვანკი (არგ)**-კრისტოფ როხუსი (ბელ) 6:2, 2:0 როხუსის უარი; **სანტიაგო ვენტურა (ესპ)**-დავიდ მარერო (ესპ) 7:6 (3), 7:6 (6); **დანიელ ხიმენო-ტრავერი (ესპ)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:4, 6:4.

#### US Men's Clay Court

ჰიუსტონი (აშშ). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 436 000 დოლარი

**I წრე**

**იგორ კუნიცინი (რუს)**-ტომი ჰაასი (გერ, 2) 5:7, 6:4, 6:4; **მარდი ფიში (აშშ, 3)**-რაინერ შუტლერი (გერ) 7:6 (4), 6:3; **აგუსტინ კალერი (არგ, 5)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 6:4, 6:3; **მარსელ პუიოლ-გრანოლერსი (ესპ, 7)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:2, 6:0; **სერხიო როიტმანი (არგ)**-ჯონ ისნერი (აშშ) 3:6, 7:6 (6), 6:3.

### WTA

#### Family Circle Cup

ჩარლსტოუნი (აშშ). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 1 340 000 დოლარი

**I წრე**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 13)**-ჩანელ სხეპერსი (ს. აფრ) 6:1, 6:0; **ტატიანა პერებიინისი (უკრ)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 14) 4:6, 6:0, 7:5; **ალიზ კორნე (საფ)**-მიხაელ კრაიჩეკი (ჰოლ, 16) 6:3, 3:6, 6:4; **ედინა გალოვიტცი (რუმ)**-მეგან შონესი (აშშ) 6:3, 3:0 შონესის უარი; **ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ)**-ოლგა პუტჩკოვა (რუს) 4:6, 7:5, 6:0; **ჯილ კრეიბასი (აშშ)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 6:2, 6:2; **ანასტასია როდიონოვა (რუს)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 6:4, 1:0 ციბულკოვას უარი; **ბეტანი მატეკი (აშშ)**-იენ იუანი (ჩინ) 6:3, 4:6, 6:2; **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:3, 6:2.

**II წრე**

**სორანა კრისტეა (რუმ)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 3) 6:2, 1:6, 6:2; **სერენა უილიამსი (აშშ, 5)**-ხისელა დულკო (არგ) 6:3, 6:4; **მარიონ ბარტოლი (საფ, 6)**-კეისი დელაკუა (ავსტრა) 7:5, 4:6, 6:1; **დინარა საფინა (რუს, 8)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:1, 6:4; **აგნეს შავაი (უნგ, 10)**-აი სუგიამა (იაპ) 7:5, 3:6, 6:4.

#### Estoril Open

ეშტორილი (პორტუგალია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 145 000 დოლარი

**I წრე**

**ფლავია პენეტა (იტა, 1)**-ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 4:6, 6:0, 6:2; **მარია კირილენკო (რუს, 2)**-სტეფანი ფოგელი (შვეიც) 6:4, 6:7 (2), 6:1; **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 4) 7:5, 6:4; **ტატიანა გარბინი (იტა, 5)**-იულია ბეიგელციმერი (უკრ) 6:1, 3:6, 7:5; **კამილ პინი (საფ, 8)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 7:6 (6), 6:3; **მარიანა დუკე მარინო (კოლ)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:4, 6:3; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-ნუეზა სილვა (პორ) 6:0, 6:2; **კორინა დენტონი (იტა)**-როსანა დე ლოს რიოსი (პარ) 6:2, 2:6, 6:3; **მარეტ ანი (ესტ)**-ან კრემერი (ლუქ) 7:5, 6:2; **ოლგა სავჩუკი (უკრ)**-სანდრა კლოზელი (გერ) 4:6, 6:4, 6:4; **პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ)**-ალისა კლეიბანოვა (რუს) 6:2, 6:2; **სანდრა მამიჩი (ხორ)**-მიშელ ლარშერდ ბრიტო (პორ) 2:6, 6:0, 6:4.

## ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალი

### დასავლეთი

**კალგარი (7)-სან ხოსე (2) 2:3**

1:0, 1:1, 0:2

გოლები: 1:0 იგინლა-2 (ლენგკოუ-2, ტანგეი-2), 1:1 ქლოუ-4 (მარლო-3, ჯ. ტორნტონი-4), 2:1 ფანოფი-3 (იგინლა-4), 2:2 ჩიჩუ-1 (პაველსკი-3, სეტოგუჩი-1), 2:3 ჯ. ტორნტონი-1 (დ. მიურეი-1, ქლოუ-3).

სერია 2:2

**კოლორადო (6)-მინესოტა (3) 5:1**

3:0, ?:0, 0:1

გოლები: 1:0 ბრუნეტი-2 (სალეი-2, ლეოპოლდი-1), 2:0 ვოლსკი-1 (ლაპერიერი-1), 3:0 არნასონი-1, 4:0 სალეი-1 (არნასონი-1, ლეოპოლდი-2), 5:0 ჰეიდუკი-2 (რ. სმიტი-1, საკიკი-3), 5:1 მ. კოივუ-4 (კარნი-1, როლსტონი-3).

სერია 2:2

**დალასი (5)-ანაჰაიმი (4) 2:4**

0:3, 0:1, 2:0

გოლები: 0:1 მარჩანტი-1 (მოენი-1, პრონგერი-1), 0:2 გეტცლაფი-1, 0:3 პრონგერი-1 (ბერტუცი-2, უეიტი-1), 0:4 პრონგერი-2 (სელიანე-1, გეტცლაფი-2), 1:4 მოროუ-2 (მოდანო-1, რიბეირო-5), 2:4 მოროუ-3 (მოდანო-2, რიბეირო-6).

სერია 1:2

### აღმოსავლეთი

**ბოსტონი (8)-მონრეალი (1) 0:1**

0:0, 0:1, 0:0

გოლი: 0:1 ბრისბუა-1 (ა. კოსტიცინი-1, კოვალიოვი-2).

სერია 1:3

**ფილადელფ (6)-ვაშინგტ (3) 6:3**

3:1, 1:1, 2:1

გოლები: 1:0 ბრიერი-3 (პროსპალი-2, ქობურნი-2), 1:1 ფერი-1 (ბრაშირი-1, შტეკელი-1), 2:1 ჰარტნელი-1 (პროსპალი-3, ბრიერი-2), 3:1 ს. კაპანენი-1 (დაუდი-1), 3:2 მ. გრინი-3 (სიომინი-2, ოვეჩკინი-2), 4:2 ბრიერი-4 (მ. რიჩარდსი-2, პროსპალი-4), 4:3 ლეიჩი1 (მ. მორისონი-1, მ. გრინი-1), 5:3 მ. რიჩარდსი-1 (ბულიტი), 6:3 ნუბლი-1 (აპშოლი-1).

სერია 2:1

ავტოსპორტი. ფორმულა 1. BMW-ზაუბერი




რუბრიკას წარმოგიდგენთ
Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

# უკვე ტოპ-გუნდი?

ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებიდან სამი ეტაპი გავიდა. ეს სეზონის ერთი მეექვსედი ნაწილია და როგორც წესი, სწორედ აქ ეყრება საფუძველი ქულათა იმ მარაგს, რომელიც შემდეგ ძნელი ამოსაქაჩი ხდება ხოლმე...

59-ე ჩემპიონატის ანალიზი შეიძლება ცოტათი ნაადრევიც იყოს, მაგრამ ფორმულა 1-ის ოფიციალურმა ვებგვერდმა მაინც აილო საკუთარ თავზე ეს ტვირთი. და თავისი მიმოხილვა ამ სეზონის სასიამოვნო მოულოდნელობას - "BMW-ზაუბერს" მიუძღვნა.

ბავარიულ გუნდს ამგვარი ინტერესი მხოლოდ კონსტრუქტორთა თასზე ლიდერობით არ დაუმსახურებია. ეს მისი გამოსვლით მიღებული შთაბეჭდილებების გამოვლინებაცაა. სწორედ განვლილი სამ ეტაპის დროს გამოჩნდა, თუ რას ნიშნავს გერმანული ეფექტრობა.

შარშან, "BMW-ზაუბერის" გამოსვლის შეფასებისას, ერთ-ერთმა მიმომხილველმა ასეთი რამ დაწერა: *"ტოპ-გუნდის სტატუსი მხოლოდ მისი ბოლიდების სისწრაფით არ განისაზღვრება".* მართლაც, სწრაფი ბოლიდები მხოლოდ ერთი ნაწილია იმ მოზაიკისა, რომელიც წარმატების საერთო სურათს წარმოადგენს. აქ არის კიდევ მანქანების საიმედოობა, ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპი, პილოტების ნიჭი, მათი სტაბილური გამოსვლა, ინჟინრებისა და მექანიკოსების შეწყობილი მუშაობა, გამარჯვებისკენ სწაფვა, უნარიანი ხელმძღვანელობა, რისკზე წასვლის სურვილი და თავად ამ რისკის გათვლა...

დოქტორ **მარიო ტიისენის** შეგირდებს ეს კომპონენტები თითქოს ყოველთვის ჰქონდათ, მაგრამ ახლა, როცა გუნდი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა, ეს ყველაფერი კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა. ავილოთ ჩემპიონატში გამოსვლის საიმედოობა და სტაბილურობა. ამ მომენტისთვის, ეს არის ერთადერთი გუნდი, რომელმაც სამივე რბოლის შემდეგ პოდიუმზე ასვლა მოახერხა. და მისი პილოტები სამივე ეტაპზე სრული შემადგენლობით ქულათა ზონაშიც იქნებოდნენ, რომ არა **კაზუკი ნაკაჟიმა**, რომელმაც მელბურნში **რობერ კუბიცას** ცუდი სამსახური გაუწია.

BMW-ს ვერც სისწრაფეს დაუწუნებ. შეიძლება სწრაფ წრეებს იშვიათად აფიქსირებენ, მაგრამ სამეულში ყოველთვის არიან ხოლმე. თუ როგორ მუშაობენ მექანიკოსები პიტ-სტოპებზე, ამის შეფასება იმ დროის მიხედვით შეგიძლიათ, რაც ბოქსებში შესვლის დროს, ბოლიდის მომსახურებისთვის იხარჯება - სამივე ეტაპისას, პიტ-ლეინზე გატარებული დრო ყოველთვის მინიმალური იყო.

და ტაქტიკაც გუნდს ყოველთვის კარგად აქვს გათვლილი. **ნიკ ჰაიდფელდი** და რობერტ კუბიცა აგრესიულ და კონსერვატიულ სტრატეგიებს იყოფენ, რათა ერთის ჩავარდნის შემთხვევაში, მეორემ გაისროლოს. ანუ BMW-ში ცდილობენ მინიმალური დანაკარგი ჰქონდეთ. ამასთან, თუ ორივეს მისდის საქმეები (როგორც ბაჰრეინში), საბოლოოდ პილოტები ფინიშზე გვერდიგვერდ დგებიან.

სხვათა შორის, "BMW-ზაუბერის" პილოტები არა მხოლოდ სტრატეგიული თვალსაზრისით ავსებენ ერთმანეთს იდეალურად. აქ საქმეში პილოტირების სტილიც ერთვება: მშვიდი, გაწონასწორებული და საიმედო - ეს ნიკ ჰაიდფელდია, აგრესიული - რობერტ კუბიცა. მათ შორის ამგვარი განსხვავება, ერთგვარად წაუგებელი ვარიანტია. თუ მანქანა მოცემულ მომენტში ერთის სტილს არ შეესაბამება, მეორეს ის აუცილებლ ად გამოადგება: გასულ სეზონში, ამ მხრივ ჰაიდფელდი უფრო მოგებული რჩებოდა, წელს კი, ის ბოლიდის ბალანსის გამო წუწუნებს, სამაგიეროდ, კუბიცა იღებს მისი მისამართით გაშვებულ კომპლიმენტებს. თეორიულად, პილოტების ამგვარი სინთეზის წყალობით, გუნდმა შეიძლება კონსტრუქტორთა თასზე მართლაც სერიოზულად იფიქროს, თუ, რა თქმა უნდა, ჰაიდფელდი და კუბიცა ერთმანეთს არ გადაეკიდნენ. მაგრამ მეორეს მხრივ, ამ დუეტში თუ ერთი ლიდერი არ გამოიკვეთა, პირად პირველობაში გამარჯვებაზე პრეტენზიის გამოცხადება ძალიან რთული იქნება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, თუ როგორ მეთოდურად მიიწევს წინ "BMW-ზაუბერი". ორი სრული სეზონი ფორმულა 1-ში და გერმანულმა გუნდმა უკვე სერიოზულად ჩააფიქრა "ფერარი" და "მაკლარენი". იტალიურ საჯინიბოში რეალურად ხედავენ ბავარიელების მხრიდან ხიფათს: **სტეფანო დომენიკალი** ხოტბას ასხამს კუბიცას, **კიმი რაიკონენი** კი, უახლოეს მომავალში BMW-ის გამარჯვებებს პროგნოზირებს. "მაკლარენის" ოჯახში კი, ამ მხრივ აზრთა სხვადასხვაობაა. **რონ დენისი** დარწმუნებულია, რომ "BMW-ზაუბერს" რესურსები არ ეყოფა იმისთვის, რომ ფეხი აუწყოს ტექნიკურ პროგრესს, რომელსაც თავად "მაკლარენი" სთავაზობს სხვებს. სამაგიეროდ, **მარტინ უიტმარში** უფრო ფრთხილი და შეფასებებისას უფრო რეალისტურია - ის კონკურენტებს ულოცავს და მათ ძალას აღიარებს.

სხვათა შორის, როგორ წესი, მდიდარი რესურსები გუნდის წარმატების უცილობელ გარანტიას სულაც არ წარმოადგენს. კლასიკური მაგალითი: "ტოიოტა" თავისი განუსაზღვრელი ბიუჯეტით და "რენო", რომელმაც შეზღუდული შესაძლებლობებით მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

მოკლედ, "BMW-ზაუბერი" ყოველმხრივ სასიამოვნო გუნდია, რომელიც სკანდალური ინციდენტების დროსაც მშვიდად გამოდის სიტუაციიდან. ჯერჯერობით სპეციალისტები არ ეძებენ ამ გუნდში სუსტ წერტილებს. როცა წააგებენ, მიზეზებზეც ამის შემდეგ დაიწყება საუბარი...

**გია თვალაბეიშვილი**

# ფერარი მარლბოროს ნაშლის




სიგარეტის ცნობილი კომპანიის, Marlboro-ს ბრენდი აღარ იქნება გამოსახული "ფერარის" ბოლიდებზე. ამის შესახებ ჟურნალი Autoweek იუწყება. ამიერიდან, სკუდერიას სატიტულო სპონსორი ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპებზე ლოგოს შემცვლელ ე.წ. შტრიხკოდს გამოიყენებს.

აქამდე, იტალიური საჯინიბო ერთადერთ გუნდად რჩებოდა სამეფო რბოლებში, რომელიც სიგარეტის რეკლამას იყენებდა. შეგახსენებთ, რომ "ჰონდა", "რენო" და "მაკლარენი" ორი წლის წინ გამოეთხოვნენ თამბაქოს მწარმოებელ სპონსორებს.

Philip Morris-სა და "ფერარის" შორის კონტრაქტს 2011 წლის ბოლოს გასდის ვადა. ამ ხელშეკრულების ღირებულება ზუსტად ერთ მილიარდ დოლარს უდრის.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. NBA. რეგულარული

**ატლანტა-ორლანდო 105:121**

20:28, 35:23, 23:36, 27:34

ა: სტაუდმაიერი (16), უილიამსი (16), ჩილდრესი (15), ლოუ (11), სმიტი (10+8 მოხსნა), ჯონსონი (10).
ო: ევანსი (27), თურქოგლუ (17+8 პასი), ჰოვარდი (15+13 მოხსნა), ნელსონი (14), ლუისი (12).

**ლეიკერსი-საკრამენტო 124:101**

34:27, 28:21, 39:24, 23:29

ლ: გასოლი (22+7 მოხსნა), ბრაიანტი (20), ოდომი (15+12 მოხსნა), რადმანოვიჩი (14), ფარმარი (13).
ს: დუბი (32), უდრიხი (22+6 პასი), გარსია (15), უილიამსი (12+11მოხსნა), სალმონსი (11+9 მოხსნა).

**დეტროიტი-მინესოტა 115:103**

24:23, 28:20, 34:29, 29:31

დ: პეიესი (20), ჰემილტონი (18), ბილაპსი (17).
მ: ჯეფერსონი (30+9 მოხსნა), მაკენტსი (19), გომესი (14+9 მოხსნა), ფოიე (13+9 პასი), იარიჩი (13).

**პორტლენდი-მემფისი 113:91**

24:27, 31:21, 28:21, 30:22

პ: ჯონსი (20), ჯეკი (18+7 მოხსნა), ფრაი (16+7 მოხსნა), როი (16+11 პასი), ბლეიკი (12), ოლდრიჯი (11), აუთლო (10+9 მოხსნა).
მ: უორიკი (17+14 მოხსნა), ჯეკობსენი (16), გეი (16+7 მოხსნა), კონლი (13+7 მოხსნა+8 პასი), ლოური (10)

**ნიუ ჯერსი-შარლოტი 112:108 (ო)**

18:33, 26:28, 22:14, 28:19, 18:14

ნ-ჯ: ჯეფერსონი (28), კარტერი (18+8 პასი), პარისი (17+8 პასი), სვიფტი (11).
შ: რიჩარდსონი (31+10 მოხსნა+8 ჩაჭრა), მოჰამედი (19), ფელტონი (18+8 პასი), კეროლი (11).

**ნიუ ორლეანი-კლიპერსი 114:92**

26:26, 23:25, 34:17, 31:24

ნ-ო: უესტი (32), პოლი (22+12 პასი), რაიტი (14), ჩენდლერი (11+11 მოხსნა).
კ: ტორნტონი (26), მაგეტი (13), პარკერი (10), ფაზეკაში (10).

დრიმ თიმი

# პეკინში ვარსკვლავები მიდიან

პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკის მამაკაცთა ნაკრები ვარსკვლავური შემადგენლობით გაემგზავრება. ამის შესახებ სპეციალურ პრესკონფერენციაზე გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **ჯერი კოლანჯელომ** და მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ კრჟიჟევსკიმ** გამოაცხადეს.

მათ ჯერ არ დაუსახელებიათ ნაკრების შემადგენლობა, მაგრამ ყველას მიანიშნეს, რომ ვარსკვლავი გუნდის და არა ვარსკვლავების გუნდის შექმნას აპირებენ. ამერიკის ახალი ნაკრების ბედი არ იქნება დამოკიდებული NBA-ის ერთი ან ორი ვარსკვლავის კაპრიზებზე.

*"ბოლო ორი წლის განმავლობაში იმ მიმართულებით ვმუშაობთ, რომ ისეთი დონის კალათბურთელებმა, როგორებიც არიან ლებრონ ჯეიმსი, კობი ბრაიანტი ან ჯეისონ კიდი, მთლიანი გუნდის ნევრებად იგრძნონ თავი. ბიჭებმა უკვე იციან, რომ ოლიმპიადაზე ამერიკისთვის უნდა ითამაშონ"*, - აცხადებს კრჟიჟევსკი.

ამ სიტყვებს კოლანჯელომ ის დაამატა, რომ უკვე ესაუბრა NBA-ის 33 წამყვან კალათბურთელს, რომელთაგანაც, მიახლოებით 10 აგვისტოსთვის ძირითადის 12 და 3 სათადარიგო კალათბურთელი შეირჩევა.

გენერალურმა მენეჯერმა და მთავარმა მწვრთნელმა ბოლო წლებში ამერიკის ნაკრების წარუმატებელ თამაშზეც ისაუბრეს. *"ბევრ ქვეყანაში ბრწყინვალედ არის აწყობილი ეროვნული ნაკრებების მუშაობის სისტემა, რადგან კალათბურთელები დიდი ხანია ერთად თამაშობენ და კარგად უგებენ ერთმანეთს"*, - ამბობს კოლანჯელო. *"ყოველთვის ვამბობდით, რომ კალათბურთი ამერიკელების თამაშია. სინამდვილეში კი, მას მთელი მსოფლიო თამაშობს. საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლა სულ სხვა რამ არის და ის NBA-ში არ უნდა აგვერიოს"*, - დაამატა კრჟიჟევსკიმ.

**გია თვალაბეიშვილი**

ოლიმპიზმი. პეკინი 2008

# ჩიტის ბუდე გაიხსნა




პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა მედიისთვის ოფიციალურად გახსნეს ქვეყნის ახალი ეროვნული სტადიონი, რომელიც, ორიგინალური დიზაინის გამო, "ჩიტის ბუდის" მეტსახელითაა ცნობილი.

გრანდიოზული არენის მშენებლობა, რომლის ღირებულება 3.5 მილიარდი იუანია (254.1 მილიონი დოლარი), 2003 წლის მიწურულს დაიწყო და ვადაზე 14 კვირით ადრე დასრულდა. "ჩიტის ბუდე" უმასპინძლებს ოლიმპიადის გახსნის და დახურვის ცერემონიებს, ასევე საფეხბურთო ოლიმპიური ტურნირის ფინალსა და მძლეოსანთა ოლიმპიურ ტურნირს.

ოლიმპიადის დაწყებამდე 114 დღით ადრე, ჯერაც საკმაოდ ბევრი სამუშაოა დასასრულებელი. ჯერჯერობით, დახაზული არაა სარბენი ბილიკები, მოსაწყობია სტადიონის ინფრასტრუქტურა, დასამონტაჟებელია 91 000 სკამი.

სტადიონი გარედან რკინის სტრუქტურებისგან შეკრული კარკასითაა გარშემორტყმული, რომელიც გადახურვის სისტემასაც ქმნის. სახურავის სეგმენტში, ფოლადის სტრუქტურებს შორის გადაჭიმულია თხელი, მტკიცე აპკები, რომლებიც წვიმისგან თითქმის მთლიანად ფარავს ტრიბუნებს, მზიან ამინდში კი მკვეთრი შუქისგან და ჩრდილებისგან იცავს ტელეკამერებს.

სხვათა შორის, ახალი სტადიონის პრესისთვის წარდგენის ცერემონიის დროს, მზის სხივებს სიმკვეთრეს აკლებდა პეკინის გამონაბოლქვით და მტვერით გაჯერებული ჰაერი, რაც, ბევრი სპეციალისტის აზრით, პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორთათვის მთავარი პრობლემა იქნება.

სხვათა შორის, პირვანდელი პროექტით, სახურავი მთელ სტადიონს უნდა გასწვდომოდა, მაგრამ ეს მეტისმეტად აძვირებდა მის ღირებულებას, რის გამოც, პროექტმა ცვლილება განიცადა. პარალელურად, ოლიმპიადის ორგანიზატორები წინასწარ ემზადებიან იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში, ხელოვნურად გაფანტონ ღრუბლები, რათა ოლიმპიადის გახსნის და დახურვის ცერემონიები მშრალ ამინდში ჩატარდეს.

უნდა ითქვას, რომ პირვანდელი პროექტით, სტადიონის მშენებლობა შარშან უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ვადა ჯერ მარტის ბოლოსთვის, შემდეგ კი შუა აპრილისთვის გადაიტანეს. როგორც ორგანიზატორები ირწმუნებიან, სამივე შემთხვევაში, მშენებლობის დასრულების ვადის სამჯერ გადადების მიზეზი მხოლოდ ის გარემოება იყო, რომ გახსნის გრანდიოზული ცერემონია სპეციალური ინფრასტრუქტურის მოწყობას საჭიროებდა.

შედარებისთვის, ათენის ოლიმპიადის მთავარი სტადიონის მშენებლობა ზედ ოლიმპიადის გახსნის წინა დღეებში დასრულდა, რამაც ოლიმპიადის ორგანიზატორების გარდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობაც გვარიანად ანერვიულა.

"ჩიტის ბუდეზე", ჯერჯერობით, არ არის დადგმული ოლიმპიური ცეცხლის დასანთები ფიალის ადგილი. როგორც ამბობენ, ეს ინფორმაცია გასაიდუმლოებულია და ოლიმპიადის დაწყებამდე საიდუმლოდვე დარჩება.

პირველი შეჯიბრება, რომელსაც "ჩიტის ბუდე" უმასპინძლებს, 20 კილომეტრზე სპორტული სიარულის ტესტ-ტურნირი გახდება. შემდეგ კი, ამავე სტადიონზე დასრულდება პეკინის მარათონი. პირველი სრულფასოვანი ტურნირი კი აქ 22-25 მაისს ჩატარდება, როცა "ჩიტის ბუდის" სარბენი ბილიკი საერთაშორისო დონის მძლეოსნურ ტურნირს უმასპინძლებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| იტალია | |
|---|---|
| იუვენტუსი-პარმა | 3:0 |

| იტალიის თასი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| რომა-კატანია | 1:0 |
| ინტერი-ლაციო | 0:0 |

| ესპანეთის თასი. ფინალი | |
|---|---|
| ვალენსია-ხეტაფე | 3:1 |

| გერმანია | |
|---|---|
| არმინია-ლევერკუზენი | 1:0 |
| დორტმუნდი-ჰანოვერი | 1:3 |
| დუისბურგი-კარლსრუე | 0:1 |
| აინტრახტი-ბაიერნი | 1:3 |
| შტუტგარტი-ნიურნბერგი | 3:0 |

| II ბუნდესლიგა | |
|---|---|
| ალემანია-აუე | 1:0 |
| კარლ ცაისი-ბორუსია (მ) | 2:2 |
| ფიურტი-ოფენბახი | 2:1 |
| კობლენცი-ფრაიბურგი | 3:2 |
| სტ. პაული-ჰოფენჰაიმი | 3:1 |

| რეგიონალლიგა (სამ) | |
|---|---|
| პფიულენდორფი-რეგენსბურგი | 1:1 |

| საფრანგეთის თასი. 1/4 ფინალი | |
|---|---|
| ბორდო-სედანი | 0:0, პენ. 3:4 |
| კარკეფუ-პსჟ | 0:1 |

| ჰოლანდია | |
|---|---|
| გრონინგენი-აიაქსი | 1:2 |

| ბელგიის თასი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 1:1 |

| პორტუგალიის თასი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| სპორტინგი-ბენფიკა | 5:3 |

| შოტლანდია | |
|---|---|
| სელტიკი-რეინჯერსი | 2:1 |

| I დივიზიონი | |
|---|---|
| ქუინი-პარტიკი | 2:0 |

| დანია. II დივიზიონი | |
|---|---|
| კიოლდინგი-ოლსტიკე | 2:0 |
| ფრედერისია-სკივე | 2:0 |
| ფრემი-სიონდერილი | 2:2 |
| ჰიკ-ჰვიდოვრე | 0:4 |

| დანიის თასი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| ესბერგი-კოპენჰაგენი | 0:1, დ.დ. 2:2 |

| შვედეთი | |
|---|---|
| მალმიო-გეფლე | 2:0 |
| ნორჩოპინგი-ჰალმსტადი | 1:3 |
| ერებრუ-იურგორდენი | 1:1 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| სიონი-ლუცერნი | 0:0 |
| სტ. გალენი-ბაზელი | 1:4 |
| ტუნი-გრასჰოპერსი | 0:2 |

| ჩელენჯლიგა | |
|---|---|
| კიასო-კრიენსი | 1:1 |
| ლოზანა-ჩამი | 1:0 |
| ვადუცი-კონკორდია | 5:1 |
| ივერდონი-ვინტერტური | 2:2 |
| სერვეტი-ლოკარნო | 0:0 |
| გოსაუ-ფონდსი | გადაიდო |

| საბერძნეთის თასი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| ატრომიტოსი-არისი | 1:2 |
| ოლიმპიაკოსი-ტრასივულოსი | 3:1 |

| თურქეთის თასი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| კაისერი-რიზე | 4:1 |

| უელსი | |
|---|---|
| კერნარფონი-ლანგეფნი | 1:0 |

| ჩეხეთის თასი. 1/4 ფინალი | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-ვიქტორია | 0:0 |
| ლიბერეცი-ტრშინეცი | 2:2 |
| სპარტა-ჰფკ | 3:1 |
| ბრნო-იაბლონეცი | 2:1 |

| რუსეთი. II დივიზიონი | |
|---|---|
| დინამო (ბარ)-ბალტიკა | 1:0 |
| საკ მოსკოვი-კამაზი | 0:0 |
| მეტალურგი-ტორპედო | 2:0 |
| ნოსტა-ზვეზდა | 0:0 |
| სიბირი-დინამო (ბრ) | 3:1 |
| ანჟი-ვოლგა | 2:1 |
| სკა-ჟუგანი | 0:1 |
| ს. ენერგია-ჩერნომორეცი | 0:0 |
| ვიტიაზი-სკა ენერგია | 0:3 |

| რუსეთის თასი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| ამკარი-ურალი | 1:0 |
| ცსკა-ტომი | 2:1 |

| უკრაინის თასი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| მეტალურგი (დ)-დინამო | 0:1 |
| შახტარი-ჩერნომორეცი | 3:0 |

| პოლონეთი. ლიგის თასი | |
|---|---|
| გურნიკი-გროცლინი | 1:1 |

| ხორვატია | |
|---|---|
| სიბალია-ვარტექსი | 0:1 |
| შიბენიკი-ინკერი | 0:0 |
| ზაგრები-მედიმურიე | 6:1 |
| დინამო-ოსიეკი | 3:2 |
| რიეკა-ზადარი | 5:3 |
| ჰაიდუკი-სლავენი | 2:0 |

| სლოვენიის თასი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| მარიბორი-დომჟალე | 1:0 |
| ინტერბლოკი-კოპერი | 2:1 |

| სერბეთის თასი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| ზემუნი-ოფკ | 1:1, პენ. 5:4 |
| ცრვენა ზვეზდა-პარტიზანი | 2:3 |

| რუმინეთის თასი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| დაჩა-კლუჟი | 0:3 |

| ბულგარეთის თასი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| კალიაკრა-ჩერნო მორე | 1:3 |
| ლიტექსი-ბოტევი | 4:2 |

| კვიპროსის თასი | |
|---|---|
| ანორთოსისი-არისი | 2:1 |
| აგია-აპოელ | 1:0 |

### კალათბურთი

| საბერძნეთი | |
|---|---|
| კოლოსოსი-ეგალეო | 92:89 |
| ოლიმპია-აეპ | 96:67 |
| პაოკ-პანელინიოსი | 62:58 |
| რეტიმნო-არისი | 59:70 |
| მარუსი-აეკ | 71:62 |
| ოლიმპიაკოსი-აელ | 84:52 |
| პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 84:74 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ლეონი-ვალენსია | 75:97 |
| უნიკახა-ხირონა | 65:71 |

| იტალია | |
|---|---|
| სკავოლინი-რიეტი | 80:55 |

### ჰოკეი

| ჩეხეთი | |
|---|---|
| სლავია-კარლოვი ვარი | 4:2 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ჰვ71-ლინჩოპინგი | 7:3 |

### ჩოგბურთი

| ATP. ვალენსია | |
|---|---|
| მონაკო-ეშაუერი | 6:7, 6:4, 6:4 |
| ჰაასე-შუკინი | 6:4, 6:1 |
| ვერდასკო-ლაპენტი | 5:7, 6:3, 6:4 |
| მონფილსი-სტარაჩე | 5:7, 1:6 |
| რობრედო-ვენტურა | 6:7, 6:3, 6:4 |

| ATP. ჰიუსტონი | |
|---|---|
| ტროიცკი-დანიელი | 3:6, 4:6 |
| ჰარტფილდი-კაპდევილე | 0:6, 4:6 |

| ATP. ეშტორილი | |
|---|---|
| ჟიკელი-ასკიონე | 7:6, 6:3 |
| სიმონი-ჩიპოლა | 2:6, 3:6 |
| სერა-მაჩადო | 7:6, 6:1 |
| დავიდენკო-მინარი | 2:6, 6:2, 6:4 |

| WTA. ჩარლსტონი | |
|---|---|
| დემენტიევა-კრეიბასი | 6:0, 6:2 |
| რეზაი-როდიონოვა | 3:6, 4:6 |
| შნიდერი-გოვორცოვა | 7:6, 6:0 |
| აზარენკა-სუნი | 7:6, 6:0 |
| იანკოვიჩი-სტივენსონი | 7:5, 6:0 |
| კორნე-ერანი | 6:3, 2:6, 6:3 |
| ზვონარევა-რუანო პასკუალი | 6:1, 6:0 |
| ა. რადვანსკა-გალოვიტცი | 6:7, 6:2, 7:5 |
| პერებიინისი-შრუფი | 6:4, 6:3 |
| სრებოტნიკი-სტრიუკოვა | 4:6, 6:1, 7:5 |

| WTA. ეშტორილი | |
|---|---|
| პენეტა-ბენეშოვა | 2:6, 2:6 |
| კნაპი-დუკე მარინო | 6:3, 6:4 |
| პირონკოვა-პინი | 3:6, 4:6 |
| ზაკოპალოვა-დენტონი | 6:4, 6:1 |

## TV სპორტი

**17 აპრილი. ხუთშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ნიურნბერგი.
14:20 გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-ბაიერნი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:25 90 წუთი - საფეხბურთო თოქ-შოუ.
18:55 ზუსტი გათვლა.
19:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:30 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
19:40 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:45 შოტლანდიის ჩემპიონატი. სელტიკი-რეინჯერსი.
22:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:55 ინგლისი ჩემპიონატი. ევერტონი-ჩელსი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:20 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
08:47 სპორტული ისტორია.
09:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
09:13 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ნიურნბერგი.
11:00 ბალახის ჰოკეი. ოლიმპიადის შესარჩევი. ქალები. ჩილე-უკრაინა. ბაქო. აზერბაიჯანი.
12:53 ფეხბურთი. Barca TV.
13:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. თავისუფალი პროგრამა. გიოტებორგი. შვედეთი.
16:23 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ინტერი.
18:08 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
18:35 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
19:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
19:43 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:57 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. სანტოსი-კუკუტა.
22:55 ფეხბურთი. ინგლისი ჩემპიონატი. ევერტონი-ჩელსი (LIVE).
00:55 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეკრეატივო-ბარსელონა.
02:57 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ინტერი.
04:41 სპორტკლუბი.
05:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალი. V მატჩი. მინესოტა-კოლორადო.
07:45 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
08:12 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

10:30 მულტისპორტი.
11:00 სნუკერი. მასტერსი. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
12:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 63 კგ. იტალია.
14:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 62 კგ. იტალია.
15:30 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. ფინალი. ნიუპორტი. ბრიტანეთი.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).
18:45 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 62 კგ. იტალია.
19:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 75 კგ. იტალია (LIVE).
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 75 კგ. იტალია (LIVE).
21:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. აშშ-ის გრან-პრი.
22:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 69 კგ. იტალია (LIVE).
00:00 პროფესიული კრივი.
01:45 ბრძოლა წესების გარეშე.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 კალათბურთი. საბერძნეთის თასი. პანათინაიკოსი-პანიონიოსი.
13:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული სეზონი. კანზასი-ჩიკაგო.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-ედმონტონი.
17:00 კალათბურთი. საბერძნეთის თასი. პანათინაიკოსი-პანიონიოსი.
18:00 კალათბურთი. საბერძნეთის თასი. ოლიმპიაკოსი-ლარისა.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).
20:45 ახალი ამბები.
21:00 ფრისტაილი. მსოფლიო ტური. საფრანგეთი.
21:30 ახალი ამბები.
21:55 სერფინგი. ნორვეგია.
22:00 კალათბურთი. საბერძნეთის თასი. პანათინაიკოსი-პანიონიოსი.
23:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. ჰამბურგი (გერმანია)-სიუდადი (ესპანეთი).
00:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. ბარსელონა (ესპანეთი)-კილი (გერმანია).
01:00 ახალი ამბები.
01:15 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
02:15 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დედოფალ ანადან სერ ალექს ფერგიუსონამდე

**სულ მალე, ინგლისის ქალაქ იორკში Royal Ascot-ის ცნობილი დოლი გაიმართება. მანამდე გთავაზობთ ევროპული საცხენოსნო სპორტის წარმოშობის ისტორიას და თან გავიგებთ, რით ცხოვრობს ეს სახეობა დღეს.**

## რომაელებიდან ჯვაროსნებამდე

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება იმის თქმა, რომ ცხენოსნობა დღეს არსებული სპორტის სახეობებიდან ერთ-ერთი ყველაზე ძველია. სხვადასხვა წყაროებიდან ზუსტად ვიცით, რომ დოლის მსგავსი შეჯიბრების ორგანიზების პირველი მცდელობა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4 ათასი წლის წინათ არის დაფიქსირებული. ველური ცხენი ჯერ ბოლომდე არ იყო მოშინაურებული (ეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 4500 წელს მოხდა), როცა ძველი მოჯირითეები უკვე საკმაოდ აქტიურად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. დოლი განსაკუთრებით პოპულარული ანტიკურ ხანაში გახდა. საკმარისია იმის თქმა, რომ ის ძველბერძნული ოლიმპიური თამაშების პროგრამაშიც შედიოდა. რომის იმპერიაში ცხენების შეჯიბრებები არანაკლებ აჟიოტაჟს იწვევდა, ვიდრე გლადიატორთა ბრძოლები. ამ დოლების ტრიუმფატორებს სარდლებად აკურთხებდნენ. რომის იმპერიის დაცემასთან ერთად, საცხენოსნო შეჯიბრებები რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში დავიწყებას მიეცა. რა თქმა უნდა, რაღაც პრიმიტიული ტურნირები მაინც იმართებოდა, მაგრამ ის ახლოსაც ვერ მივიდოდა ყველაზე ცნობილ ანტიკურ დოლებთან - ვერც მასშტაბებით და ვერც საზოგადოებრივ-კულტურული მნიშვნელობით.

ამგვარი გართობების მიმართ ინტერესი XII საუკუნეში აღდგა, როცა შუააზიური მოგზაურობიდან დაბრუნდნენ ჯვაროსნები. რაინდებს თან ჩამოჰყავდათ არაბული ცხენები, რომლებიც სისწრაფითა და ამტანობით, ერთი თავით აღემატებოდნენ თავიანთ ევროპელ ნათესავებს. ახალი, იშვიათი ჯიშების გამოჩენამ მეცხენეობა შუასაუკუნეების საზოგადოების ელიტის ერთგვარ ჰობად გადააქცია. დიდგვაროვანთა წრეში განსაკუთრებული პოპულარობით რაინდთა ტურნირები სარგებლობდა, რომელიც რაინდების ერთიერთზე შებრძოლებას გულისხმობდა. ბრძოლების მონაწილენი შუბის ბლაგვი წვერით ცდილობდნენ მოწინააღმდეგის ჩამოგდებას. ის ვინც უნაგირზე თავს შეიმაგრებდა, გამარჯვებულადაც ის ცხადდებოდა.

## არაბების მეორე შემოსევა

როგორც ჩანს, სწორედ ამავე პერიოდს ეკუთვნის დოლების წარმოშობა, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. ნახევრადსამოყვარულო სტატუსით დაახლოებით სამასწლიანი არსებობის შემდეგ, XVIII საუკუნის დასაწყისში, ცხენების დიდი მოყვარულის, ინგლისის დედოფალ ანას დახმარებით, დოლი თანდათანობით პროფესიულ (რა თქმა უნდა, დროის მაშინდელი საზომით) სპორტად გადაიქცა - ჟოკეებით, დადგენილი რეგლამენტით და, რა თქმა უნდა, ფსონებით.

ამ გარდაქმნაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმანაც, რომ იმ წლებში, ბრიტანეთის სამეფო ოჯახის თავლებში წმინდასისხლიანი ჯიში გამოიყვანეს. მისი წინაპარი სამი არაბული ულაყი გახდა - გოდოლფინ-არაბიანი, დერლეი-არაბიანი და ბაიერლი-თერქამი. ამ უკანასკნელის ინგლისში გადაყვანა რომანტიულ ისტორიას უკავშირდება: ახალგაზრდა ცხენი უნგრეთში (რომელიც მაშინ თურქეთის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა) ბრიტანული არმიის კაპიტანმა ბაიერლიმ მოიპარა. სწორედ მის საპატივცემულოდ მიიღო ულაყმა ეს სახელი. ამ წმინდასისხლიანი ცხენების შთამომავლები დღემდე საუკეთესო მოჯირითეებად ითვლებიან. ასეთი გენეოლოგიის მქონე ულაყი - ნებისმიერი არაბი შეიხის ოცნებაა, აღარაფერს ვამბობთ, ჩვეულებრივ მოკვდავებზე. განსაკუთრებით პრესტიჟულად ითვლება დერლეი-არაბიანის ხაზი. თავად ეს უკანასკნელი, გვარის ფუძემდებლის უფლებით, დოლებში არ მონაწილეობდა. სამაგიეროდ, მისი შვილი, ფლაინ-ჩაილდერსი მთელს ბრიტანეთის კუნძულებზე საუკეთესო მოჯირითედ ითვლებოდა. როგორც თვითმხილველები ამბობდნენ, ფლაინ-ჩაილდერსი 6-კილოგრამიანი ფორითაც (ფორა გამოიხატებოდა ფავორიტის დამატებით წონაში) 100-200 მეტრით უსწრებდა იმ დროის სახელგანთქმულ ცხენებს.

თუმცა ავადმყოფობის გამო, მან ვერ შეძლო შტოს გაგრძელება. მის ნაცვლად ეს მისმა ძმამ, ბარტლეტ-ჩაილდერსმა გააკეთა, რომელსაც არცერთ დოლში არ მიუღია მონაწილეობა (ცხვირიდან სისხლის დენის გამო), მაგრამ რამდენიმე მკვირცხლი ულაყის მამა გახდა. ერთ-ერთის, კერძოდ კი, სკვირთის შვილიშვილი გახლდათ ლეგენდარული ეკლიპსი. საინტერესოა, რომ სკვირთს და ისევე, როგორც დერლეი-არაბიანის ჯიშის სხვა წარმომადგენლებს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდათ - მათ ჩლიქების მწვავე ანთება ახასიათებდათ. სკვირთის მეპატრონე მის მოკვლასაც კი აპირებდა. მაგრამ ცხენის ერთ-ერთმა მომვლელმა ბოლო მომენტში გადააფიქრებინა გასროლა და ასე გადაარჩინა ეკლიპსის, ყველა დროის ერთ-ერთი უდიადესი მოჯირითეს ისტორია.



ეკლიპსი

## ცხენი-დაბნელება

ეკლიპსი 1764 წლის 1 აპრილს დაიბადა. იმ დღეს, დიდ ბრიტანეთში მზის დაბნელება დაფიქსირდა და ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის გამო მიიღო ამ ცხენმა თავისი სახელი. თავისი ბრწყინვალე კარიერის განმავლობაში, ეკლიპსმა ყველაზე პრესტიჟულ დოლებში ოცამდე გამარჯვება მოიპოვა. მის ანგარიშზე მოდის 11 "სამეფო თასი". ეს პრიზი ბრიტანეთის საუკეთესო მოჯირითეებს გადაეცემათ. არც მანამდე და არც მის შემდეგ, ამდენი პრიზი არცერთ ცხენს არ მოუპოვებია.

იყო შემთხვევები, როცა დოლებზე ეკლიპსისთვის შესაფერის მოწინააღმდეგეებს ვერ პოულობდნენ და მასაც ეულად უწევდა ჯირითი. ეს ლეგენდარული ცხენი 25 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი ჟოკეის, ჯონ ოკლის თქმით, მთელი ცხოვრების განმავლობაში, ეკლიპსმა არ იცოდა, რა იყო მათრახი, დეზები და ნაგება.

მაგრამ ეკლიპსის შესახებ მხოლოდ ლეგენდები არ შემორჩენალი. ბევრ დადებით თვისებასთან ერთად, ის შესაშური ნაყოფიერებითაც გამოირჩეოდა. მისი ნაშიერების უმეტესობამ მამის მსგავსი მკვირცხლობა და ამტანობა შეინარჩუნა. საერთო ჯამში, ეკლიპსის 344-მა შთამომავალმა შეძლო სხვადასხვა პრესტიჟული დოლების მოგება. მათ შორის არიან XX საუკუნეში ცხენოსნობის ნამდვილი ვარსკვლავები- ადმირალი და ნიჟინსკი II. გასულ საუკუნეში, ამათ მხოლოდ მილენიუმი თუ შეედრებოდა, რომლის მფლობელიც გახლდათ დუბაის შეიხი მოჰამედ ალ-მაქთუმი. სამწუხაროდ, სამი წლის წინათ, მილენიუმის სპორტულ კარიერას წერტილი დაესვა: ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხი მოიტეხა. სხვათა შორის, 2002 წლის მარტში, დუბაიში მსოფლიო თასზე მილენიუმის მიერ დამყარებული სისწრაფის რეკორდი დღესაც ძალაში რჩება.

*P. S. ხვალინდელ ნომერში თემას გავაგრძელებთ და იმ ადგილებს გაგაცნობთ, სადაც ეკლიპსისა და სხვათა გმირობები უხილავთ. წარმოგიდგენთ დოლის სახეობებსა და მათი ჩატარების წესებს, ყველაზე პრესტიჟული დოლების ჩამონათვალს, საბუკმეიკერო კანტორების შემოსავლებს და ა.შ.*

გია თვალაბეიშვილი

დასასრული შემდეგ ნომერში